საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№263 (12 333)

7 ნოემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



## კლაუს ტოპმიოლერი კაიზერის მრჩეველია

ლათინოამერიკული ტელესერიალივით გაგრძელებული საგა კლაუს ტოპმიოლერისა და „კაიზერსლაუტერნს“ შორის შესაძლო თანამშრომლობაზე გუშინ დასრულდა. საკითხი დადებითად გადაწყდა - კლაუს ტოპმიოლერი კლუბის საპატიო სპორტული მრჩეველი გახდა...

3

## 16 ნოემბერს, ყატარში

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში მოსული ფაქსის თანახმად, ყატარი თანახმაა ქართული მხარის მიერ წამოყენებულ პირობებზე. ასე რომ, საქართველოს ეროვნული ნაკრები 16 ნოემბერს, დოჰაში, ყატარის ნაკრებს ეთამაშება.

**კლაუს ტოპმიოლერის** სურვილი იყო, ჩვენს ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა ფიფას მიერ გამოყოფილ თარილზე (17 ნოემბერი) ადრე ჩაეტარებინა. მიზეზი ისაა, რომ ჯერ ერთი, ნაკრებს ერთი დღით მეტი დრო ექნება ლიტვასთან 21 ნოემბრის საშინაო მატჩამდე მოსამზადებლად და მეორეც, ტოპმიოლერს სურს, თავად თუ არა, ნაკრების შტაბის რომელიმე წარმომადგენელი 17 ნოემბერს ლიტვა-უკრაინის მატჩს დაესწროს.

3



11

**რაგბი**. 10 ნოემბერი. საქართველო-პორტუგალია

## გორგოძეს გამოგვაკლდა

# რუსეთში ქართველებზე ნადირობის სეზონია

### მაღალი, შავი, კავკასიური გარეგნობის მამაკაცი ეჭვმიტანილია გაუპატიურებაში

რუსული საინფორმაციო სააგენტოები გუშინ ალეკო ამისულაშვილს ხშირად ახსენებდნენ. ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველი ლეგიონერი კარგი თამაშის გამო არ გამოურჩევიათ. ქართველი სკანდალური ისტორიის გმირი აღმოჩნდა.

ვლადივოსტოკის პროკურატურამ წინასწარი გამოძიება წამოიწყო ადგილობრივი მცხოვრების გაუპატიურების ფაქტზე.

„ნალჩიკის „სპარტაკის“ ფეხბურთელი ალექსანდრე ამისულაშვილი ღამის 5 საათზე ვლადივოსტოკში, ერთ-ერთ კაფეში დააკავეს. ის „ლუჩ ენერგიასთან“ მატჩის შემდეგ მეგობრებთან ერთად კაფეში იმყოფებოდა. როდესაც 25 წლის ალისამ, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა, სახლში წასვლა და ტაქსის გაჩერება გადაწყვიტა, მას ამისულაშვილი გაეკიდა და ძალის გამოყენებით ქუჩაში გააუპატიურა“ - ამას www.sports.ru იუწყება.

თუმცა მეორე ინფორმაცია „რია ვოსტოკ-მედიამ“ გაავრცელა, სადაც დაზარალებული ქალბატონი ამბობს, რომ თვითმხილველმა დაინახა, თუ რა ხდებოდა, მილიციას გამოუძახა და გაუპატიურებას გადაარჩინა.

2



ალექსანდრე ამისულაშვილი

# ლივერპულის შანსი და რეკორდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### ლაციომ პლეიოფისკენ გაიხედა, ვალენსია ჩამოსაწერია

16

## ჰეთ-თრიკი და ორი დუბლი ერთ მატჩში



ლივერპული-ბეშიქთაში. ბაბელს გააქვს მეექვსე გოლი თურქების კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსეთში ქართველებზე ნადირობის სეზონია

## მაღალი, შავი, კავკასიური გარეგნობის მამაკაცი ეჭვმიტანილია გაუპატიურებაში



ალექსანდრე ამისულაშვილი

პირველი გვერდიდან

პრიმორსკის მხარის საგამომძიებლო განყოფილების პრესსამსახურის უფროსმა **ავრორა რიმსკაიამ** განაცხადა, რომ საბოლოო შედეგები 7 ნოემბრისთვის გახდება ცნობილი. თან დასძინა, ამჟამად კონკრეტული ბრალდებული არ არის დაკავებული, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაზარალებულისა და ეჭვმიტანილების გვარებს ვერ დავასახელებთო.

და მაინც, მთელმა მსოფლიომ რუსული სააგენტოების დახმარებით შეიტყო, რომ დაკავებული საქართველოს ნაკრების კანდიდატი და ნალჩიკის „სპარტაკის" ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი **ალეკო ამისულაშვილი** გახლდათ.

**„ რია ვოსტოკ-მედია"** წერს: *„ყველა ხვდება, რომ საუბარია ვლადივოსტოკელ გოგონაზე და ნალჩიკის „სპარტაკის" ფეხბურთელზე. საკითხავი მხოლოდ ისაა, ეს ფაქტი მართლა მოხდა თუ სკანდალის ერთ-ერთ მონაწილეს უბრალოდ სურდა, პოპულარობის მოპოვება."*

ახლა იმ ციტატებს გთავაზობთ, რომელიც ამ სკანდალს ეხება.

**ვლადიმერ ბალოვი,** ნალჩიკის „სპარტაკის" გენერალური დირექტორი: *„ამისულაშვილი ნალჩიკში გუნდთან ერთად არ გამოფრენილა."*

**ნინა ეგოროვა,** პრიმორსკის მხარის არასაუწყებო დაცვის პრეს-ატაშე: *„ფეხბურთელი ქალაქის ცენტრში დააკავეს და მილიციის ერთ-ერთ განყოფილებაში ჩვენების მისაცემად წაიყვანეს. გოგონა ამტკიცებს, რომ როდესაც ის და მისი თანმხლები კაფედან გამოვიდნენ, ეჭვმიტანილმა გვერდით მალაზიისკენ გასაუპატიურებლად წაიყვანა."*

**ანატოლი ბეზნიაკი,** „ლუჩ ენერგიის" აღმასრულებელი დირექტორი: *„როგორც ამბობენ, ამისულაშვილმა დრო ჩვენ ფეხბურთელებთან ერთად გაატარა. მიკვირს, რომ ამის მიუხედავად, არცერთი ჩვენი მოთამაშე დაკითხვაზე არ გამოიძახეს."*

ერთი სიტყვით, ამ ყოველივეს დიდი სკანდალის სუნი უდის. სიმართლე გითხრათ, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ეს ყოველივე გარკვეულ კითხვებს ბადებდა. თუკი გოგონა გააუპატიურეს, მან თავად როგორ განაცხადა, რომ მილიციის გამოჩენამ ამისგან გადაარჩინა და ა.შ.

როგორც აღმოჩნდა, საქმე გაცილებით უფრო რთულადაა, ვიდრე რუსული მხარე ამტკიცებს. თავად ალეკო ამისულაშვილი აპირებს ქალბატონ ალისასთვის ჩივილს ცილისწამებისა და ფულის გამოძალვის ბრალდებით.

გუშინ, ალეკოს ნალჩიკში დავუკავშირდით და მისმა ნაამბობმა სურათი აბსოლუტურად შეცვალა.

**- ალეკო, სიმართლე ითქვას, საკმაოდ არასასიმოვნო თემაზე სასაუბროდ დაგიკავშირდით...**

- ინტერნეტში რომ დაწერეს, იმ სისულელეზე მეკითხებით?

**- სისულელე ეძახე და მთელი რუსული მედია ამ ინფორმაციას ავრცელებს.**

- კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რუსეთში ქართველებს ცხოვრება არ გვილირს. ეს ყველაფერი რაღაც ძალიან აბსურდული ისტორიაა, სადაც თავი უნდა იმართლო იმიტომ, რომ მაინც ჩირქი მოგცხონ. სრულიად უცნობი გოგონა და მილიცია უცებ აბსურდულბრალდებას მიყენებენ. გუნდთან ერთად, დილით აეროპორტში მივდიოდი, როდესაც სასტუმროსთან ახლოს დამაკავეს.

**- „სპორტს. რუს" ინფორმაციით კი, შენ ღამე დაგაკავეს.**

- ღამე? ეს კიდევ ერთი ტყუილი. ღამე როგორ დამაკავეს, როდესაც ამის მომსწრე მთელი გუნდია... ასე დაწერეს, რომ ღამე დამაკავეს?

**- დიახ.**

- არ ვიცი, გავგიჟდი, მე ხომ ვიცი, რომ ეს ყველაფერი ცილისწამებაა, მაგრამ რას მერჩიან, ეს ვერ გავიგე. ის უფრო მაგიჟებს, რომ ცილისწამებით მთელ რუსეთში სურთ თავი მომჭრან. ვის რაში სჭირდება ასეთი კამპანია?

გეტყვით, სინამდვილეში რაც მოხდა. მე სხვის ნაცვლად დამაკავეს. როგორც მერე გავიგე, ამ გოგონას მანქანა მოპარეს და მან თქვა, ის ბიჭი სახეზე კარგად არ მახსოვს, მაგრამ შავი, მაღალი და კავკასიური გარეგნობისააო. მილიცია ასეთ ადამიანს ეძებდა. მე სასტუმროში ვიყავი და იქვე მაღაზიაში რომ გავედი შავი, მაღალი და კავკასიური გარეგონობის რომ დამინახეს, განყოფილებაში წამიყვანეს და 2-3 საათი მაყურყუტეს. შემდეგ რომ გაარკვიეს, ვინ ვიყავი, ბოდიშების მოხდით გამიშვეს. ეს გოგო მე მანამდე თვალით არ მენახა და ეს მილიციამაც მშვენივრად იცოდა.

**- ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით 10 საათი გაგაჩერეს.**

- არანაირი 10 საათი, 2-3 საათზე მეტხანს მე იქ არ ვყოფილვარ. გუნდს ამიტომ ჩამოვრჩი და, ბუნებრივია, ცალკე რეისით გავემგზავრე. ის რატომ არ დაწერეს, რომ ბალოვი გაგიჟებული იყო, ქართველობის გამო ამ ბიჭს რატომ აკავებთო?

გეტყვით სიმართლეს: თავის მართლებას არ ვაპირებ, რადგან აშკარად მივხვდი, რომ ისევ გრძელდება ის კამპანია, რაც ერთი წლის წინათ განსაკუთრებული აგრესიით ხორციელდებოდა. ხომ იცით, ქართველებს რა თვალით უყურებენ? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ გამოშვების დროს ბოდიშებს რატომ მომიხდიდნენ?

**- ის გოგონა კი ამტკიცებს, თითქოს ამოგიცნო.**

- როგორ ამომიცნო, რანაირად, როდესაც განყოფილებაში მიყვანისას ჩემს დანახვაზე რეაქცია არ ჰქონდა და მხოლოდ მას შემდეგ დამაკვირდა, თან იცინოდა, მილიციელმა რაღაც რომ უთხრა. უცებ შემომიტრიალდა და ეს თავხედი, კი არ მომერიდა, ფული პირდაპირ, მოურიდებლად მომთხოვა, 50 დოლარი მომეცი, თუ არ გინდა, რომ მილიციაში გაყურყუტოთო. „გაყურყუტებთო" - მრავლობითში ისე მითხრა, რომ ყველაფერს მივხვდი, ის მარტო არ მიკეთებდა ამ ყველაფერს.

და ყველაზე მთავარია, მართლა ასეთ ფაქტზე რომ დავეკავებინე, რას ფიქრობთ, რუსული მილიცია ქართველს გამომიშვებდა? ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდნენ იმის დასამტკიცებლად, თუ ვინ არიან ქართველები.

**- თუმცა ეს გოგო ამტკიცებს, რომ ნალჩიკის „სპარტაკის" ხელმძღვანელობა საქმის ჩასაფარცხად ფულს სთავაზობდა...**

- ასეთი უტიფარი ადამიანი ცხოვრებაში არ მინახავს. ფულს ჩვენ კი არ ვთავაზობდით, თავად გვთხოვდა ან 50 დოლარს მოიტან, ან არადა, ჩაგვსვამო. ხომ გითხარით, რომ გაიგეს ვინ ვიყავი, მილიციამ ბოდიში მომიხადა და გამომიშვეს. ამის შემდეგ გავიგე, რომ ეს გოგონა მილიციასთან შეკრული „ნასედკაა", ადრეც კავკასიელების დაჭერაზე „ჩალიჩობდა" და ახლაც ასე იყო.

ჯერ თავად პრესაშია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები. თურმე , მე ღამით გამაჩერეს, არადა, ღამე სასტუმროში ვიყავი. სინამდვილეში, გითხარით, რომ დილით დამაკავეს. ვინმე წერს, ეს გოგონა პირდაპირ რომ მეცა და ფული მომთხოვა? გაუპატიურებული და შეურაცხყოფილი, წესიერი ქალი ასე არ იქცევა. ის ფულზე ვერ იფიქრებდა.

**- ფაქტია, რომ ამ ინფორმაციებმა შენი რეპუტაცია საკმაოდ შეარყია.**

- სწორედ ამის გამო, ადვოკატს დავიქირავებ და ამ „დაზარალებულს" ვუჩივლებ, იქნებ, შანტაჟსა და გამოძალვას ერთხელ და სამუდამოდ შეეშვას. მას მორალური ზარალის ანაზღაურებას აუცილებლად მოვთხოვ. მასსავით ფულს არ მოვითხოვ, მაგრამ სასამართლოს ძალით, პრესისა და მედიის ნებისმიერ იმ საშუალებაში, სადაც ჩემზე ცილისმწამებლური განცხადებები გამოქვეყნდა, ბოდიშის მოხდას მოვთხოვ და უნდა აღიაროს, ეს ქართველობისა და ფულის გამოძალვის მიზნით გამიკეთა.

ერთადერთი ის მაფიქრებს, რომ ნალჩიკიდან ვლადივოსტოკში რა ივლის, მაგრამ ამ საქმეს ვერავის შევარჩენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ცვლილებები კალენდარში

„ბათუმისა" და „ბორჯომის" სათასო მატჩი, რომელიც „ბორჯომის" ავტოავარიის გამო გადაიდო, 14 ნოემბერს გაიმართება. „ბათუმს" მეოთხედფინალში გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავს, მის მეტოქეს კი „ოლიმპის" ძლევის შემდეგ, თავი ფაქტობრივად, ქუდში აქვს. „ბორჯომის" ის ფეხბურთელების, რომლებიც ავარიისას დაშავდნენ, თავს უკეთ გრძნობენ და სრული დატვირთვით ვარჯიშობენ.

პროფლიგამ კალენდარში კიდევ ორი მცირე ცვლილება შეიტანა. 11 ნოემბერს პირველი წრის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იმართება. „დინამო"-"ზესტაფონი" 14-ის ნაცვლად, 13 საათზე დაიწყება, ხოლო 10 ნოემბერს „ამერისა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩი 14 საათსა და 10 წუთზე. გულშემატკივარს ორივე ამ შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა შეეძლება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დანაშაული და სასჯელი

# ცემა დასჯადია

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგაში, ცხინვალში, ადგილობრივ „სპარტაკი 2-სა" და თბილისის „ორბეთს" შორის მატჩი პირველი ტაიმის შემდეგ აღარ გაგრძელებულა. თამაშის 41-ე წუთზე, მაშინ, როცა სტუმრები მინიმალური ანგარიშით 0:1-ს იგებდნენ, მატჩის არბიტრმა **ირაკლი ურუშაძემ** ცხინვალელთა კარში პენალტი დანიშნა. ამან აღაშფოთა მასპინძლები. განსაკუთრებული აგრესია კი ცხინვალელთა მწვრთნელებმა გამოავლინეს. ტაიმი როგორც იქნა ჩამთავრდა, მაგრამ შესვენების შემდეგ, არბიტრმა ურუშაძემ, რომელსაც თერთმეტრმეტრიანის დანიშვნის გამო ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და მატჩიც ჩაიშალა. ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა კლუბის მიმართ სანქციებსაც მიმართა.

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა **ტატო ლასხიშვილის** (კომიტეტის თავმჯდომარე), **ზვიად დარასელისა** და **თემურ ღლონტის** შემადგენლობით გაიმართა. „სპარტაკი 2-ს", რომელიც 700 ლარით დაჯარიმდა, თბილისის „ორბეთთან" ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვალა. ამავე გუნდის მწვრთნელი **ზურაბ ნასუაშვილი** 1 000 ლარით დაჯარიმდა და 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ამავე დროს, კლუბის მთავარ მწვრთნელ **ზურაბ მაისურაძეს** საყვედური გამოეცხადა.

**დავით ცაბაძე**



ალგიმანტას ლიუბინსკასი

მეტოქე

# ლიტვამ სათბილისო შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ნაკრებს მიმდინარე შესარჩევ ციკლში დასკვნითი მატჩიღა დარჩა გასამართი, ლიტვასთან 21 ნოემბერს. თბილისში ჩამოსვლამდე ლიტველები შინ უკრაინას ეთამაშებიან. ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე, ამ ორი მატჩისთვის გუშინ, ნაკრების შემადგენლობა მოვიძიეთ. ლიტველთა მწვრთნელმა **ალგიმანტას ლიუბინსკასმა** უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩებისთვის ნაკრებში შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: ჟილდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), პაულუს გრუბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი), მარიუს რაპალისი (ჟალგირისი).

მცველები: ანდრიუს სკერლა (კორონა, პოლონეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), იგნას დედურა (სპარტაკი მ. რუსეთი), არუნას კილმავიჩიუსი (დინამო, რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი), ტადას პაპეჩკუსი (გურნიკი, პოლონეთი), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი).

ნახევარმცველები: აუდრიუს კშანავიჩიუსი, საულიუს მიკოლიუნასი (ორივე ჰართსი, შოტლანდია), მინდაუგას კალონასი (ყუბანი, რუსეთი), ტადას ლაბუკასი (ოცელული, რუმინეთი), აურიმას კუჩუსი (დაუგავა, ლატვია), დარიუს მიცეიკა (მეტალურგსი, ლატვია), იგორის მორინასი (ჟალგირისი), ვუტაუტას ლუკშა (ვილნიუსი), გედიმინას ბუტრიმავიჩიუსი, დარვიდას შერნასი (ორივე, ვეტრა), მარტას შავენასი (ეკრანასი).

თავდამსხმელები: ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ანდრიუს ველიჩკა (ჰართსი, შოტლანდია), ედგარას იანკაუსკასი (აეკი, კვიპროსი), ტომას რაძინევიჩიუსი (ბუდეიოვიცე, ჩეხეთი).

ლიუბინსკასი გუნდს 13 ნოემბერს შეკრებს და ვარჯიშებს დაიწყებს. ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ჯერ არაფერია ნათქვამი თუ როდის ჩამოფრინდებიან ბალტიელები საქართველოში.

**დავით ცაბაძე**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# 16 ნოემბერს ყატარში ვთამაშობთ

*პირველი გვერდიდან*

ერთი სიტყვით, ყატარი ქართული მხარის მოთხოვნას დათანხმდა. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს და ფორმალობაც მოგვარდება.

გუშინ ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემაც** დაგვიდასტურა.

ჩვენი ნაკრები სავარაუდოდ ჩარტერული ავიარეისით 15 ნოემბერს გამთენიისას გაემგზარება ყატარს. 16-ში ამხანაგური მატჩი შედგება, 17-ში კი სამშობლოში დაბრუნდება და ლიტველებთან მატჩისთვის თბილისში განაგრძობს მზადებას.

ყატარმა ბოლოს გამოქვეყნებულ ფიფას რეიტინგში 7 საფეხურით ზემოთ აინაცვლა და ახლა 84-ე ადგილზეა. ამ ქვეყნის ნაკრებს ურუგვაელი სპეციალისტი **ხორხე ფოსატი** წვრთნის. ფოსატის გუნდმა ოქტომბერში სამი მატჩი გამართა და ყველა მოიგო. ყატარელებმა 16 ოქტომბერს ერაყის ნაკრები შინ 3:2 დაამარცხეს, 21-ში შრი ლანკას სტუმრად, მინიმალური ანგარიშით 1:0 სძლიეს. მერე კი იგივე შრი ლანკა 28 ოქტომბერს შინ 5:0 გაანადგურეს.

ტოპმიოლერი ამ დღეებში დაბრუნდება საქართველოში. ჰერ კლაუსი თანაშემწეებთან ერთად, 11 ნოემბერს, ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალურ, „დინამო“-„ზესტაფონის“ მატჩს დაესწრება და ნაკრების საბოლოო შემადგენლობასაც ამის მერე დაასახელებს.

**დავით ცაბაძე**

# ტოპმიოლერი კაიზერის მრჩეველია

*პირველი გვერდიდან*

საქართველოს ნაკრების თავკაცის საკითხი ქართველი გულშემატკივრისათვის, სულერთი ნამდვილად არაა და ამ თემასაც ამიტომ ვუთმობთ დიდ ყურადღებას. საგულისხმოა, რომ „ლაუტერნის“ ფანების სრული უმრავლესობა ემხრობა კლუბის კლაუს ტოპმიოლერთან თანამშრომლობას და სპორტულ საქმეში მის ჩარევას.

*„კლაუს ტოპმიოლერსა და „კაიზერსლაუტერნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დიტერ ბუხგოლცს შორის მოლაპარაკებები სამ საათზე მეტხანს გრძელდებოდა და შედეგიანად დასრულდა, მხარეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. კლაუს ტოპმიოლერი საპატიო სპორტული მრჩეველი გახდა და მას ამიერიდან მხოლოდ სპორტულ საქმეებში ჩარევა დაევალება. კლაუს ტოპმიოლერმა „ლაუტერნის“ კლუბის ხელმძღვანელობას უკვე შესთავაზა გუნდის გაძლიერების საკუთარი ხედვა და კონკრეტული მოსაზრებებიც გააცნო. გაცნობებთ, რომ 56 წლის კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია და მან განაცხადა, რომ ამ ორი საქმის შეთავსება არ გაუჭირდება. ტოპმიოლერი წლების წინათ თავადვე ასპარეზობდა „კაიზერსლაუტერნში“ და ამ კლუბის ცოცხალ ლეგენდადაა მიჩნეული. კლაუს ტოპმიოლერმა „ლაუტერნის“ მაისურით 204 მატჩში 108 გოლი გაიტანა“,* - ნათქვამია გერმანულ „ფაინენშელ თაიმსში“.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ კლაუს ტოპმიოლერმა „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობას უკვე შესთავაზა კლუბის გაძლიერების გეგმა და კონკრეტული მოსაზრებები გააცნო. ჯერ კიდევ ათიოდე დღის წინათ, მაშინ როცა კლაუს ტოპმიოლერისა და „ლაუტერნის“ შესაძლო თანამშრომლობაზე პირველი ცნობები გაჩნდა, ჰერ კლაუსმა გერმანულ კლუბს, პრესით შესთავაზა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **ლევან ცქიტიშვილის** გადაბირება. ისიც დასძინა, რომ ცქიტიშვილი უკლუბოდაა, თავისუფალი აგენტია და მის სანაცვლოდ „ლაუტერნს“ თანხის გაღება არ დასჭირდებაო. კლაუს ტოპმიოლერს გუშინდელ შეხვედრაზე თუ არ უხსენებია ლევან ცქიტიშვილი, ის ამ დღეებში კიდევ ერთხელ შეეხება ამ საკითხს. ამასთან, ცქიტიშვილის მიმართ ინტერესი ავსტრიულმა „შტურმმაც“ გამოთქვა. ამჟამინდელი ვითარების მიხედვით ლევან ცქიტიშვილის გზა „კაზიერსლაუტერნისკენ“ თუ არა, „შტურმისკენ“ მაინც მიდის. წუხელვე შევეცადეთ ლევან ცქიტიშვილთან დაკავშირებას, მაგრამ მისი ტელეფონი დუმდა.

**დავით ცაბაძე**



რალფ მინგე და კლაუს ტოპმიოლერი



დავით სირაძეს (43) შოტლანდიასთან გატანილ გადამწყვეტ გოლს ულოცავენ

ინტერვიუ დავით სირაძესთან

# ბრძოლა მეორე ბუნდესლიგასა და პადერბორნში დასარჩენად

## პენალტებს სირაძე დაარტყამს

**ლევან კობიაშვილმა და დავით სირაძემ „ჩელსისა“ და „შალკეს“ გუშინდელ მატჩს ერთად ადევნეს თვალი. სირაძეს შესვენებისას დავუკავშირდით და ახალი ამბები გამოვკითხეთ. ეროვნული გუნდის ფორვარდმა სანაკრებო თემაზე „ლელოს“ ერთ-ერთ წინა ნომერში ისაუბრა და რაკი ტოპმიოლერის გუნდი მას შემდეგ აღარ შეკრებილა, საკლუბო ამბებზე გვიამბო. დროის სიმცირის გამო, კობიაშვილთან გასაუბრება ვერ მოვანარით, როგორც დათომ გვითხრა, ლევანმა ვარჯიში სრული დატვირთვით განაახლა და მოედანსაც მალე დაუბრუნდება.**

- გელზენკირხენში, ბუნებრივია, კობის მონწვევით ვარ. სტადიონზე შესანიშნავი ატმოსფეროა და დიდი მატჩის ცქერით ვტკბები. წესით, აქ ალექსანდრე იაშვილიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

**- მეორე ბუნდესლიგაში კი „პადერბორნი“ ისევ ბოლო ადგილზეა და ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია.**

- სეზონი მართლაც საშინლად დავიწყეთ, მაგრამ თამაშის ხარისხი მალევე გამოვასწორეთ. ობიექტურად ვამბობ, რომ ხშირად არ გვიმართლებდა, თორემ დღეს შედარებით უკეთესი სატურნირო მდგომარეობა გვექნებოდა. თუნდაც გასული ტური ავიღოთ - შინ „მაინცს“ აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ 1:1-ს დავჯერდით. ჩემმა თანაგუნდელმა პენალტი ვერ გამოიყენა, მე კი ბურთი ძელს გავარტყი. მატჩის შემდეგ ყველამ მითხრა, რომ სჯობდა, ის თერთმეტმეტრიანი მე შემესრულებინა. ვფიქრობ, მზად ვარ მომავალში ეს პასუხისმგებლობა ვიტვირთო. ეს მწვრთნელმაც იცის და სავარაუდოდ, ანი „პადერბორნის“ საშტატო პენალტისტი ვიქნები.

**- საკუთარი ფორმით კმაყოფილი ხარ?**

- ქართველ გულშემატკივარს მეორე ბუნდესლიგის ხილვის საშუალება არა აქვს და მხოლოდ ნაკრების შემადგენლობაში მხედავს. ვფიქრობ, ეროვნულ გუნდში ურიგოდ არ გამოვიყურები, „პადერბორნში“ ამაზე უარესად ნამდვილად არ ვთამაშობ, იმედია, ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველ გოლს მალე გავიტან.

**- ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ ხვდები, ძლიერი კონკურენტები გყავს?**

- კი, „პადერბორნს“ რამდენიმე ძლიერი თავდამსხმელი ჰყავს - ბოშკოვიჩი, დამიანოვიჩი, ლიოვე, როტგერი, კოენი... თავის გამოჩენის შანსი დროდადრო ყველას გვეძლევა. საწუწუნო არაფერი მაქვს, ჩვენთან ჯანსალი კონკურენციაა და მოედანზე ყოველთვის საუკეთესო ფორმაში მყოფი ფეხბურთელები გადიან.

**- მწვრთნელის შეცვლაზე ხომ არაა საუბარი?**

- არა, ჰოლგერ ფახს კლუბის ხელმძღვანელობისგან დიდი ნდობა და მხარდაჭერა აქვს. მას ფეხბურთელებთანაც შესანიშნავი ურთიერთობა აქვს, ძლიერი სპეციალისტი და კარგი პიროვნებაა. ყველა ერთ მუშტად ვართ შეკრული და გვჯერა, რომ შედეგებს გამოვასწორებთ. ვფიქრობ, პირველი გამარჯვება საკუთარი ძალების რწმენას შეგვმატებს და ყველაფერი უკეთესობისკენ წავა.

**- როგორ გგონია, „პადერბორნი“ შენს წინა კლუბებზე უკეთესია თუ უარესი?**

- მეორე ბუნდესლიგა საკმაოდ თანაბარი ჩემპიონატია, აქ ნებისმიერმა გუნდმა ნებისმიერს შეუძლია მოუგოს, თითოეული ქულის მოპოვებას უდიდესი თავდადება სჭირდება. ასე რომ, ვერ ვიტყვი, რომ მეორებუნდესლიგური გუნდები ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდებიან. „პადერბორნი“ დღეს ჰგონია ხალხს სუსტი გუნდი, თორემ სეზონის წინ პირველ ბუნდესლიგაში გადასვლის რეალურ კანდიდატან მიიჩნეოდა.

**- დიდი ხანი არაა, რაც „პადერბორნში“ მიხვედი, მაგრამ თუ კლუბმა ასე გააგრძელა ასპარეზობა, ალბათ, ადგილსამყოფლის შეცვლა მოგიწევს.**

- თუ გუნდი რეგიონალლიგაში დაქვეითდა, „პადერბორნიდან“ აუცილებლად წავალ, სხვა შემთხვევაში, აქ თამაშს სიამოვნებით გავაგრძელებ, „პადერბორნში“ აბსოლუტურად ყველაფერი მაკმაყოფილებს. იმედია, 2-წლიანი კონტრაქტის ნაადრევად განყვეტა არ მომიწევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შაშიაშვილი ევროსაგზურს უმიზნებს

ავსტრიულ პრესასთან საუბარში **გიორგი შაშიაშვილმა** იმედი გამოთქვა, რომ გრაცის „შტურმი" უეფას თასის საგზურს მოიპოვებს. „ვერ ვიტყვი, რომ წარმატებულ სეზონს ვატარებთ, მაგრამ სტაბილურად ვერც სხვა კლუბები ასპარეზობენ. სულაც არაა გამორიცხული, რეალურად შევძლოთ ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ჩვენი პროგრამა-მინიმუმი კი უეფას თასის საგზურია. ყველაფერი ჩვენს ხელთაა, მჯერა, ჩვენი გუნდი თამაშის ხარისხს მალე გააუმჯობესებს", - ამბობს შაშიაშვილი.

მან თავის ავსტრიულ კარიერაზეც ისაუბრა: „როგორც კი „შტურმის" წინადადება მივიღე, ბევრი არ მიფიქრია. ყოველთვის მსურდა ნორმალურ ევროპულ ლიგაში თამაში და მოხარული ვარ, ეს რომ შევძელი. „შტურმის" ძირითად შემადგენლობაში ფეხი თავიდანვე მოვიკიდე, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ მოდუნება არ შეიძლება, აქ საკმაოდ მწვავე კონკურენციაა და ამის უფლება არ მაქვს. საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ მეტიც შემიძლია და თუ ჯანმრთელობამ შემიწყო ხელი, მალე გუნდს უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან".

საქართველოს ნაკრების მცველმა ისიც გაიხსენა, რომ **დავით მუჯირი** „შტურმის" ღირსებას წლების განმავლობაში იცავდა. „ვიცი, რომ დავითი დიდი ხანი იყო „შტურმის" ერთ-ერთი ლიდერი. მინდა, აქ დიდხანს დავრჩე და გულშემატკივრებმა მასავით შემიყვარონ. თუმცა ქომაგთა მხარდაჭერა და პატივისცემა ისედაც არ მაკლია", - აცხადებს გრაცელთა ქართველი ლეგიონერი.

ცნობისათვის, ავსტრიის 10-გუნდიან ბუნდესლიგაში „შტურმი" დღეისათვის 26 ქულით მე-6 ადგილზეა, მაგრამ სატურნირო ცხრილი მეტად მჭიდროა - ლიდერი ვენის „აუსტრია" „შტურმს" მხოლოდ 5 ქულით უსწრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# როდის დაბრუნდება არველაძე?

**არველაძე** მოედანს უკვე დაუბრუნდა - ვარჯიშობს ბურთით და უბურთოდ, თუმცა სრულ დატვირთვებს მისი მარჯვენა მუხლი ჯერაც ვერ ჰგუობს.

„ალკმაარიდან" ვალენსიურ „ლევანტეში" გადასულმა არველაძემ ზედიზედ ორი ოპერაცია გაიკეთა , მეორე ოპერაციიდან ორი თვე გავიდა და ჯერაც გაურკვეველია, სრულად როდის გამოჯანმრთელდება ის. როგორც შოთამ გვითხრა, ექიმები იმასაც ვერ ეუბნებიან, თუ დაახლოებით როდის შეძლებს ფეხბურთის თამაშს.

არველაძის უთამაშებლობით „ლევანტეს" საშუალება მიეცა, რომ გაისამდე მის ნაცვლად რომელიმე სხვა ფეხბურთელი შეიყვანოს გუნდის განაცხადში. ესპანეთის პრიმერადივიზიონის აუტსაიდერს ახალი ფეხბურთელით გაძლიერება ნამდვილად არ აწყენდა.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, არველაძე 2008 წლამდე ვერ ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე



გიორგი შაშიაშვილი

# ასათიანი გამარჯვებაში დარწმუნებულია

„ლოკომოტივი" რუსეთის ჩემპიონატს მეტისმეტად წარუმატებლად ასრულებს და მის წევრებს ისღა დარჩენიათ, უეფას თასზე აჩვენონ ნორმალური შედეგი. შეგახსენებთ, რკინიგზელებმა ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში მადრიდის „ატლეტიკოს" უმასპინძლეს, სანახაობრივი და დრამატული მატჩი 3:3 დასრულდა. **მალხაზ ასათიანს** იმ პერიოდში მცირე ტრავმა ჰქონდა, საქართველოს ნაკრების ლიდერმა ვერც ესპანელებთან ითამაშა და რუსულ პრემიერლიგაშიც ხანმოკლე იძულებითი პაუზა ჰქონდა.

ხვალ „ლოკომოტივი" ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში, სტუმრად, შოტლანდიურ „აბერდინს" ეთამაშება. ასათიანი უკვე მწყობრშია და ბუნებრივია, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა** იგი ბრიტანეთში წასაყვან მოთამაშეთა სიაშიც შეიყვანა და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ძირითადშიც გაამწესებს. „ატლეტიკო" ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მასთან საშინაო ფრე ურიგო შედეგი არ იყო. „აბერდინს" რაც შეეხება, მეტოქეს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ „ლოკომოტივი" უკეთესი კლუბია და დარწმუნებული ვარ, ამას მოედანზე აუცილებლად დავამტკიცებთ", - ამბობს ასათიანი.

„ლოკომოტივთან" დაკავშირებით ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით. არაა გამორიცხული, უახლოეს პერიოდში ანატოლი ბიშოვეცმა გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვოს და და მის ნაცვლად გუნდი უკრაინის ნაკრების ამჟამინდელ თავკაც **ოლეგ ბლოხინს** ჩააბარონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ადამია ჯერ მესამეა

აზერბაიჯანში მორიგი, მეათე ტურის მატჩები გაიმართა. **გიორგი ადამიას** „ნეფთჩი" რესპუბლიკურ სტადიონზე „ქარვანს" მასპინძლობდა. ამ მატჩს 3 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. საკმაო ხნის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში ქართველი ნახევარმცველი მოხვდა. **ნადირ ნაბიევმა** ადამია 81-ე წუთზე შეცვალა. „ქარვანის" რიგებში ითამაშეს **გოჩა ტრაპაიძემ** (პირველი ტაიმი) და **ალექსანდრე ინწკირველმა** (სრულად, გააფრთხილეს). „ნეფთჩი" 20 ქულით მესამე ადგილზეა, „ქარვანი" 12 ქულით მეცხრეა.

„კაბალამ" შინ 2:1 დაამარცხა „თურანი", მასპინძელთა კარს **ზურაბ მამალაძე** იცავდა, **ირაკლი ვაშაკიძემ** სრულად ითამაშა ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, **თორნიკე აფციაური** 75-ე წუთზე შეცვალეს, **გიორგი გაბიდაურმა** 90 წუთი ითამაშა. მოკლედ, **რამიზ მამედოვმა** სასტარტოში ერთბაშად ოთხი ქართველი ათამაშა, რომელთაგან გაბიდაურმა ყვითელი ბარათი მიიღო. „კაბალა" 15 ქულით მეექვსე ადგილზეა.

„ბაქიმ" ჩემპიონ „ხაზარს" უმასპინძლა და დაუზავდა - 2:2. მატჩის 65-ე წუთზე **ამირან მუჯირმა ალექსანდრე გობერიშვილი** შეცვალა, რომელიც მანამდე გააფრთხილეს. მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არაობიექტური მსაჯობის გამო ჩემპიონატს ბოიკოტს უცხადებს. „ბაქი" 15 ქულით მეშვიდეა. „სტანდარდი" შინ 0:1 დამარცხდა „ყარაბახთან". მასპინძელთა ნახევარმცველმა **ლადო უგრეხელიძემ** მხოლოდ ბოლო 10 წუთი ითამაშა. სტუმართა მწვრთნელმა **რასიმ კარამ გოგა ბერაია** 69-ე წუთზე შეცვალა, **ირაკლის** საერთოდ არ უთამაშია. „ყარაბახი" 12 ქულით მეცხრე ადგილზეა, ხოლო „სტანდარდი" 7 ქულით მე-11-ზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მუჯირის გოლი ტურში საუკეთესოა

პოპულარული რუსული გამოცემა „სოვეტსკი სპორტი" ყოველი ტურის შემდეგ საუკეთესო გოლის ავტორს ავლენს. 29-ე ტურში ასეთად სამარის „კრილია სოვეტოვის" ქართველი ლეგიონერის **დავით მუჯირის** გოლი აღიარეს. დათომ თავი მოსკოვის „ლოკომოტივთან" მატჩში გამოიჩინა და ამაზე უკვე ვწერდით. სამარელებმა 3:1 გაიმარჯვეს და პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

„სოვეტსკი სპორტი" მუჯირის პირველობას ამგვარად ასაბუთებს:"მუჯირმა გოლით არა მარტო პირველი ადგილი მოიპოვა 29-ე ტურში, არამედ „კრილიას" პრემიერლიგაში ადგილიც შეუნარჩუნა. გოლი კი ასე გავიდა. ფლანგიდან ბურთი „ლოკომოტივის" საჯარიმოში ტოპიჩმა მიიღო, რომლისგანაც შემდეგ საჯარიმოს ხაზთან გაგორდა მუჯირისკენ. მან წამიერად ჩაუდგა მეტოქეს კორპუსი და კარისკენ მოწყვეტით დაარტყა. დარტყმა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ მეკარე პოლიაკოვის ხელები ისე გახვრიტა, როგორც საკერავმა მანქანამ ნაჭერი"?

**მერაბ მამულაშვილი**



დავით მუჯირი (20)

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის წინ

# ანრი: მომენტები გვექნება, მთავარია, გავიტანოთ!

## მანჩესტერი, რომა და არსენალი მერვედფინალთან ძალიან ახლოს არიან...

### E ჯგუფი

### ლიონი-შტუტგარტი

მესამე ტურის წინ "ლიონის" ხელმძღვანელები ამბობდნენ, ჯგუფიდან გასვლაზე ხელი ჩაქნეული გვაქვსო, "შტუტგარტში" კი აბსოლუტურად განსხვავებული ატმოსფერო იყო - შვაბები გაიძახოდნენ, მერვედფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ არისო. მაგრამ, რა მოხდა? "ლიონმა" "შტუტგარტს" სტუმრად მოუგო და მესამე ადგილზე დამკვიდრდა, გერმანიის მოქმედ ჩემპიონს კი სამივე თამაში წაგებული აქვს. შესაბამისად, დღეს, "ჟერლანდზე" გასამართი მატჩის წინ, გერმანული კლუბი ფაქტობრივად უიმედო მდგომარეობაშია, "ლიონს" კი პირიქით, მოგების შემთხვევაში პლეიოფში გასვლის რეალური შანსი უჩნდება. შტუტგარტელებმაც გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლონ, რადგან მხოლოდ მოგების შემთხვევაში შეინარჩუნებენ მესამე ადგილის დაკავებისა და უეფას თასზე გადასვლის შანსს, თანაც, ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსიც შერჩებათ, მაგრამ იმის ფონზე, რომ **არმინ ფეეს** გუნდს ჯერაც 0 ქულა აქვს, რაღაც შანსებზე საუბარი და გამარჯვებაზე ოცნება, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა. ერთადერთი, რაც შვაბი ქომაგების გულს ახარებს, ზედიზედ სამი თამაშის მოგებით მიღებული თავდაჯერება და **ჰიტცლშპერგერის**, **დელპიერისა** და **ბაშთურქის** ლაზარეთიდან დაბრუნებაა.

მაგრამ ამ თამაშის ფავორიტი, რა თქმა უნდა, "ლიონია", რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატში ისევ გალიდერდა. ნინდაწინვე ცნობილია, რომ ფრანგული გრანდის დამრიგებელი **ალენ პერენი** სამ თავდამსხმელს გამოიყვანს (**გოვუ, ბენზემა, ბენ არფა**). "ლიონის" ბრაზილიელი ლიდერი **ჟუნინიო პერნამბუკანო** ამბობს, გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფში მესამე ადგილს გავინაღდებთ და მერე უფრო წინაც გავიხედებითო. *"მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ თამაშსაც ისევე იოლად მოვიგებთ, როგორც ორიოდ კვირის წინათ გავიმარჯვეთ, ძალიან ცდება,"* - ამბობს საჯარიმო დარტყმების უბადლო ოსტატი.

საპარაუდო შემადგენლობები:

**ლიონი:** ვერკუტრი, რევეილერი, სკილაჩი, ანდერსონი, გროსო, ჟუნინიო პერნამბუკანო, ფაბიო სანტუში, კალსტრიომი, გოვუ, ბენზემა, ბენ არფა.

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ბეკი, ტასკი, დელპიერი, მანინი, პარდო, მეირა, ჰიტცლშპერგერი, ბაშთურქი, გომესი, კაკაუ.

**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი).

### ბარსელონა-რეინჯერსი

"ბარსელონასა" და "რეინჯერსს" 7-7 ქულა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებულისთვის პირველი ადგილის წართმევა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, "ბარსაა". შეგახსენებთ, რომ "აიბროქსზე" გამართული მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა და ესპანურ გრანდს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ჯერ გოლი არ გაუშვია. გასულ უქმეებზე **ფრანკ რიიკაარდის** გუნდმა "ბეტისთან" მატჩში თავისი ამოცანა პირნათლად შეასრულა და ხსენებული შეხვედრა 3:0 მოიგო. გლაზგოელებმა კი "ინვერნესი" დაამარცხეს (2:0) და "სელტიკს" 3 ქულით ჩამორჩებიან.

"ბეტისთან" მატჩში "ბარსას" იტალიელ მცველ **ჯანლუკა ძამბროტას** კუნთი დაეჭიმა და დღეს მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. **ტიერი ანრი** მიიჩნევს, რომ "რეინჯერსის" დასამარცხებლად მის გუნდს მხოლოდ ერთი რამ სჭირდება და კერძოდ საგოლე მომენტების გამოყენება. *"მჯერა, რომ ამ შეხვედრას უპრობლემოდ მოვიგებთ და არა მგონია, რომ რიიკაარდმა ძირითადი შემადგენლობა შეცვალოს. ჩვენ შოტლანდიაშიც ძალიან კარგად ვითამაშეთ და "რეინჯერსის" კართან არაერი სახიფათო მომენტი შევქმენით. ჩვენი ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მომენტების რეალიზება ვერ შევძელით. ამრიგად, ერთადერთი ამოცანაა ისაა, რომ საგოლე შანსებს უფრო სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ მომენტები უხვად გვექნება,"* - აცხადებს ანრი.

"რეინჯერსის" თავდამსხმელი **ჟანკლოდ დარშევილი** ფიქრობს, რომ მის გუნდს "კამპ ნოუდან" 3 ქულის წაღება შეუძლია. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინათ მომჯობინდა და აღიარებს, რომ საუკეთესო ფორმაში არაა, მაგრამ მოტივაცია იმდენად დიდია, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაში ძალიან უნდა. *"ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დაცვაში ყურადღებით ვითამაშოთ. დარწმუნებული ვარ, რომ გოლის გატანის შანსი ჩვენც გვექნება,"* - ამბობს დარშევილი და იქვე ამატებს, - *"რეინჯერსს" აქვს იმის პოტენციალი, რომ "კამპ ნოუდან" 3 ქულა წაიღოს."*

საპარაუდო შემადგენლობები:

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ტიურამი, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, ი. ტურე, რონალდინიო, მესი, ანრი.

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, კუელარი, ჰატონი, უეირი, პაპაცი, ბიზლი, ბ. ფერგიუსონი, ემდანი, ბოიდი, მაკკალოხი, დარშევილი (ან ნოვო).

**მსაჯი:** ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 4. შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |



არსენ ვენგერს უკმაყოფილების საბაბი არა აქვს - მისი გუნდი შესანიშნავ ფორმაშია

### F ჯგუფი

### მანჩესტერი-დინამო

დიდი შანსია, რომ ამ ტურმა F ჯგუფში ყველაფერი გაარკვიოს - ვინ ითამაშებს მერვედფინალში, ვინ გადავა უეფას თასზე და ვინ დარჩება საერთოდ ხახამშრალი. ბოლო რანგი, ცხადია, კიევის "დინამოს" ემუქრება, რომელსაც სამივე თამაში წაგებული აქვს. უკრაინული კლუბი დღეს "მანჩესტერ იუნაიტედს" სტუმრობს და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ "დინამოს" წარმატებაზე (თუნდაც ფრეზე) ფიქრი ძალიან არარეალურია. თანაც უკრაინელებმა ეროვნულ ჩემპიონატშიც მორიგი მარცხი (შინ, "მეტალისტთან") იწვნიეს და ამას ისიც ემატება, რომ გუნდის მთავარი მწვრთელი **იოჟეფ საბო** ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით თანამდებობიდან გადადგა. არადა, ეს უკანასკნელი ამ პოსტზე სექტემბერში დაინიშნა, როცა **ანატოლი დემიანენკო** შეცვალა. დღეს, კიევის "დინამოს" "ოლდ ტრაფორდზე" საბოს თანაშემწე **ოლეგ ლუჟნი** გაიყვანს. "მენიუმ" გასულ უქმეებზე ლონდონის "არსენალთან" (2:2) უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდმა მთელი ძალები იმ შეხვედრაში დახარჯა, მაგრამ "მანჩესტერმა" კიევურ კლუბს ნახევარი ძალითაც უნდა მოუგოს.

საპარაუდო შემადგენლობები:

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კ. რონალდო, ჰარგრივსი, ანდერსონი, გიგზი, რუნი, ტევესი.

**დინამო:** შოვკოვსკი, კორეა, დიაკიტე, გიოანე, დოპილკა, ელ ქადური, დიოგო რინკონი, იუსუფი, გუსევი, შაცკიხი, მილევსკი.

**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია).

### სპორტინგი-რომა

საკმარისია, "რომამ" ეს თამაში მოიგოს, რომ "ჯალოროსი" მერვედფინალის საგზურს ავტომატურად გაიფორმებს. მართალია, წინ კიდევ ორი თამაში იქნება დარჩენილი და "რომაც" "სპორტინგს" 6 ქულით გაასწრებს, მაგრამ რაკი **ლუჩანო სპალეტის** გუნდმა პორტუგალიური კლუბი სახლშიც დაამარცხა (2:1), "სპორტინგს" მეორე ადგილზე გასვლის თეორიული შანსიც აღარ შერჩება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რომაელებს "ჟოზე ალვალადედან" სამი ქულის წაღება ძალიან გაუჭირდებათ.

"ჯალოროსის" თავკაცი გასულ უქმეებზე ძალიან უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მისმა გუნდმა სერია A-ს კალენდარულ მატჩში "ემპოლისთან" ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა. ჩვენ დაახლოებით 10 საგოლე მომენტი გვქონდა და ამ შეხვედრის მოგება თავისუფლად შეგვეძლო, "სპორტინგთან" ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდესო, ამბობს სპალეტი. "რომას" დღეს ისევ არ ეყოლება **ფრანჩესკო ტოტი**, რომელიც "სპორტინგთან" საშინაო მატჩის დროს დაშავდა. მართალია, კაპიტანი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ექიმები მიიჩნევენ, რომ დღევანდელ შეხვედრაში მისი ასპარეზობა დიდ რისკთან იქნება დაკავშირებული. შესაბამისად, სპალეტი რისკზე არ წავა და დღეს ისევ **მირკო ვუჩინიჩს** ათამაშებს, რომელიც საკმაოდ კარგ ფორმაშია. ტოტის გარდა, "რომას" ლაზარეთში **ალბერტო აკვილანი, როდრიგო ტადეი, კრისტიან პანუჩი** და **მარკო ანდრეოლი** ჰყავს.

საპარაუდო შემადგენლობები:

**სპორტინგი:** სტოიკოვიჩი, პოლგა, რონი, ტონელი, ველოსო, აბელი, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, იზმაილოვი, ლიდსონი, პუროვიჩი.

**რომა:** დონი, სისინიო, ჟუანი, ფერარი, კასეტი, ჟილი, პეროტა, პისარო, ბრიგი, მანსინი, ვუჩინიჩი.

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

### G ჯგუფი

### ინტერი-ცსკა

ამ ჯგუფში საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მერვედფინალის ორი საგზურისთვის "ინტერი", "ფენერბაჰჩე" და "ეინდჰოვენი" იბრძოლებენ, ცსკა კი ფაქტობრივად, უშანსოდაა. შესაბამისად, დღეს იტალიურ გრანდს შესანიშნავი შანსი აქვს, მორიგი სამი ქულა მოიპოვოს და უფრო მშვიდად იყოს, ვიდრე ახლაა. შეგახსენებთ, რომ "ნერაძურიმ" არმიელებს მოსკოვშიც მოუგო (2:1). "ინტერის" გულშემატკივრების ერთადერთი სანერვიულო დღეს **ლუიშ ფიგუს** მდგომარეობაა, რომელმაც "იუვენტუსთან" მატჩის დროს (1:1) სერიოზული ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. გამორიცხული არც ისაა, რომ ლეგენდარულმა პორტუგალიელმა კარიერაც კი დაამთავროს.

ცსკა-ს თავკაც **ვალერი გაზაევს** კი ორი წამყვანი ფიგურა აკლია - მილანში ვერ გაემგზავრა გუნდის კაპიტანი **სერგეი იგნაშევიჩი**, რომელმაც ტრავმა 31 ოქტომბერს, რუსეთის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში (ნალჩიკთან) მიიღო და მოსკოვში დარჩა ლიტველი მცველი **დეივიდას შემბერასიც**.

საპარაუდო შემადგენლობები:

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ხ. ძანეტი, კამბიასო, დაკური, სესარი, კრუსი, იბრაჰიმოვიჩი.

**ცსკა:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, კრაშიჩი, გრიგორიევი, ალდონინი, დუდუ, რახიმიჩი, ჟირკოვი, რ. კარვალიო, ჟო.

**მსაჯი:** პოლ ალერტსი (ბელგია).

### ფენერბაჰჩე-ეინდჰოვენი

გაცილებით დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს "ფენერბაჰჩესა" და "ეინდჰოვენის" დაპირისპირება. ეს გუნდები ერთმანეთის კონკურენტები არიან და დიდი შანსია, რომ ბოლოს ყველაფერი ურთიერთშეხვედრების ბალანსმა გადაწყვიტოს და ამიტომაც, უპრიანია შეგახსენოთ, რომ პირველი დაპირისპირება ფრედ 0:0 დასრულდა. შესაბამისად, დღეს "ფენერი" ყველაფერს გააკეთებს, რომ "ეინდჰოვენი" დაამარცხოს. გასულ უქმეებზე პსვ-მ "ჰერენვენთან" 1:2 წააგო. იმ თამაშისთვის გუნდი **იან ვოუტერსმა** მოამზადა, რომელიც **რონალდ კუმანის** "ვალენსიაში" წასვლის შემდეგ დროებით თავკაცად დაინიშნა. თუ ეინდჰოვენელი დღესაც დამარცხდებიან, ცხადია, რომ ამ სპეციალისტს გუნდში დიდხანს არავინ გააჩერებს. "ეინდჰოვენის" გაწვრთნა უკვე შესთავაზეს "ტოტენჰემის" ექს-თავკაც **მარტინ იოლს**, მაგრამ ამ უკანასკნელს დასვენება უნდა. პსვ-ს გაწვრთნაზე უარი თქვა **დიკ ადვოკაატმაც**.

საპარაუდო შემადგენლობები:

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, ედუ დრაჩენა, თურაჩი, ბარისი, რობერტო კარლოსი, აურელიო, ალექს დე სოუზა, ვედერსონი, გიონული, თიუმერი, შენთურქი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, სალსიდო, კრომკამპი, ალსიდესი, მარსელისი, სიმონსი, პერესი, მენდესი, ბაკალი, ფარფანი, ლაზოვიჩი.

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 2. ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. ეინდჰოვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 4. ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

### H ჯგუფი

### სტიაუა-სევილია

ბუქარესტის "სტიაუამ" სამივე თამაში წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ რუმინელებმა მერვედფინალი უნდა დაივიწყონ. სამაგიეროდ, ამ გუნდს ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, რომ მესამე ადგილი დაიკავოს და უეფას თასზე გადავიდეს. "სტიაუა" პრაღის "სლავიას" სამი ქულით ჩამორჩება და უნდა შეგახსენოთ, რომ მომდევნო ტურში ჩეხურ კლუბს უმასპინძლებს (პირველი თამაში "სლავიამ" 2:1 მოიგო). ამას გარდა, "სტიაუას" მოტივაცია ისიცაა, რომ რუმინეთის ჩემპიონატის რეიტინგისთვის ქულები დააგროვოს. "სევილიას" კი



ტიერი ანრი და ლეო მესი რეინჯერსისთვის ემზადებიან

ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს და ამისთვის ბუქარესტიდან 3 ქულის წაღება სჭირდება (თანაც, არსენალმა "სლავიას" უნდა მოუგოს). შეგახსენებთ, რომ წინა თამაში ესპანურმა კლუბმა 2:1 მოიგო. გასულ უქმეებზე ანდალუსიელებმა მადრიდის "რეალი" 2:1 დაამარცხეს და შესანიშნავ განწყობაზე არიან. "სევილიას" დღეს ნახევარმცველი **დუდა** არ ეყოლება.

საპარაუდო შემადგენლობები:

**სტიაუა:** ზაპატა, გოიანი, მარინი, ემეგარა, რადა, ნიკოლიტა, დიკა, პეტრე, კროიტორუ, იაკობი, სურდუ.

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, დრაგუტინოვიჩი, ფაციო, ხ. კრესპო, ადრიანო, პოულსენი, ხესუს ნავასი, ს. კეიტა, ლუიშ ფაბიანო, კანუტე.

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია).

### სლავია-არსენალი

"არსენალს" სამივე თამაში მოგებული აქვს და ალბათ აღარ არსებობს ადამიანი, რომელსაც ეჭვი ეპარება იმაში, რომ **არსენ ვენგერის** შესანიშნავ ფორმაში მყოფი გუნდი მერვედფინალში ვერ გავა. თავად განსაჯეთ: დღეს "მეთოფეები" პრაღის სლავიას სტუმრობენ და იმისთვის, რომ მერვედფინალის საგზური გაიფორმონ, ფრეც ჰყოფნით. "სლავია" მაქსიმალურად ეცდება, რომ ორი კვირის წინათ მიღებული ცივი შხაპი (0:7 ლონდონში) დაივიწყოს და დაამტკიცოს, რომ ის სამარცხვინო წაგება შემთხვევითობა იყო. ყოველ შემთხვევაში, პრაღელებს მინიმუმ ის უნდათ, რომ ასეთი კატასტროფა აღარ განმეორდეს.

*"არსენალი" იდეალურ ფორმაშია და დარწმუნებული ვარ, რომ მერვედფინალის საგზურს ახლავე გავინაღდებთ. მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად აბსოლუტურად ყველა შესაძლო ტიტული მოვიგო,"* - აცხადებს ლონდონელთა მცველი **ვილიამ გალასი**.

საპარაუდო შემადგენლობები:

**სლავია:** ვანიაკი, პუდილი, ჰუბაჩეკი, კრაიჩიკი, სუხი, კალივოდა, შვეცი, ტავარესი, ივანა, შენკერიკი, ვიჩეკი.

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, გალასი, კოლო ტურე, სანია, ებუე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, როსიცკი, ადებაიორი.

**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| 2. სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| 3. სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-12 | 3 |
| 4. სტიაუა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

ინტერვიუ რონალდინიოსთან

# მიყვარს კატალონია...

**დაუნდობელი** და სასტიკი კრიტიკის შემდეგ, რონალდინიომ პრესის ქება დაიმსახურა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ბრაზილიელი ფორვარდის ის აშკარა პროგრესია, რომელიც მან ბოლო დღეების განმავლობაში განიცადა. გაუჩომ წინა ორ ტურში სამი გოლი გაიტანა. ერთხელ მან "ვალიადოლიდს" შეუგდო, ორჯერ კი (გასულ კვირას) "ბეტისს". სამი გოლი განსჯის საგანი გახდა. რონალდინიომ მრავალთვიანი პაუზის შემდეგ ესპანური მედიისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე საინტერესო თემას შეეხო. სამხრეთამერიკელს არ დაუმალავს, რომ პრესაზე ძალიან განაწყენებულია, რადგან მედიამ მას უსამართლოდ შეუტია და ფეხბურთელის გარშემო უკიდურესად უარყოფითი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

**- შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საშინაო შეხვედრებში საუკეთესო ევროპული გუნდი ხართ.**

- გეთანხმებით, "კამპ ნოუზე" მართლაც ფანტასტიკურად ვთამაშობთ, მაგრამ შეუძლებელია, "ბარსელონა" ამით დაკმაყოფილდეს. ახლა ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ გასვლითი შეხვედრებიც უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ. ჩვენი ამოცანა ძალიან მარტივია, "ბარსელონა" სტუმრად და შინ თანაბრად სახიფათო უნდა გახდეს. დარწმუნებული ვარ, ამ მიზანს მივაღწევთ. ეს მხოლოდ დროის საკითხია.

**- "ვალიადოლიდთან" დაკარგული ორი ქულის შემდეგ ფრანკ რაიკაარდმა ღიად განაცხადა, ფრეს იმიტომ დავჯერდით, რომ ჩემს შეგირდებს თავგანწირვა აკლდათო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ვცდილობთ, მატჩიდან მატჩამდე მოვუმატოთ. ბუნებრივია, ამ პროცესში მთავარი მწვრთნელის გარეშე ვერაფერს გავხდებით. ამიტომ, რაიკაარდს ყოველი ჩვენგანი უდიდეს პატივს მიაგებს. დამრიგებელს ულაპარაკოდ უნდა დავემორჩილოთ. მხოლოდ ის უნდა გავაკეთოთ, რასაც მწვრთნელი გვეტყვის. ამ თვალსაზრისით პრობლემა არასაოდეს გვქონია.

**- უკეთესობას დღითი დღე უფრო მეტად გრძნობთ?**

- როგორ გითხრათ, ახლა ბევრად უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, ბევრად უფრო კმაყოფილი გახლავართ. ბოლო ტრავმის შემდეგ სასურველი კონდიციის დაბრუნება საკმაოდ გამიჭირდა. ახლა დიდი შემართებით ვმუშაობ. იმედია, უახლოეს მომავალში 100 პროცენტით ვიქნები მზად.

**- როგორ გავიგოთ, 100 პროცენტით ჯერაც არ ხართ მზად?**

- სამწუხაროდ, არა. მუშაობას ჩვეული ენთუზიაზმით ვაგრძელებ. ვინც მიცნობს, აუცილებლად დამეთანხმება, რომ რონალდინიოს იმაზე გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ახლა თამაშობს.

**- როგორ ფიქრობთ, საკუთარი შესაძლებლობების რწმენისა და გულშემატკივრების კეთილგანწყობის დასაბრუნებლად სწორედ ისეთი შეხვედრა გჭირდებოდათ, როგორიც "ბეტისთან" ჩაატარეთ?**

- ძნელი სათქმელია. ლამაზი გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში მისასალმებელი და სასიხარულოა. "ბეტისთან" ბევრი რამ გამოგვივიდა. გულშემატკივრები სიამოვნებისგან გმინავდნენ. ჩვენც დიდი სიამოვნება მივიღეთ. სულ სხვაა "ბარსა", რომელიც საკუთარი თამაშით სიამოვნებას იღებს. ამ გუნდის შეჩერება ფაქტობრივად, გამორიცხულია.

**- "ბარსელონის" მაისურით 90 გოლი გაქვთ გატანილი. რას გვეტყვით, შეძლებთ 100 ბურთის ამავე სეზონში შეგდებას?**

- სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ "ბარსელონაში" ასპარეზობისას ამდენ გოლს გავიტანდი. მეასე ბურთს რაც შეეხება, წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. რა თქმა უნდა, მცდელობას არ დავაკლებ, რომ ეს ზღურბლი ამავე სეზონში გადავლახო. ვნახოთ, მთავარია, ტრავმებმა ხელი არ შემიშალოს. 10 გოლი არ არის შეუსრულებელი მისია. მინდა ვისურვო, რომ პროგრესის გზით სიარულს კიდევ დიდი ხანი გავაგრძელებ.

**- კითხვა, რომელიც ყველას აინტერესებს. შეძლებთ იმ ბრწყინვალების დაბრუნებას, რომელიც რონალდინიოს ყველა სხვა დანარჩენისგან გამოარჩევდა...**

- მთავარია, რონალდინიო ყოველ შეხვედრას მაქსიმალურად მოტივირებულად შეხვდეს. თუ შესაძლებლობებს 100 პროცენტით გამოამჟღავნებ, ყველა მიზანს მიაღწევ.

**- თქვენი მისამართით ხშირად აუტანელი კრიტიკული მოსაზრებები გამოითქმებოდა. როგორ ეგუებოდით ამ ყოველივეს?**

- მართლაც, ჩემი მისამართით კრიტიკის ნიაღვარი იღვრებოდა. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მაგინებდა და მლანძღავდა. გამოგიტყდებით, ძალიან ვღიზიანდებოდი და ჟურნალისტების სახელის გაგონებაც არ მსურდა. თუმცა ვაცნობიერებ, რომ ფეხბურთელი კარიერის განმავლობაში ჟურნალისტებს არაერთხელ შეხვდება. მივხვდი, რომ ნერვები უნდა მომეთოკა. არადა, ახლაც ვფიქრობ, რომ ყველაფერი სწორედ პრესის ბრალი იყო. მზად ვიყავი, გამეგლიჯეთ, მაგრამ კანიბალი ხომ არ ვარ (იცინის).

**- გულწრფელად მითხარით. ლამაზი ფეხბურთის თამაში ახლა უფრო გიჭირთ?**

- არა. თამაში უნინდებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს. აი, ეს არის მთავარი. თუ რონალდინიო ფეხბურთისადმი გულგრილი გახდება და სიამოვნებას ვერ იგრძნობს, იმ დღეს მისი კარიერა დასრულდება. მჯერა, მე და "ბარსელონის" გულშემატკივრებს წინ უამრავი დაუვიწყარი და ულამაზესი საღამო გველის. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ რაც დრო გადის, ეფექტური დრიბლინგების შესრულება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. თუ რაიმე ინოვაციით არ გამოხვალ, ბურთს აუცილებლად წაგართმევენ.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ან გულშემატკივრები თქვენი კატალონიური კარიერის განმავლობაში ცუდად და უსამართლოდ გეპყრობოდნენ?**

- არა. თუ ცოტას გაგაკრიტიკებენ, ისტერიკამ არ უნდა მოგიცვას. მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე გულშემატკივრებსა და შენივე გუნდის ხელმძღვანელობას შეეხება. სხვათა შორის, მათი მხრიდან, ფაქტობრივად, არანაირი კრიტიკა არ ყოფილა. ეს საშინელი კამპანია პრესამ წამოიწყო. მოკლედ, ინჩასებისგან უსამართლობა არასოდეს მიგრძვნია.

**- არც ახლა, როცა თქვენს პირად ცხოვრებაზე ღიად საუბრობენ?**

- ჭორიკნებს რა დალევს? საზოგადოების ერთი ნაწილი ყოველთვის ჭორაობს, მაგრამ დამამტკიცებელ დოკუმენტებს ვერასოდეს გვაჩვენებენ. მრავალი წელიწადია აქ ვთამაშობ და ბუნებრივია, პირად ცხოვრებას გარკვეულ დროს ვუთმობ. ვიმეორებ, ასე უკვე წლებია გრძელდება, მაგრამ ვერავინ შეძლო თუნდაც ერთი კომპრომატი გამოემზეურებინა.

**- "ბარსელონაში" ძველებურად ბედნიერად გრძნობთ თავს?**

- როგორც ყოველთვის. მიყვარს "ბარსა", მიყვარს კატალონია და მიყვარს მისი გენიალური დედაქალაქი, რა თქმა უნდა, მოქალაქეებთან ერთად. კატალონიელები გენიალური ხალხია. მსურს, მათ გარემოცვაში კიდევ მრავალი წელიწადი ვიცხოვრო. არ ვიცი, დამიჯერებენ, თუ არა, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ისტორიას სწორედ "კამპ ნოუზე" ვქმნი. ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა (იცინის).

**- ძალიან გთხოვთ, აბსოლუტური გულწრფელობით მიპასუხეთ, წასვლაზე არასოდეს გიფიქრიათ?**

- არასოდეს. ერთხელაც არა... ასე რომ არ იყოს, რატომ დაგიმალავდით. ვიტყოდი გულწრფელად, რომ სხვა გუნდში კარიერის გაგრძელებაზე ვფიქრობ. მორჩა და გათავდა. თუ ვინმეს სპეკულაციების ტალღის აგორება სურს მისი ნებაა, მაგრამ ფანტაზიორობით რეალობა არ შეიცვლება.

**ილია ნიკოლაიშვილი**



რონალდინიო



ადრიანო და მანჩინი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ადრიანოს აგდებენ?

## მილანი და ვესტ ჰემი მზად არიან...

**ადრიანოსა** და "ინტერს" შორის პრობლემა ვერა და ვერ მოგვარდა. მოგვარდა კი არა, მეტიც, ბოლო პერიოდში ბრაზილიელ ფორვარდსა და **რობერტო მანჩინის** შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც "რეჯინასთან" გასვლითი მატჩის დროს შეცვლილმა ადრიანომ მწვრთნელს ხელი არ გაუწოდა. მერე იყო "ჯენოასთან" შეხვედრა, რომლის დაწყების წინ, 25 წლის ფეხბურთელმა სტადიონი დატოვა, რაკი დარწმუნდა, რომ მანჩინი ძირითადში არ აყენებდა. გუშინ კი მან ვარჯიში თვითნებურად გამოტოვა. როგორც "სტამპა" იტყობინება, ადრიანომ დარეკა კლუბის ოფისში და ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს განუცხადა, რომ ავად იყო. თუმცა "ინტერის" საექიმო შტაბი აცხადებს, რომ ჭირვეულ ფეხბურთელს მათთვის არაფერი უცნობებია.

მოკლედ, უნდა ვიფიქროთ, რომ "ინტერისა" და ადრიანოს ურთიერთობა დასასრულს უახლოვდება. იანვრის სატრანსფერო ბაზარზე მას რომელიმე კლუბში გაყიდიან. ინგლისური "ინდეპენდენტი" აცხადებს, რომ ადრიანოთი "ვესტ ჰემია" დაინტერესებული და მზადაა, ტრანსფერში 12 მილიონი გირვანქა გაიღოს.

არის "ტუტოსპორტის" ინფორმაციაც, რომელიც გვამცნობს, რომ არ არის გამორიცხული სენსაციური ტრანსფერიც, კერძოდ, "მილანში". ამას გარდა, საინტერესო ამბავს გვიმხელს ესპანური გაზეთი "სპორტი", რომლის თანახმადაც, "ინტერისთვის" ადრიანოს ყიდვა "ატლეტიკოს" შეუთავაზებია. იმავე გამოცემის ცნობით, "როხიბლანკო", თურმე, ამ ტრანსფერში 12 მილიონ გირვანქასა და ახალგაზრდა არგენტინელ ფორვარდ **სერხიო აგუეროს** იძლევა.

ამასობაში, კომენტარი გააკეთა მანჩინიმ, რომელმაც უარყო ხმები ადრიანოს შესაძლო გაყიდვის თაობაზე და პრესას სიმშვიდისკენ მოუწოდა: *"იყო პრობლემები, მაგრამ გუშინ მან გუნდთან ერთად ივარჯიშა. ჩემი აზრით, ადრიანოსთვის მთავარია, ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს. ეს მას საშუალებას მისცემს, მალე დაიბრუნოს ჩვეული სათამაშო კონდიციები. ამით ყველა პრობლემა მოიხსნება. მე მხოლოდ შემიძლია ვიმედოვნო, რომ ადრიანო ჩემს რჩევებს გაითვალისწინებს"*.

100 საუკეთესო

# ...შენ არა, ჯორჯ!

## ალი დაეი რუმენიგეზე დიდი ყოფილა. სამეული ბრაზილიელებმა დააკომპლექტეს

ინგლისურმა "დეილი სტარმა" გამოაქვეყნა ყველა დროის 100 საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელიც ფეხბურთის სტატისტიკოსთა ასოციაციამ შეადგინა. ბრიტანელები გაოცებულნი არიან, რომ ასეულში ვერ მოხვდა ლეგენდარული და აწ გარდაცვლილი **ჯორჯ ბესტი**. გაზეთმა მასალა ასე დაასათაურა: Best ever ...but not you, George! სიაში ვერ ნახეს შოტლანდიელი **დენის ლოუც**. სამაგიეროდ, ასეულში 26-ე ადგილზე გავიდა ირანელი **ალი დაეი**, რომელმაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 149 მატჩი ჩაატარა და 109 გოლი გაიტანა. "გაძეტა დელო სპორტმა" ირონიით შენიშნა, რომ დაეი, თურმე, **კარლ-ჰაინც რუმენიგეზე** დიდი ფეხბურთელი ყოფილა. თუმცა ამგვარი "ლაფსუსი" სხვაც ბევრია...

საუკეთესო ასეულის გამოსავლენად, ასოციაციამ გამოიყენა ქულათა დარიცხვის სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა ფორვარდების მიერ გატანილი გოლების რაოდენობას, მცველებისა და მეკარეებისთვის "მშრალად" შენახულ კარს, მაგრამ გაურკვეველია, რა კრიტერიუმების მიხედვით გამოავლინეს საუკეთესო ნახევარმცველები. ასოციაციამ ასევე გაითვალისწინა ფეხბურთელების მიერ მოპოვებული ჯილდოები და ნაკრებში ნათამაშები მატჩების რაოდენობაც. ამ ყველაფრის შეჯამებით, პირველ ადგილზე, ცხადია, გავიდა **პელე** (16.799 ქულა), რომელმაც **დიეგო მარადონას** (მე-6 ადგილი) აჯობა, **ზინედინ ზიდანი** (მე-5) **მიშელ პლატინიზე** (მე-13), ხოლო **ლუიშ ფიგუ** (მე-4) თავის თანამემამულე, ლეგენდარულ **ეუსებიოზე** (მე-19) წინ აღმოჩნდა...

პელეს შემდეგ მეორე ადგილი **რონალდომ** დაიკავა, მესამეზე კი მათივე თანამემამულე **რომარიოა**. საინტერესოა, რომ **რონალდინიო** მხოლოდ 57-ეა. ინგლისელებს შორის მოწინავე პოზიციაზე (23-ე) **ბობი ჩარლტონი** გავიდა, ბოლოზე (86-ე) კი **გარი ნევილი**. უცნაურია **კაფუს** მე-10 ადგილი. "მილანის" მარჯვენა მცველი თვით **ზიკოზე** (მე-16) წინ აღმოჩნდა. იტალიელთა შორის პირველი **პაოლო მალდინია** (მე-15), **რობერტო ბაჯო** კი 79-ე ადგილზე გავიდა. ასეულში ყველაზე მეტი, 16 მოთამაშე საფრანგეთმა "წარადგინა", მერე ბრაზილიაა 11 ფეხბურთელით, გერმანიასა და იტალიას 10-10 წარმომადგენელი ჰყავთ, ინგლისს 7 და მხოლოდ 5 არგენტინას. საუკეთესოთა სრული სია ასე გამოიყურება:




**ფეხბურთელი. ქვეყანა**

1. პელე (ბრაზილია)
2. რონალდო (ბრაზილია)
3. რომარიო (ბრაზილია)
4. ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)
5. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
6. დიეგო მარადონა (არგენტინა)
7. ლოთარ მათეუსი (გერმანია)
8. გერდ მიულერი (გერმანია)
9. ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია)
10. კაფუ (ბრაზილია)
11. რობერტო კარლოსი (ბრაზილია)
12. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
13. მიშელ პლატინი (საფრანგეთი)
14. რივალდო (ბრაზილია)
15. პაოლო მალდინი (იტალია)
16. ზიკო (ბრაზილია)
17. რაული (ესპანეთი)
18. რუუდ გულიტი (ჰოლანდია)
19. ეუსებიო (პორტუგალია)
20. ფერენც პუშკაში (უნგრეთი)
21. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)
22. ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა)
23. ბობი ჩარლტონი (ინგლისი)
24. იურგენ კლინსმანი (გერმანია)
25. კენი დალგლიში (შოტლანდია)
26. ალი დაეი (ირანი)
27. კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერმანია)
28. გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)
29. მიკაელ ლაუდრუპი (დანია)
30. ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი)
31. დენის ბერგკამპი (ჰოლანდია)
32. ფრანკ რიიკაარდი (ჰოლანდია)
33. ტიერი ანრი (საფრანგეთი)
34. პაველ ნედველი (ჩეხეთი)
35. გეორგე ჰაჯი (რუმინეთი)
36. პეტერ შმაიხელი (დანია)
37. ანდრეი შევჩენკო (უკრაინა)
38. ზეპ მაიერი (გერმანია)
39. დიდიე დეშამი (საფრანგეთი)
40. ლილიან ტურამი (საფრანგეთი)
41. ენცო ფრანჩესკოლი (ურუგვაი)
42. ჰაქან შუქური (თურქეთი)
43. პაოლო როსი (იტალია)
44. დევიდ ბექჰემი (ინგლისი)
45. ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი)
46. კევინ კიგანი (ინგლისი)
47. მარსელ დესაი (საფრანგეთი)
48. ოლივერ კანი (გერმანია)
49. ალესანდრო კოსტაკურტა (იტალია)
50. კლარენს ზეედორფი (ჰოლანდია)
51. დინო ძოფი (იტალია)
52. პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია)
53. იარი ლიტმანენი (ფინეთი)
54. დანიელ პასარელა (არგენტინა)
55. ბიძსენ ლიზარაზუ (საფრანგეთი)
56. გარი ლინეკერი (ინგლისი)
57. რონალდინიო (ბრაზილია)
58. სილვენ ვილტორი (საფრანგეთი)
59. ბებეტო (ბრაზილია)
60. ალესანდრო დელ პიერო (იტალია)
61. დავორ შუკერი (ხორვატია)
62. რაიან გიგზი (უელსი)
63. დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი)
64. დემეტრიო ალბერტინი (იტალია)
65. პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი)
66. იურგენ კოლერი (გერმანია)
67. ლორან ბლანი (საფრანგეთი)
68. მაიკლ ოუენი (ინგლისი)
69. იური ჯორკაეფი (საფრანგეთი)
70. ფრანკ დე ბური (ჰოლანდია)
71. ემილიო ბუტრაგენიო (ესპანეთი)
72. უგო სანჩესი (მექსიკა)
73. რუდი ფიოლერი (გერმანია)
74. ჟალმა სანტოსი (ბრაზილია)
75. ჯაჩინტო ფაკეტი (იტალია)
76. ნვანკვო კანუ (ნიგერია)
77. ფრანკო ბარეზი (იტალია)
78. ჯანი რივერა (იტალია)
79. რობერტო ბაჯო (იტალია)
80. ოსკარ რუჯერი (არგენტინა)
81. გეორგე პოპესკუ (რუმინეთი)
82. იონ დალ ტომასონი (დანია)
83. რაიმონ კოპა (საფრანგეთი)
84. კარლოს ვალდერამა (კოლუმბია)
85. რუი კოშტა (პორტუგალია)
86. გარი ნევილი (ინგლისი)
87. ედგარ დავიდსი (ჰოლანდია)
88. კლაუდიო ტაფარელი (ბრაზილია)
89. პოლ სქოულზი (ინგლისი)
90. დიეგო სიმეონე (არგენტინა)
91. ბრაიან რობსონი (ინგლისი)
92. როი კინი (ირლანდია)
93. ბრაიან ლაუდრუპი (დანია)
94. ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი)
95. ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი)
96. მიხაელ ბალაკი (გერმანია)
97. იან კოლერი (ჩეხეთი)
98. ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)
99. რობერ პირესი (საფრანგეთი)
100. იოჰან ნეესკენსი (ჰოლანდია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# 21 წელი ეშმაკების სამსახურში

## რა მოხდებოდა, სერ ალექსი მანჩესტერში დღეს რომ დაენიშნათ...



სერ ალექს ფერგიუსონი მეტ ბასბის რეკორდს უმიზნებს

სამშაბათს **სერ ალექს ფერგიუსონს** "მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობის 21 წელი შეუსრულდა. ინგლისის სამწვრთნელო ასოციაციის პრეზიდენტი **ფრენკ კლარკი** ამბობს, ფერგი "მენიუში" დღეს რომ მოსულიყო, საეჭვოა, თანამდებობა ამდენხანს შეენარჩუნებინაო. კლარკს საკუთარი სიტყვების საილუსტრაციოდ "ვიგანის" თავკაცის **კრის ჰათჩინგსის** სულ ბოლო მაგალითი მოჰყავს. ეს უკანასკნელი დანიშვნიდან ექვს თვეში გაათავისუფლეს. ჰათჩინგს საკუთარი შესაძლებლობების სადემონსტრაციოდ მხოლოდ 13 მატჩი ჰქონდა. კლუბის ხელმძღვანელობამ სულ რაღაც 13 მატჩის შემდეგ დაასკვნა, რომ ეს დამრიგებელი დაკისრებულ ამოცანას თავს ვერ ართმევდა. კლარკი იხსენებს: *"ფერგიუსონს "მანჩესტერში" წარმატების მისაღწევად გარკვეული დრო დასჭირდა. მისი მოღვაწეობა ყველა პრეზიდენტისათვის მაგალითი უნდა იყოს. არ მგონია, მუშაობის ხანგრძლივობით მას ვინმე გაეჯიბროს, მაგრამ სერ ალექსმა დაამტკიცა, რომ მწვრთნელისათვის მშვიდი სამუშაო გარემოს შექმნა საუკეთესო გადაწყვეტილებაა. იმხანად "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ მისაბაძი მოთმინება გამოიჩინა, მოთმინება, რომელმაც შემდეგ საუცხოო ნაყოფი გამოიღო."*

ფერგიუსონი "მენიუში" შორეულ 1986 წლის 6 ნოემბერს დაინიშნა. მან **რონ ატკინსონი** შეცვალა. სერ ალექსის დებიუტი წარუმატებელი იყო. "იუნაიტედმა" "ოქსფორდთან" წააგო. "მანჩესტერი" მთელი სეზონის განმავლობაში უსახურ ფეხბურთს თამაშობდა. გულშემატკივრები მოთმინებას კარგავდნენ. ფერგი ამბობს, 1990 წელს **მარკ რობინსის** გამარჯვების გოლმა გადამარჩინაო. მწვრთნელი "ნოტინგემ ფორესტთან" ასოციაციის თასის მატჩს გულისხმობს. იმ სეზონში "იუნაიტედმა" ფერგის პირველი ტიტული, ასოციაციის თასი დაისაკუთრა. მომდევნო წელს "მანჩესტერმა" თასების მფლობელთა თასი მოიგო.

1993 წელს "მენიუ" ინგლისის ჩემპიონი გახდა. მას ოქროს მედლები 26 წელი არ ჰქონდა მოპოვებული. 1999 წელს ფერგიმ კარიერის ზენიტს მიაღწია - მოიპოვა ჩემპიონთა თასი და მას კიდევ ორი ჯილდო, ინგლისის ჩემპიონობა და ასოციაციის თასი მიაყოლა. ხუთი წლის წინ სერ ალექმა პენსიაში გასვლა გადაწყვიტა. გუნდმა მისი შემცვლელის ძებნაც კი დაიწყო. ფერგიმ გადაიფიქრა და გასულ სეზონში "იუნაიტედს" მეცხრედ მოუტანა ჩემპიონობა. ის სეზონი ვეტერანი დამრიგებლის მანჩესტერულ კარიერაში საიუბილეო, მე-20 იყო. აი, რას ამბობს სერ ალექსი: *"ოცი წელი ერთგვარი ზღურბლია. წელს მას კიდევ ერთი წელი დავუმატე. ვამაყობ, რომ ასეთ გუნდში მუშაობის საშუალება მაქვს. ტოტალიზატორებში ფსონებს დებენ, რომ მინიმუმ კიდევ ხუთი წელი ვიმუშავებ. 25-ე წლისთავის აღნიშვნა, მგონი, საინტერესო უნდა იყოს."*

25 წელი "იუნაიტედის" მორიგი საკლუბო რეკორდი იქნება. "ეშმაკების" სათავეში ყველაზე მეტი, 24 წელიწადი კიდევ ერთმა ლეგენდარულმა მწვრთნელმა **მეტ ბასბიმ** გაატარა. ის გუნდს 1945-69 წლებში ხელმძღვანელობდა. ფერგის ბასბის რეკორდამდე სამწელიწადნახევარი აშორებს. ტიტულების რაოდენობით კი ბევრად ალემატება. სერ მეტი ინგლისის ჩემპიონი ხუთჯერ გახდა. ჩემპიონთა თასი ფერგივით მანაც ერთხელ მოიგო - 1968 წელს. ბასბი ფერგიუსონის მისაბაძი მაგალითია: *"ის თავის დროს უსწრებდა. ის მთელ ბრიტანეთში ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე საფეხბურთო მოღვაწე იყო. რა მაკავშირებს მასთან? ალბათ, გამარჯვებების დაუკმაყოფილებელი სურვილი. რაც აქ ვარ, ვმუშაობ მხოლოდ იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ, მაყურებელს სიამოვნება მივანიჭოთ და თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს ოდნავადაც არ ჩამოვრჩეთ. პენსიაში გასვლას არ ვჩქარობ. სახლში წასვლამდე კიდევ ერთხელ მინდა ჩემპიონთა თასის მოგება. ბოლო წლებში ევროპულ სარბიელზე არა ერთი იმედგაცრუება ვიწვნიეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ წელს რეალურად შეგვიძლია სასურველი შედეგის მიღწევა."*



სერ ალექსსა და მოსიე არსენს ტრადიციულად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ

დაპირისპირება

# ისევ ფერგი vs ვენგერი

## საჭიროა თუ არა უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობის შეზღუდვა?

**სერ ალექს ფერგიუსონი** მხარს უჭერს ფიფას გეგმას, რომელიც კლუბებში უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობის შეზღუდვას ითვალისწინებს. ფერგი იმაშიც დარწმუნებულია, რომ ამ ჩანაფიქრს ყველაზე მეტად მისი არსენალელი კოლეგა **არსენ ვენგერი** შეეწინააღმდეგება. ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** განაცხადა, რომ ის ღიად გაუწევს ლობირებას ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებას. ბლატერის აზრით, ეს წესი ადგილობრივი ფეხბურთელების განვითარებას შეუწყობს ხელს. ფერგი არ შემცდარა. ვენგერმა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევისას ფიფას გეგმას სასაცილო უწოდა. ვენგერის აზრით, იდეის ავტორებს ეროვნული ნაკრებების დონის ამაღლება სურთ, ის კი ავიწყდებათ, რომ ამგვარი მეთოდებით სანაკრებო ფეხბურთის განვითარება შეუძლებელია.

სერ ალექსი: *"მიმაჩნია, რომ პროპორციების დაცვა აუცილებელია, მაგრამ ისეთ კლუბებს, როგორიც "არსენალია", ეს ძალიან გაუჭირდება. ამ გეგმას "არსენალზე" უფრო რადიკალური მოწინააღმდეგე არ ეყოლება. ყველას საკუთარი ინტერესები აქვს, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ საუკეთესო კლუბებში ინგლისელი ფეხბურთელების რაოდენობის ზრდა, ინგლისის ნაკრებს წაადგება. კრიტიკოსები იტყვიან, რომ "იუნაიტედს" უკვე ჰყავს არა ერთი მაღალი დონის ინგლისელი და ამ წესის შემოღების შემთხვევაში არაფერი უჭირს, მაგრამ არა მგონია, ჩვენ ამ იდეის ერთადერთი მხარდამჭერები ვიყოთ. საკითხი რომ კენჭისყრაზე გავიტანოთ, ის ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებს. ნებისმიერი ნეიტრალურად განწყობილი ადამიანიც კი გეტყვით, რომ სიამოვნებით იხილავდა თავის გუნდში უფრო მეტ ინგლისელს. "არსენალისა" და "ლივერპულის" მსგავსი კლუბები კი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი იქნებიან. მეორე მხრივ, ვაცნობიერებ, რომ რომის ქარტიის პირობებში (ევროკავშირის კანონთა კრებული, რომლითაც ევროპაში მუშახელის თავისუფალი გადაადგილება უზრუნველყოფილი) ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესება სავალდებულო ვერ გახდება, მაგრამ კლუბებს შეუძლიათ თანხმობის მემორანდუმი გააფორმონ და ჯენტლმენურად შეთანხმდნენ. საკამათო საკითხია. ის დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს, მაგრამ პირადად მე ამ პრინციპის მომხრე ვარ."*

ლეგიონერების საკითხზე არსენ ვენგერმაც ვრცლად ისაუბრა. განსხვავებული პოზიციის დასაცავად ძლიერი არგუმენტების წამოყენება არც "არსენალის" თავკაცს გასჭირვებია: *"მთელი ეს ხმაური სასაცილოდ მიმაჩნია. ჩემი აზრით, იდეის უკან იმალება ნაკრებებისათვის ხელის შეწყობის იდეა, ნაკრებების ინტერესების დაცვის სურვილი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს წინადადება საუკეთესო ფეხბურთელების ინტერესებს ვერ დაიცავს. ლეგიონერთა რაოდენობის შეზღუდვა საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება საშუალო დონის მოთამაშეებისათვის, მაგრამ თამაშს საშუალო ფეხბურთელებით კი არა, საუკეთესოებით იგებ. თანაც საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელები - ოუენები, ჯერარდები, ლემპარდები, რუნები - ისედაც საუკეთესო ინგლისურ კლუბებში ასპარეზობენ. ფიფა ცდება, თუ ჰგონია, რომ ამ გზით ნაკრებებს გააძლიერებს. რაგბის მაგალითი ავიღოთ. არგენტინის ნაკრების ყველა მორაგბე ევროპის კლუბებში ასპარეზობს. ეროვნული ნაკრები კი აქედან ფასდაუდებელ სარგებელს იღებს. რა იქნებოდა, ისინი არგენტინაში რომ დარჩენილიყვნენ? განა მსოფლიოს თასის ნახევარფინალში გაალწევდნენ? საუკეთესოთა საუკეთესოებს შორის არჩევა იძლევა ეფექტს. მე კი ვშიშობ, რომ საკმაოდ დიდია ამ ახალი წესის შემოღების ალბათობა - ჩემი შეფასებით, სადღაც 50 პროცენტი. ფიფა ძლიერი ორგანიზაციაა, საკმარისად ძლიერი, რომ სასურველი წესები აამოქმედოს. დაამტკიცებენ თუ არა ფიფას კომიტეტები ამ წესს? ვერ გეტყვით, მაგრამ როგორც ვატყობ, წინააღმდეგნი არ იქნებიან."*

ლეგიონერების საკითხში მხარდაჭერის პარალელურად, სერ ალექსი ფიფას აგენტების საქმიანობის დარეგულირებას სთხოვს: *"ჩემი აზრით, საჭიროა, დადგინდეს მაქსიმალური ანაზღაურება, რომელსაც აგენტს წარმატებული ტრანსფერის სანაცვლოდ გადაუხდიან. ასეთ შემთხვევაში, აგენტებიც იმავე კალაპოტში ჩადგებოდნენ, რომელშიც სხვა პროფესიის ადამიანები არიან - მაგალითად, ადვოკატები, ბუღალტრები და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, აგენტების საქმიანობას ყველაზე მკაცრად სჭირდება რეგულირება."*

## ბექჰემს მადრიდში ელოდებიან

"რეალი" **დევიდ ბექჰემსა** და "ლოს ანჯელეს გალაქსის" მადრიდში ეპატიჟება. სამეფო კლუბი ყოფილ გალაქტიკოსა და მის ახალ თანაგუნდელებს დეკემბერში ამხანაგური მატჩის ჩატარებას სთავაზობს. გაზეთი "ასი" იუწყება, რომ მხარეები უკვე თარიღზე მსჯელობენ. განიხილება რამდენიმე ვარიანტი. ამათგან ყველაზე ხელსაყრელი 5 დეკემბერია. გუნდები "სანტიაგო ბერნაბეუს თასისათვის" ითამაშებენ. მოგეხსენებათ, ეს ტრადიციული მატჩია, რომელსაც "რეალი" წელიწადში ერთხელ მართავს. წელს ის 28 აგვისტოს უნდა გამართულიყო. მადრიდში ლისაბონის "სპორტინგს" ელოდებოდნენ, მაგრამ თამაშამდე ხუთი დღით ადრე ტრაგედია დატრიალდა. გულის შეტევით გარდაიცვალა "სევილიისა" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი **ანტონიო პუერტა**. მატჩი გაურკვეველი ვადით გადაიდო. ახლა კი, როგორც ირკვევა, 5 დეკემბერს "სპორტინგს" სხვა თამაში აქვს დაგეგმილი. ლისაბონელებს ლოსანჯელესელები ჩაანაცვლებენ. თუ ამერიკელები რაიმე მოტივით უარს იტყვიან, "რეალი" "ფენერბაჰჩეს" დაპატიჟებს. ამ კლუბში მადრიდელთა კიდევ ერთი ყოფილი გალაქტიკო **რობერტო კარლოსი** ირიცხება.

## სად ითამაშებს ტოტენჰემი?

"ტოტენჰემი" სტადიონის გაფართოებას აპირებს. ლონდონის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება მიღწეულია. პროექტი დასკვნით სტადიაშია. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებენ. ბი-ბი-სის ცნობით, "მამლებს" იმავე დონის არენა სურთ, როგორიც "არსენალმა" წამოჭიმა. "ტოტენჰემში" ახალი სტადიონის აშენებასაც არ გამორიცხავენ, მაგრამ დირექტორების სიმპათია "უაით ჰართ ლეინის" რეკონსტრუქციისაკენ იხრება. დღეს სტადიონი 36 240 ადამიანს იტევს. ტრიბუნების მიმატების შემთხვევაში, ის 52-ათასიან არენად გადაკეთდება. "არსენალის" "ემირიტსი" რვა ათასი მაყურებლით მეტს იტევს. მოქმედი სტადიონის რეკონსტრუქცია ახლის აშენებაზე გაცილებით ნაკლები დაჯდება. მაგრამ არსებობს მოვლენათა განვითარების კიდევ ერთი სცენარი: "ტოტენჰემსა" და "ვესტ ჰემს" "უემბლის" ერთობლივი გამოყენება შესთავაზეს. კლუბები სერიოზულად ფიქრობენ პრინციპული მატჩების, ისეთის, მაგალითად, როგორიც "ტოტენჰემისა" და "არსენალის" დერბია, "უემბლიზე" ჩატარებას, მაგრამ მშობლიურ სტადიონებთან საბოლოოდ გამოთხოვება უჭირთ. არადა, "უაით ჰართ ლეინისა" და "აპტონ პარკის" გაყიდვის შემთხვევაში, ერთი დედაქალაქური კლუბიცა და მეორეც დიდ ფინანსურ სარგებელს ნახავდა.

## ოლსენი თეორიული შანსის იმედად

დანიის ნაკრების თავკაცმა **მორტენ ოლსენმა** 20 ფეხბურთელი გამოიძახა. ისინი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ორ მატჩში ითამაშებენ. 17 და 21 ნოემბერს დანიელები ჩრდილოეთ ირლანდიასა (სტუმრად) და ისლანდიას (შინ) შეხვდებიან. ოლსენის შეგირდებს ძალიან მცირე შანსი აქვთ, რომ დღევანდელი მესამე ადგილიდან მეორეზე აინაცვლონ და ევროპის ჩემპიონატის საგზურები იგდონ ხელთ. ისინი ჯგუფის ლიდერ შვედეთს ექვსი ქულით ჩამორჩებიან, ესპანეთს კი - ხუთით.

**მეკარეები** - იესპერ კრისტიანსენი (კოპენჰაგენი), სტეფან ანდერსონი (ბრონდბიუ), ტომას სორენსენი (ასტონ ვილა);

**მცველები** - ბრაიან პრისკე (ბრიუგე), კრის სორენსენი (ოდენსე), მარტინ ლაურსენი (ასტონ ვილა), ნიკლას იენსენი (კოპენჰაგენი), პერ კროლდრუპი (ფიორენტინა), ტომას ჰელვეგი (ოდენსე);

**ნახევარმცველები** - კრისტიან პოულსენი (სევილია), დანიელ იენსენი (ვერდერი), ლეონ ანდრეასენი (ვერდერი), რასმუს ვიურცი (კოპენჰაგენი), ტომას კალენბერგი (ოსერი);

**თავდამსხმელები** - დენის რომედალი (აიაქსი), იესპერ გრონკიაერი (კოპენჰაგენი), იონ დალ ტომასონი (ვილიარეალი), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა), ნიკლას ბენდტნერი (არსენალი), სიმონ ბუსკ პოულსენი (მიდტიულანდი).

## ბელამი თვის ბოლოს

**კრეიგ ბელამი** უელსის ნაკრების დასკვნით ორ საკვალიფიკაციო მატჩს გამოტოვებს. "ვესტ ჰემის" თავდამსხმელს საზარდულის ტრავმა ჯერ არ მოუშუშებია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლების გამო მან ლონდონელთა სამი მატჩი გამოტოვა. 17 და 21 ნოემბერს უელსელები ირლანდიასა (შინ) და გერმანიას (სტუმრად, ფრანკფურტში) ეთამაშებიან. გერმანელებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური ვადაზე დიდი ხნით ადრე მოიპოვეს, უელსელებს კი ავსტრიასა და შვეიცარიაში გამგზავრების თეორიული შანსიც აღარ გააჩნიათ. "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობას სურდა, ბელამის ნაკრებში ეთამაშა და ამით მცირე სათამაშო პრაქტიკა მიეღო, მაგრამ ექიმების რჩევით, თავდამსხმელი ძალებს მოიკრებს და კლუბს ნოემბრის ბოლოს შეუერთდება. აქვე გეტყვით, რომ შესარჩევ მატჩებში უელსს "ტოტენჰემის" ცენტრალური მცველი **გარეთ ბეილიც** ვერ დაეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სერსე კოზმისთან

# რომ შემეძლოს, ინგლისში გავიქცეოდი

## კოზმის უფეხბურთოდ ცხოვრება აღარ შეეძლო...

ეს კაცი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრობს და სულდგმულობს. სერსე კოზმი უყვართ გულშემატკივრებსაც, უყვართ მოთამაშეებსაც, მაგრამ ნაკლებად უყვართ იმ კლუბების პრეზიდენტებს, სადაც კი აქამდე უმუშავია. და არ უყვართ იმიტომ, რომ პირდაპირი, შეუპოვარი და დამოუკიდებელი პერსონაა. მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი, მისთვის ავტორიტეტი კლუბის ინტერესები და ფეხბურთელია, და თავად ფეხბურთი, როგორც თამაში და არა ინდუსტრია. ის არაფრით ჰგავს მწვრთნელთა ისეთ კლასიკურ ტიპაჟებს, როგორებიც არიან... ვთქვათ, ფაბიო კაპელო და რობერტო მანჩინი. ამ არაორდინარულ კაცს იტალიაში "სახალხო მწვრთნელს" უწოდებენ. კოზმი, რომელსაც ვერასოდეს ნახავთ ბეისბოლისტის კეპის გარეშე, ბოლო ხანებში "პერუჯას", "ჯენოასა" და "უდინეზეს" ავარჯიშებდა. უდინედან წასვლის შემდეგ, ის მთელი წელიწადი მოწყვეტილი იყო საყვარელ პროფესიას. ეს დრო მან ერთ-ერთ ტელეარხზე კომენტატორად მუშაობაში გაატარა. მაგრამ გასულ ზაფხულს კვლავ მოუწია თავის სტიქიაში დაბრუნება. მას "ბრეშას" მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს, რაზეც უყოყმანოდ დათანახმდა. წინა სეზონში, ლომბარდიული კლუბი მე-6 ადგილზე გავიდა. დღეს კი "ბრეშა" სერია A-ში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია, რაც უდავოდ კოზმის დამსახურებაა. გთავაზობთ ინტერვიუს ამ საინტერესო კაცთან. მას "ჩენელის" კორესპონდენტი სერაფინო ინგარდია ესაუბრა...

**- ფეხბურთთან ერთწლიანი განშორების შემდეგ, მოულოდნელად "ბრეშასგან" მიიღეთ წინადადება. როგორ გაატარეთ მანამდე 12 თვე? ისე, ტელევიზიაში ხშირად ჩანდით...**

- დამიჯერეთ, ძალიან ძნელი იყო ამ პერიოდის გადატანა. თუმც ვერ ვიტყვი, რომ ერთმა წელიწადმა უსარგებლოდ ჩაიარა. შეიძლება ითქვას, საკუთარი თავი სხვა კუთხით აღმოვაჩინე, და აღმოვაჩინე, როგორც ოჯახის კაცმა. დავინახე, თუ როგორი მნიშვნელოვანი ყოფილა ჩემთვის ის ხალხი, ვინც ამდენი ხანი გარს მახვევია, თურმე, როგორ მაკლდნენ ისინი ყოველდღიურ ცხორებაში, პირველ რიგში, ეს ჩემს მეუღლე როზისა და შვილს ეხებათ... კმაყოფილი ვარ ტელევიზიაში გატარებული დროითაც, რადგან საშუალება მქონდა, ყველა თამაში მენახა, თუმცა მაკლდა ის მაგიური კვირა დღე, ცოცხალი ფეხბურთი, მთელის ეს ვნება...

**- "უდინეზეში" უიღბლო დღეების შემდეგ, დაიწყეთ ახალი თავგადასავალი სერია B-ში. არადა, "უდინეზეს" ჩემპიონთა ლიგაშიც უძღვებოდით. და მაინც რატომ "ბრეშა"?**

- იცით, აღარ შემეძლო ამდენ ხანს უფეხბურთოდ ყოფნა... ახლა კი ბედნიერი ვარ იმით, რომ ახალგაზრდულ და მეტად საინტერესო გუნდს ვხელმძღვანელობ. "ბრეშა" არ არის უსახელო კლუბი, აქ მუშაობა ყველა მწვრთნელისთვის საპატიო უნდა იყოს... ღმერთო ჩემო, აქ ხომ თვით რობერტო ბაჯოს უთამაშია? მჯერა იმ პროექტის, რომელიც აქ შეიმუშავეს და მსურს, მადლობა გადავუხადო "ბრეშას" პრეზიდენტ ლუიჯი კორიონის, ვინც ამ პროექტში მონაწილეობის შანსი მომცა.



სერსე კოზმი თავის სტიქიაში

**- და რა მოხდა ასეთი "უდინეზეში"? თქვენ გქონდათ მცირე პრობლემები ანტონიო დი ნატალესა და დავიდ დი მიკელესთან, რაც ყველამ იცის, მაგრამ ეს მაინც არ იყო თქვენი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი...**

- ჩემი 17-წლიანი კარიერის განმავლობაში, სეზონს ყოველთვის ვიწყებდი და ვამთავრებდი ერთ კლუბში, გარდა "უდინეზესი", სადაც ჯოხი მხოლოდ ჩემზე გადატყდა. ცხადია, კლუბისთვის ადვილი იყო იმის თქმა, თითქოს გუნდის წამყვან მოთამაშეებთან მქონდა უთანხმოება და ამიტომაც დავტოვე იქაურობა, მაგრამ სინამდვილეში, საქმე გაცილებით რთულად იყო. ამასწინათ, "უდინეზეს" პრეზიდენტმა ჯამპაოლო პოცომ დაგვიანებული სიმართლე თქვა - ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება ის, თუკი გავუშვებთ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც აქ ყოფნა არ უნდათო. კარგი იქნებოდა, მას ეს ერთი წლით ადრე ეთქვა...

**- თქვენ მოგიწიათ მუშაობა ისეთ ოდიოზურ პრეზიდენტებთან, როგორებიც არიან ენრიკო პრეციოზი და ლუჩანო გაუჩი. რა სახით გიშლიდნენ ისინი ხელს მუშაობაში?**

- ვეთანხმები თქვენს შეფასებას მათ ოდიოზურობასთან დაკავშირებით, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ისინი აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები არიან. პრეციოზისაც და გაუჩისაც სხვადასხვაგვარად ესმით და უყვართ ფეხბურთი. ეს გასაგებია, მაგრამ სხვა პრეზიდენტების მსგავსად, მათაც უყვართ გმირის როლში ყოფნა. ისე, გაუჩისთან ვალშიც ვარ, რადგან სწორედ მან აღმომაჩინა და სერია A-ში მუშაობის შანსი მომცა. ის ყოველთვის ზრუნავდა ჩემზე და ჩემს ოჯახზე, ამიტომ, ყოველთვის მისი მადლობელი ვიქნები, როგორც ადამიანისა და როგორც კლუბის პრეზიდენტის მიმართ.

**- ცოტა ხნით კიდევ დავრჩეთ წარსულში და ერთ რამეს გკითხავთ: რამდენად გამართლებული იყო რობერტო დონადონისა და პიერლუიჯი კაზირაგის დანიშვნა ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელებად? მოდით, ასეც ვთქვათ: განა თქვენ უფრო მეტი გამოცდილება არ გქონდათ, ვიდრე მათ, ერთად აღებულს?**

- კი ბატონო, გამოცდილება მართლაც მათზე მეტი მაქვს, მაგრამ მარტო მე? არიან კიდევ ჩემი კოლეგები, რომელთაც ჩემზე გაცილებით მეტი აქვთ ნამუშევარი უმაღლეს დონეზე. ამ შემთხვევაში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ალტერნატიული გზა აირჩია და ჩემი აზრით, სწორადაც მოიქცა. თუმცა საბოლოო შედეგებს უნდა დაველოდოთ...

**- კატანიაში მომხდარი ტრაგედია, კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ, იტალიური ფეხბურთისთვის ერთ წელიწადში მეორე დიდი შეზანზარება იყო. რას იტყვით ამ ამბავზე?**

- ვფიქრობ, ამაში დამნაშავე ცალკეული ადამიანები არიან და არა წესები. სწორედ ამ ადამიანებს უნდა მოვთხოვოთ სიტუაციის სასიკეთოდ შეცვლა. პრობლემა ისაა, რომ ეს ხალხი კანონებს პატივს არ სცემს. რატომღაც, ფანები ფიქრობენ, რომ ნორმალურია, თუკი ისინი პოლიციელს ქვას ესვრიან. ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და დირექტორებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ საკუთარ თავზე, პასუხისმგებლობა იმ უწესრიგობებზე, რომელთაც ფანები სჩადიან. ვაღიაროთ, რომ ამ ფანებს ხშირად ჩვენი ცუდი საქციელიც აძლევს სტიმულს. მაგრამ არავინ თქვას, რომ ტიფოზებს შორის მხოლოდ კრიმინალები არიან, მათ უდიდეს ნაწილს ფეხბურთი ძალიან უყვარს. ამაში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ.

**- არასოდეს დაგიმალავთ, რომ "რომას" ეთაყვანებით. აქედან გამომდინარე, გამორიცხავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს "ჯალოროსის" მწვრთნელი გახდეთ?**

- "რომას" ბავშვობიდან ვქომაგობ. თუმცა ჩემი კარიერა ამ მიზანზე არასოდეს ამიწყვია. თუ ვინმე ჩათვლის, რომ კოზმი ღირსია, "რომას" მწვრთნელი გახდეს, ეს სხვა საქმეა. კიდევ ბევრი მწვრთნელია, ვინც "რომაში" მუშაობაზე ოცნებობს. ეს კარგად ვიცი.

**- საფეხბურთო სამყარომ თავიდანვე ამ განუყრელი კეპით გაგიცნოთ. ბევრი გაქვთ ბეისბოლისტის კეპი?**

- ასამდე კეპი მაქვს, მაგრამ ყველა არ მიყიდია, ბევრიც მაჩუქეს. სხვათა შორის, მათი შეგროვება ჩემი ერთ-ერთი ჰობია. თუმცა არ იფიქროთ, რომ მთელ ხელფასს ამას ვახარჯავ.

**- "პერუჯასა" და "უდინეზეში" ყოფნისას თქვენ წვრთნიდით ლიბიის პრეზიდენტ კადაფის ვაჟს, რომლის გამოჩენა იტალიურ ფეხბურთში ბევრისთვის დღემდე აუხსნელი მოვლენაა. ნამდვილად ჰქონდა მას იმის ამბიცია, რომ ვარსკვლავი გამხდარიყო? და კიდევ ერთი: ლუჩანო გაუჩი "პერუჯაში" ფეხბურთელი ქალის აყვანის შესაძლებლობასაც კი განიხილავდა...**

- საადი კადაფი მართლაც კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ასაკის გამო, მაღალ დონეზე თამაში ვერ შეძლო. რაც შეეხება ფეხბურთელ ქალს, გაუჩის მხრიდან ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო, რომელიც მიმართული გახლდათ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის ფრანკო კარაროსადმი. ცხადია, ამას სერიოზულად არავინ უყურებდა და ქალს მოედანზე ნამდვილად არ გავიყვანდი.

**- როგორ ფიქრობთ, ვინ არის დღეისთვის საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი და ვის დაასახელებდით უცხოელთაგან?**

- იტალიელთაგან, უდავოდ, საუკეთესო ფრანჩესკო ტოტია. უცხოელთაგან კი პირველი ნომერი რონალდინიოა, ხოლო ყველა დროის უდიდეს მოთამაშედ დიეგო მარადონა მიმაჩნია.

**- ოდესმე ინგლისში მუშაობაზე თუ გიფიქრიათ?**

- ...ფანტასტიკური იქნებოდა. ძალიან მომწონს ინგლისური ფეხბურთი და ვფიქრობ, მათ აქვთ რაღაც ისეთი, რაც იტალიურ ფეხბურთს აკლია, თუნდაც გულშემატკივრობის კულტურა. ინგლისში მუშაობის შემთხვევაში, ფეხბურთისადმი ვნებას უფრო გავიღვივებდი და გამოვასწორებდი ზოგიერთ ნეგატიურ ასპექტსაც... მაგალითად, ვისწავლიდი ინგლისურს... რომ შემეძლოს, გავიქცეოდი...



ხუან რომან რიკელმე

ვილიარეალი

# რიკელმეს საშველი დაადგა?

## რომანი დეკემბერში ბარგს შეკრავს და ბრაზილიაში წავაო...

გუშინ, ესპანურ საინფორმაციო სააგენტოებში ძალიან საინტერესო ცნობა გაჩნდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ხუან რომან რიკელმეს** ყბადაღებულ საკითხს წერტილი დაესმება. მოგეხსენებათ, არგენტინელ ნახევარმცველს "ვილიარეალის" მთავარ მწვრთნელთან, **მანუელ პელეგრინისთან** ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს. ყველაფერი ორი წლის წინათ დაიწყო. რომი ვარჯიშებზე მისვლას სისტემატიურად აგვიანებდა, უპასუხისმგებლოდ ემზადებოდა და თანაგუნდელებზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. მიუხედავად იმისა, რომ რომანი მთელ მსოფლიოში ფანტასტიკური ფეხბურთელის იმიჯით სარგებლობს, პელეგრინიმ მას უმკაცრესი ვერდიქტი გამოუტანა. ჩილელმა სპეციალისტმა განაცხადა, "ვილიარეალში" ან ის დარჩება, ან მეო. გახსოვთ, სიტუაცია რიკელმეს "ბოკა ხუნიორსში" იჯარის წესით განათხოვრებამ დროებით განმუხტა. თუმცა საიჯარო ხელშეკრულებას ვადა მალე გაუვიდა და პრობლემამ ახალი ძალით იჩინა თავი. რიკელმემ "ბოკას" ლიბერტადორესის თასი მოაპოვებინა. მოგვიანებით, არგენტინის ნაკრები კოპა ამერიკის ფინალში გაიყვანა, მაგრამ პელეგრინის გული ვერაფერმა მოულბო. გულშემატკივრებს ხუან რომანის ბოლოდროინდელმა წარმატებულმა სანაკრებო მატჩებმა იმედი გაუჩინა, რომ ბოლოს და ბოლოს, დაპირისპირებას წერტილი დაესმებოდა, მაგრამ სენიორ მანუელმა უკან დახევა მაინც არ ისურვა. მოკლედ, დიდი ხანია გადაწყვეტილია, რომ არგენტინელმა "ელ მადრიგალი" უნდა დატოვოს. რომანს მთხოვნელები არ აკლდა. მისი გადაბირების სურვილს "ატლეტიკო" და იუვენტუსი" გამოთქვამენ, მაგრამ ესპანური გაზეთების ინფორმაციით ყველაზე უფრო სავარაუდო რიკელმეს "ფლუმინენსეში" გადაბარგებაა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით "ვილიარეალის" პრეზიდენტის **ფრანსისკო როიგის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ბრაზილიელ კოლეგებთან გასული დღეების განმავლობაში ხშირი ურთიერთობა მქონდა. ჩვენ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით. გაჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ რიკელმემ "ვილიარეალი" დეკემბერში დატოვოს და კარიერა სწორედ "ფლუმინენსეში" გააგრძელოს. საქმე ის არის, რომ ამ ბრაზილიურ კლუბში ჩვენს სერიოზული ინტერესი გვაქვს. გვსურს, ტიაგო ნევესი გადმოვიბიროთ. ყველაფერი იქითკენ მიუთითებს, რომ ორმხრივი დაინტერესება საქმის იოლად მოგვარებას შეუწყობს ხელს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს უახლოეს დღეებში მოეფინება ნათელი."*

რეალი

# მიატოვიჩი შუსტერს მხარში ამოუდგა

კატალონიელი მსაჯების მისამართით **ბერნდ შუსტერის** მიერ გამოთქმული სკანდალური განცხადების შესახებ, ოპერატიულად გამცნეთ. იცით, რომ "სევილიასთან" განცდილი მტკივნეული მარცხი სამეფო კლუბის დამრიგებელმა კატალონიელი არბიტრის, **ალვარეს ისკიერდოს** არაობიექტური მსაჯობით ახსნა. უბედურება ის არის, რომ შუსტერმა სენიორ ისკიერდოს კატალონიელობას საგანგებოდ გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ ეს კაცი კატალონიელთათვის საძულველ მადრიდის "რეალს" მიზანმიმართულად ებრძოდა. ამ გამოხდომამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ხმა აიმაღლეს "ბარსელონის" მალალჩინოსნებმა და უშუალოდ კატალონიელ მსაჯთა კორპუსმა. ფართო საზოგადოება გერმანელისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს. ფედერაციისგან კი მკაცრ სასჯელს ელიან.

სხვათა შორის, ბევრს ეგონა, რომ ჰერ შუსტერის წინააღმდეგ თავად სამეფო კლუბის მესვეურები აიმაღლებდნენ ხმას და მთავარ მწვრთნელს მკაცრ გაფრთხილებას მისცემდნენ. თუმცა მსგავსი რამ არ მომხდარა. პირიქით, გენერალურმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** შუსტერის მართალ კაცობასა და მისი ხასიათის ცალკეულ შტრიხებზე ისაუბრა: *"მე ვიცი, რომ ჩვენი მწვრთნელი ყოველ სიტყვას სამჯერ წონის. განსაკუთრებული და არნახული არაფერი მომხდარა. ბერნდი სერიოზული ადამიანია. ხალხი მის სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში ხილვასაა მიჩვეული. რა გაეწყობა, შუსტერი ემოციური კაცია და ტემპერამენტიანი ხასიათი გამოარჩევს. რომ არ დაგიმალოთ, ინდეფერენტულ ადამიანებს სწორედ ემოციური და ტემპერამენტიანი ხალხი მირჩევნია. მიმაჩნია, რომ ჩვენი დამრიგებელი არანაირ სასჯელს არ იმსახურებს. შუსტერს საკუთარი მოსაზრება გაუჩნდა და აზრი ღიად გამოხატა. ეს დემოკრატიული საზოგადოებაა. ვისაც რა სურს, იმას იტყვის. ისლა დაგვრჩენია, საკითხი დახურულად გამოვაცხადოთ და ჩვეულ სამუშაო ვითარებას დავუბრუნდეთ. ერთი სიტყვით, ჩვენგან არანაირი სადამსჯელო ღონისძიება არ განხორციელდება."*



პრედრაგ მიატოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფლორან მალუდასთან

# ჟოზეს წასვლისას თავი ობლად ვიგრძენი

## ინგლისურ ფეხბურთში ბევრია იმპროვიზაცია და რისკი, აქაურობა საფრანგეთს არაფრით არ ჰგავს...

ჟოზე მოურინიოს დათხოვნიდან თვენახევარი გავიდა, მაგრამ "ჩელსის" ისევ მისი აჩრდილი დასტრიალებს. ავრაამ გრანტს თამაშიდან თამაშამდე ემატება საკუთარი ძალების რწმენა. "არისტოკრატებმა" მისი ხელმძღვანელობით ათი თამაში ჩაატარეს და რვა მოიგეს. ლონდონელებს გრანტის სადებიუტო მატჩის შემდეგ არ წაუგიათ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რათა ლონდონში მოურინიოს ეპოქა დაივიწყონ. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ ფლორან მალუდას ინტერვიუც პორტუგალიელ მწვრთნელზე საუბრით იწყება. "ჩელსისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველს ESPN-ის მიმომხილველი გაესაუბრა.

**- რვა მოგება ბოლო ათი მატჩიდან. შეგვიძლია თუ არა თამამად ვთქვათ, რომ "ჩელსიმ" კრიზისი დაძლია და საუკეთესო კონდიციებს უახლოვდება?**

- არა, ჯერ არა. შეიძლება, კიდევ დაგვემართოს იმის მსგავსი რამ, ჩემპიონატის სტარტზე არა ერთი ქულა რომ დაგვაკარგვინა. ბევრი მუშაობა გვმართებს. მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება ჩვენივე თავდადებაა. გუნდს საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს. კიდევ რამდენიმე გამარჯვება და ლიდერებთან სხვაობას საბოლოოდ აღმოვფხვრით. მთავარია, სტაბილურობას მივაღწიოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. კრიზისის პერიოდში საკუთარ თავს არ ვგავდით. გამუდმებით რაღაც გვიშლიდა ხელს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ის თამაშები ოფიციალური მატჩები კი არა, წინასასეზონო მზადების ეტაპი იყო.

**- შეუძლია "ჩელსის" ჩემპიონობისათვის ბრძოლა? ძალიან დაგვიანებული ხომ არ არის?**

- სულაც არა. საკმარისია, ცხრილს დახედოთ და მაშინვე მიხვდებით, რომ ჩვენ კვლავ ფავორიტები ვართ. სხვა საკითხია, რომ ოქროს მედლების მოპოვება ადვილი არ იქნება. მახსოვს, ერთხელ ლიონში ყოფნისას "მონაკოს" ათი ქულით ჩამოვრჩებოდით, მაგრამ ძალები მოვიკრიბეთ და ჩემპიონები გავხდით (2004 წელს). მაგრამ ის საფრანგეთის ლიგა იყო. არა ვარ დარწმუნებული, რომ ინგლისში ანალოგიურ წარმატებას მივაღწევდით, მაგრამ აქ საქმეს გვიადვილებს ის, რომ ლიდერებისაგან მხოლოდ სამი ქულა გვყოფს. რა თქმა უნდა, ჯობია, თუკი მდევრის როლში მეტოქეა. შეცდომის უფლება აღარ გვაქვს. ველარც იმის იმედად ვიქნებით, რომ კონკურენტები ქულებს გაანიავებენ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება ვიქონიოთ. გულწრფელად გეტყვით, არა მგონია, ჩემპიონობის უსიტყვო ფავორიტები ვიყოთ. შესაძლოა, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი" უფრო ხარისხიან ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ შანსი ჩვენც გვაქვს და არცთუ ურიგო შანსი.

**- როგორ შეეგუეთ მოურინიოს წასვლას?**

- მისმა გადადგომამ ძალიან დამამწუხრა, ძალიან. თავიდან ისეთი იმედგაცრუებული ვიყავი, მეტი რომ არ შეიძლება. მე ლონდონში ამ მწვრთნელმა ჩამომიყვანა, მან გამიფორმა კონტრაქტი და ის მენდო. ჟოზეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე ერთი რიგითი ფეხბურთელი ვარ და როგორც პროფესიონალი, ვალდებული გახლავართ, პატივი ვცე გადაწყვეტილებას, რომელიც კლუბმა მიიღო. მოურინიო წარსულია. დროა, დღევანდელ დღესა და მომავალზე ვიფიქროთ, თავდაუზოგავად ვიმუშაოთ და მინდორზე დავამტკიცოთ, რა შეგვიძლია. ჟოზეს წასვლისას ყველაზე მეტად მისი გათავისუფლების ფორმა არ მომეწონა, აგრეთვე ის, თუ რა ვითარებაში შევიტყვეთ მე და ჩემმა თანაგუნდელებმა, რომ მოურინიო ჩვენი მწვრთნელი აღარ იყო.

დათხოვნის წინა ღამეს ერთად ვუყურეთ ფილმს, "ლურჯი რევოლუცია". ეს ფილმი ჟოზეს მიღწევებს ეძღვნებოდა, იმ წარმატებებს, რომელიც მან კლუბს მოუტანა. მეორე დილას მწვრთნელისაგან ტექსტური შეტყობინება მივიღე. ის მწერდა, რომ მწვრთნელი აღარ იყო. უცებ თავი ობლად ვიგრძენი. ჩემთვის ამასთან შეგუება ყველაზე ძნელი იყო. "ჩელსიში" ახალი ჩამოსული ვიყავი - უცხო ქვეყანა , უცხო ადამიანები და უცებ ჩემი ერთადერთი ნაცნობიც დამემშვიდობა. ჩემთვის მისი წასვლა პიროვნული დანაკლისი უფრო იყო, თორემ ფაქტია, რომ კლუბს მასთან თანამშრომლობა აღარ უნდოდა და როცა საქმე აქამდე მიდის, მწვრთნელის გათავისუფლება ერთადერთი სწორი გამოსავალია.

**- მოურინიო წავიდა, დროგბამ იმავე დღეს თქვა, რომ ტრანსფერზე იწყებდა ფიქრს. მართალია, მან სწრაფადვე გადათქვა, მაგრამ მე იმ პირველი დღეების განცდები მაინტერესებს. არ მოგეჩვენათ, რომ კლუბში ღრმა კრიზისის ხანა იწყებოდა?**

- საკუთარ თავს უთვალავ კითხვას ვუსვამდი. თითქოს გამოსავალს ვეძებდი. "ჩელსიში" მოურინიოს გამო ჩამოვედი. ხომ შეიძლებოდა, ახალ მწვრთნელს ზედმეტად მივეჩნიე? ვერ მოვითმინე და ამ კითხვებით კლუბის რამდენიმე მაღალჩინოსანს მივმართე. მაინტერესებდა, ისინი რას ფიქრობდნენ. დამარწმუნეს, რომ ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილი იყო და რომ ნერვიულობის საფუძველი არ გამაჩნდა. მათთან საუბარმა დამამშვიდა. მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი ვარჯიშებზე ყურადღების მოკრება. გამიმართლა, რომ მოურინიოსთან ვიმუშავე, მაგრამ არ გამიმართლა, რომ ჩვენი თანამშრომლობა მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდა.

**- რა არის მოურინიოს განსაკუთრებული თვისება, რომელიც მას სხვა მწვრთნელებისაგან გამოარჩევს?**

- განსაკუთრებული თვისება? სიმშვიდე. ის ყოველთვის გაწონასწორებულია, ყოველთვის დარწმუნებულია საკუთარ თავში და გაგრძნობინებს, რომ შენიც სჯერა. მისი სიმშვიდე გადამდებია. მისი ნდობა კი ძალას გმატებს. მასთან ყოფნისას გგონია, რომ უფრო ძლიერი ხარ. უკლებლივ ყველა დეტალზე ნაფიქრი აქვს. იცის, როგორ გაგამხნევოს, თუკი გამხნევება გჭირდება. ის განსაკუთრებული კაცია.

**- ავრაამ გრანტის დანიშვნა რადიკალური ცვლილება იყო?**

- რადიკალურის რა გითხრათ, მაგრამ ის ძალიან განსხვავებულია. ავრაამს დაკვირვება უყვარს. ყველაფერს გაფაციცებით აკვირდება. არაფერი რჩება შეუმჩნეველი. ამასთან, ის ბევრად უფრო მორიდებული და ჩაკეტილი პიროვნებაა.

**- რა ისწავლეთ მას მერე, რაც ინგლისში ხართ?**

- შორიდან დავიწყებ. "ლიონში" უფრო ნელ თამაშს ვიყავი მიჩვეული, ნელ და წინასწარ გათვლილ თამაშს. აქ ყველაფერი ბევრად უფრო სწრაფად ხდება. ინგლისურ ფეხბურთში ბევრია იმპროვიზაცია და რისკი. ინგლისში ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ. მოკლედ, აქაურობა საფრანგეთს არაფრით არ ჰგავს. საფრანგეთში ერთ გოლს რომ გაიტან, შეგიძლია, თავს დამშვიდების უფლება მისცე. ინგლისში პირიქით, 1:0-ზეც ისევე უნდა შეუტიო, თითქოს მეორე გოლს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს. როცა აუტსაიდერს ეთამაშები, შენდამი ოდნავი მოკრძალებაც კი არ გააჩნია. ისე გეთამაშება, თითქოს მზადაა, მოკვდეს, მაგრამ არაფერი დაგითმოს. აქაურ წესებს უკვე მივეჩვიე. სათანადოდაც ვვარჯიშობ, მაგრამ თამაში ისე არ ჩაივლის, რომ გასახდელში ჩასულს სხეულის რომელიმე ნაწილი არ მტკიოდეს.

**- ხომ არ გიფიქრიათ, რატომ ადრე არ ჩამოვედი ინგლისში, რატომ დავხარჯე ძვირფასი დრო ლიონში ყოფნიათო?**

- სიამოვნებით ჩამოვიდოდი შარშან ან შარშანწინ, მაგრამ ინგლისში თამაშის შანსი მხოლოდ წელს მომეცა. ვფიქრობ, საფრანგეთი საუკეთესო დროს დავტოვე. ლიონში ოთხი წელი გავატარე. ეს ოთხი ფანტასტიკური წელი იყო. გული დამწყდებოდა, ის ემოციები რომ არ გამომევლო. თანაც იმ გამოცდილების გარეშე "ჩელსიში" თამაში გამიჭირდებოდა. ლონდონში ჩამოსვლისას საკუთარი თავში ასეთი დარწმუნებული არ ვიქნებოდი. ამ თანაგუნდელთა გვერდით ყოფნაც დამთრგუნავდა და ალბათ, ვერც ძირითად შემადგენლობაში თამაშზე განვაცხადებდი პრეტენზიას. მერე რა, რომ საფრანგეთის ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი ვიყავი? ინგლისში ჩამოსვლისას ეს არავის აინტერესებს. აქ ყველაფერს ნულიდან იწყებ, თითქოს ეს შენი კარიერის პირველი სეზონი იყოს. ინგლისში საფრანგეთის ლიგა არავინ იცის. სამაგიეროდ, იციან, რომ შენში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ჰოდა, აინტერესებთ, რაში დაიხარჯა ამხელა თანხა. დიდიემ და მიკაელმა მითხრეს, რომ მათ დროსაც ზუსტად ასე იყო. მეგობრების რჩევებს ყურს ვუგდებ და ფსიქოლოგიურ წნეხთან გამკლავებას ვცდილობ. მგონი, ჯერჯერობით ეს კარგად გამომდის.



ფლორან მალუდა

### გრანდებიდან სეგუნდაში?

"რეალ სოსიედადის" მთავარი მწვრთნელი **კრის კოულმენი** მოუთმენლად ელის იანვრის ფანჯრის გახსნას. სეგუნდა დივიზიონის ბინადარი სანსებასტიანელები 11 ტურის შემდეგ მე-12 ადგილზე იმყოფებიან. მათ 4 მოგება და 15 ქულა აქვთ. ლიდერ "ნუმანსიას" კი 11 ქულით ჩამორჩებიან. ნათელია, რომ გაძლიერების გარეშე გუნდს უმაღლეს დივიზიონში გადასვლას ჯოჯოხეთურად გაუჭირდება. კოულმენის სასურველი ფეხბურთელის სია საკმაოდ წარმომადგენლობითია. ის აქცენტს თავდასხმის გაძლიერებაზე აკეთებს და ბარსელონელ **ეიდურ გუდიონსენსა** და რეალელი **რობერტო სოლდადოს** ეპატიჟება. გრანდებს, ან ფეხბურთელებს მოსალოდნელი ტრანსფერების თაობაზე არაფერი უთქვამთ.

### ვიგანი: საუნესი თუ ისევ ჯუელი?

"ვიგანი" მთავარ მწვრთნელს ეძებს. ექვსი თვის, 13 მატჩისა და ზედიზედ ექვსი წაგების შემდეგ **კრის ჰატჩინგსს** კარისაკენ მიუთითეს. გასულ უქმეებზე მის ყველაზე სავარაუდო მემკვიდრედ **პოლ ჯუელი** დასახელდა. ეს ის ჯუელია, რომელიც "ვიგანს" გასულ სეზონში მოძღვრავდა და პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მაგრამ გავიდა კიდევ ერთი დღე და ბუქმეიქერთა ფავორიტად **გრემ საუნესი** იქცა. საუნესი "ნიუკასლის", "ბლექბერნისა" და "ლივერპულის" ყოფილი დამრიგებელია. "ვიგანის" გარდა, მასზე ირლანდიის ნაკრებსაც უჭირავს თვალი. თუ ირლანდიელები გააქტიურდებიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მწვრთნელი დუბლინში გაემგზავრება. ვიგანელებს კი ასარჩევად ყოფილი დამრიგებელი დარჩებათ. როგორც ამბობენ, ჯუელი მხოლოდ იმ პირობით დაბრუნდება, თუ მასთან ერთად კონტრაქტს გაუფორმებენ მის მრავალწლიან პარტნიორსა და მარჯვენა ხელ ჰატჩინგსს, დიახ, იმ ჰიტჩინგსს, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ მიუთითეს კარისკენ.

### ხორვატები ერთი ქულის მოლოდინში

ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** დასკვნითი შესარჩევი მატჩებისათვის შემადგენლობა დაასახელა. ხორვატები მაკედონიასა (სტუმრად) და ინგლისს (ესეც სტუმრად) შეხვდებიან. ამ ორ შეხვედრაში მათ ერთი ქულაც ჰყოფნით, რათა ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრონ.

**მეკარეები:** სტიპე პლეტიკოშა (სპარტაკი), ვედრან რუნიე (ლანსი), მარიო გალინოვიჩი (პანათინაიკოსი);

**მცველები** - დარიო შიმიჩი (მილანი), რობერტ კოვაჩი (დორტმუნდი), იოსიპ სიმუნიჩი (ჰერტა), ვედრან კორლუკა (მანჩესტერ სიტი), დინო დრპიჩი (დინამო, ზაგრები), დარიო კნეჟევიჩი (ლივორნო), ჰრვოე ვეიჩი (ტომი);

**ნახევარმცველები** - იერკო ლეკო (მონაკო), მარკო ბაბიჩი (ბეტისი), დარიო სრნა (შახტარი), ლუკა მოდრიჩი (დინამო, ზაგრები), იურიცა ვრანიეში (ვერდერი), დანიელ პრანიჩი (ჰერენვეენი), ნიკო კრანჩარი (პორტსმუთი), ოგნიენ ვუკოევიჩი (დინამო ზაგრები), ნიკო კოვაჩი (ზალცბურგი);

**თავდამსხმელები** - მლადენ პეტრიჩი (დორტმუნდი), ივიცა ოლიჩი (ჰამბურგი), ედუარდო და სილვა (არსენალი), ივან რაკიტიჩი (შალკე), ნიკოლა კალინიჩი (ჰაიდუკი).

### რუსეთი ოპტიმალური შემადგენლობით

**გუუს ჰიდინკი** ისრაელსა და ანდორასთან ამ შემადგენლობას ათამაშებს. სიის გაცნობამდე შეგახსენებთ, რომ ექვსი ქულის აღების შემთხვევაში რუსები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან, ინგლისის ნაკრები კი სახლში დარჩება:

**მეკარეები** - იგორ აკინფეევი (ცსკა), ვლადიმირ გაბულოვი (ყუბანი), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი);

**მცველები** - ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), დენის კოლიდინი (დინამო), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა);

**ნახევარმცველები** - იური ჟირკოვი (ცსკა), დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), იგორ სემშოვი (დინამო), კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი), დმიტრი ტორბინსკი (სპარტაკი), ვიქტორ ბუდიანსკი (უდინეზე), რომან შიროკოვი (ხიმკი);

**თავდამსხმელები** - ანდრეი არშავინი (ზენიტი), პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი), ალექსანდრ კერჟაკოვი (სევილია), რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი), დმიტრი სიჩოვი (ლოკომოტივი), ივან საენკო (ნიურნბერგი).

ლივერპული

# კრაუჩი შეიძლება სანდერლენდში აღმოჩნდეს

## კიუელი მერსისაიდელებს 27 მილიონი დაუჯდებათო...

იანვრის ტრანსფერებისას "ლივერპული" "სანდერლენდს" შეეხმიანება. **რაფა ბენიტესმა** ახალგაზრდა თავდამსხმელ **კენვინ ჯოუნსს** დაადგა თვალი. **როი კინს** საშაულება აქვს, ამ ფეხბურთელში დაბანდებული 6 მილიონი გირვანქა დაუყოვნებლივ გააორმაგოს. საქმე ისაა, რომ ჯოუნსი "სანდერლენდში" გასულ ზაფხულს "საუთჰემპტონიდან" 6 მილიონ გირვანქად გადავიდა. "ლივერპული" კი მის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქას ამზადებს. უფრო მეტიც, "მირორის" ცნობით, მერსისაიდელები **პიტერ კრაუჩის** დათმობასაც არ გამორიცხავენო. "სანდერლენდისათვის" ამგვარი გარიგება ყოველმხრივ მომგებიანი იქნება. საკითხავია, კრაუჩი თუ დათანხმდება პრემიერლიგის მაჩანჩალა კლუბში გადასვლას.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია "ლივერპულიდან". ინგლისელმა მიმომხილველებმა დაიანგარიშეს, რომ **ჰარი კიუელი** მერსისაიდულ კლუბს არც მეტი, არც ნაკლები 27 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ავსტრალიელ თავდამსხმელს კონტრაქტი გაისად ეწურება. ეს თანხა ზაფხულამდე ასაღები ხელფასის ჩათვლითაა დაანგარიშებული. კიუელი "ლივერპულში" 2003 წლის ზაფხულში "ლიდსიდან" გადავიდა. მასში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ბოლო ერთი წელია, ჰარის ქრონიკული ტრავმები აქვს. 2006 წლის ზაფხულის შემდეგ მან მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა (უკანასკნელად 31 ოქტომბერს, "კარდიფთან" ლიგის თასის მატჩში), ხუთჯერვე შეცვლაზე და ერთი გოლიც არ გაუტანია. სულ კიუელის ლივერპულური აქტივი ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებულ 84 მატჩსა და 12 გოლს ითვლის. უთამაშებლობის მიუხედავად, ბენიტესი კიუელს "ლივერპულისათვის" საჭირო ფეხბურთელად მიიჩნევს, თუმცა მისი ახალი კონტრაქტის შესახებ არაფერს ამბობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ

# პეკინისთვის რომსა და ათენში ვიბრძოლებთ



თენგიზ მესხაძე

**ჩიკაგოში ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, საქართველოს მოკრივეთა ნაკრები წარუმატებლად გამოვიდა. ცხრა მოკრივიდან ვერცერთი ვერ მოხვდა მეოთხედფინალში. შესაბამისად, პეკინის ოლიმპიადის საგზურების მოპოვება გაისად, ათენისა და რომის სალიცენზიო ტურნირებზე უნდა მოვახერხოთ, ნაკრები გუშინ დილით დაბრუნდა ამერიკიდან. მიუხედავად დაღლილობისა, გუნდის მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე ამომწურავად გვესაუბრა მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებსა და სამომავლო გეგმებზე.**

- როგორც იცით, მსოფლიო ჩემპიონატის წინ, შეიცვალა კრივის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მაქსიმალურად კარგად ორგანიზებული ყოფილიყო. ყველაზე მეტად თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ სამოყვარულო კრივის ტრადიციული სენი – მსაჯობა აშკარად გამოსწორდა. მოკრივეებს ძველებურად აშკარად აღარ ჩაგრავდნენ. მართალია, პატარ-პატარა ხარვეზები ისევ იყო, მაგრამ არა ისეთი, რომ ძველებურად უამრავი პროტესტი გამოცხადებულიყო. რაკილა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი აზიელია და პეკინის ოლიმპიადაც იქ ტარდება, მსაჯები ოდნავ აზიელებისკენ იხრებოდნენ. ამ მხრივ, სხვა გართულება არ ყოფილა.

ამას გარდა, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ძალიან განსხვავდებოდა წინამორბედებისაგან ფსიქოლოგიური და ემოციური თვალსაზრისით, ხარისხობრივად და მონაწილეთა რაოდენობის მხრივ. თუკი ადრე ჩემპიონობისთვის ხუთი მოგება კმაროდა, ახლა ექვსი გამარჯვება იყო საჭირო.

**- საქართველოს ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებდით?**

- თავის გამართლება არ მჩვევია, მაგრამ თავიდანვე ვამბობდი, რომ ერთი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაც კი დიდი წარმატება იქნებოდა. მოგეხსენებათ, ნაკრები ჩავიბარე მაშინ, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატამდე რჩებოდა მოსამზადებელი ციკლის ბოლო ორი ეტაპი. შესაბამისად, არ მქონდა იმის დრო, რომ რამე შემეცვალა. ასეთ ვითარებაში, მსოფლიოს უძლიერესმა მწვრთნელმაც რომ ჩაიბაროს გუნდი, ისიც კი ფორსმაჟორულ ვითარებაში აღმოჩნდება და საკუთარი გეგმების განხორციელებას ვერ მოასწრებს.

არ მინდა, ჩემი წინამორბედის მიმართ საყვედური გამომივიდეს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოჩნდა, რომ გუნდს რაღაც აკლდა. ძნელი სათქმელია, რა გვაკლდა მთლიანობაში. იყო პატარ-პატარა ხარვეზები, რამაც, საერთო ჯამში, მიგვიყვანა წარუმატებლობამდე. ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მთლად წარუმატებელი იყო - გამოჩნდა არაერთი დადებითი მომენტიც. თუმცა ქართველი გულშემატკივარი ჩვენგან ელოდებოდა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებს და ამ მიზნის განუხორციელებლობამ ყველაფერი დაჩრდილა.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე არ ჩამოსულა ერთ-ერთი გრანდი კუბა. სხვა ფავორიტებიდან კი უმეტეს წონებში, არავის შევხვედრივართ. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ქართული კრივი ცოტა ჩამორჩა მსოფლიოს?**

- გადაჭრით ძნელია ამაზე საუბარი. თუ გადავხედავთ ჩემი შეგირდების გამოსვლას ჩიკაგოში, ზოგი მოსამზადებელ ეტაპზე ნაადრევად იყო შესული ფორმაში, ზოგი კი ოპტიმალურ კონდენციებში იმყოფებოდა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ იქ არსებულ დაძაბულ ატმოსფეროს ვერ გაუძლო ფსიქოლოგიურად.

მოდით, ცოტა უკან გავიხედოთ და ათენის ოლიმპიადის სალიცენზიო ევროპის ჩემპიონატი გავიხსენოთ, სადაც ორი საგზური მოვიპოვეთ. იქ სომხეთი ხელმოცარული დარჩა და უკანასკნელ სალიცენზიო ტურნირებზე ძლივს მოახერხა ერთი საგზურის მოპოვება. იმავე ევროპის ჩემპიონატზე, აზერბაიჯანს ჩვენსავით ორი ლიცენზია ჰქონდა. დღეისათვის კი ორივე მეზობელმა საგრძნობლად გაგვისწრო. ჩამორჩენა, ძირითადად, გამოიხატება რინგზე აზროვნების სისწრაფესა და ტექნიკა-ტაქტიკაში. თუმცა ეს სულაც არაა გამოუსწორებელი პრობლემა. გუნდი ცოტას დაისვენებს და ახლავე გაორმაგებული მონდომებით შევუდგებით ხარვეზების აღმოფხვრას, რათა გაისად, ათენისა და რომის სალიცენზიო ტურნირზე წარმატებას მივაღწიოთ.

**- ცალკეული მოკრივეებიდან ვის გამოარჩევდით?**

- მთლიანობაში, სამი წონითი კატეგორიის გარდა, ყველამ მოიგო მინიმუმ, ერთი შეხვედრა. ყველაზე ახლოს მეოთხედფინალთან და პეკინის საგზურთან იყო ლევან ღვამიჩავა. მას, ფაქტობრივად, ჯიბეში ედო ოლიმპიური ლიცენზია. იაპონელ კავაჩისთან, ბოლო რაუნდის წინ, ხუთქულიანი სხვაობით იგებდა, მაგრამ დამარცხდა. ბრძოლას რომ ცოცხლად უყურებ, იქ სხვანაირი ემოცია გაქვს და ხშირად უსამართლოდ გამოთქვამ მსაჯების მიმართ პრეტენზიას. ამიტომ, ლევანისა და იაპონელის ჩხუბის ვიდეოჩანაწერს ოდნავ მოგვიანებით, ცივი გონებით ვუყურე და ნათლად ჩანს, რომ ღვამიჩავამ ეს შეხვედრა მოიგო. მერე ვნახე კავაჩის წინა ბრძოლები და იქაც ანალოგიური რამ ხდებოდა. ყველა შეხვედრა მცირე სხვაობით, მსაჯების ხელის ნაშველებით მოიგო. თუმცა, როგორც კი მეოთხედფინალში გავიდა და ოლიმპიური საგზური გაინაღდა, არბიტრები მაშინვე შეეშვნენ მის დახმარებას და თავადაც აღარ გამოუდევს დიდად თავი...

მაინც მგონია, რომ ღვამიჩავას უნდა მოეგო. ძალიან მიჭირს რეალური მიზეზის პოვნა, თუ რამ შეუშალა ამაში ხელი. ალბათ უფრო ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლო ამხელა ტვირთს. ამას გარდა, მან კავაჩისთან შეხვედრამდე, ორი ბრძოლა ვადამდე მოიგო – მეორე-მესამე რაუნდებში, მერე კი ოთხი დღე ისვენებდა და როგორც ჩანს, მეოთხე რაუნდისთვის განწყობა ველარ მოახერხა – კვლავ იოლად მოგებას ელოდა.

ჩინებულ ფორმაში იყო კობა ფხაკაძე და რეალურად შეეძლო ჩინელი იანლის ბარიერის გადალახვა, მაგრამ აქაც მსაჯებმა წააშველეს ხელი აზიელს. იგი საკმაოდ ბინძური ხერხებით იბრძოდა და მაყურებლები სისტემატურად უსტვენდნენ. წესით, არაერთხელ ეკუთვნოდა გაფრთხილება, მაგრამ რეფერიმ სხვაგვარად განსაჯა.

ასევე გამოვარჩევდი გიორგი ნაკანს. იგი ყაზახ ოლიმპიურ ჩემპიონ არტაიევს ვაჟკაცურად ებრძოდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და ექიმმა ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, თავად ყაზახები გვეუბნებოდნენ, რომ ნაკანი ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდაა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ გიორგის დებიუტი ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატზე და პირველსავე შეხვედრაში ოლიმპიურ ჩემპიონს დაუპირისპირდა.

**- ათენისა და რომის ტურნირებზე რა სისტემით მოხდება ოლიმპიური საგზურების გადანაწილება?**

- წინასწარი მონაცემებით, ამისთვის ფინალში გასვლა იქნება საჭირო. თუმცა ჯერ გადასახედია მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები. ზოგ წონაში ალბათ ნახევარფინალიც იკმარებს. რა თქმა უნდა, ოლიმპიური საგზურების გარეშე დარჩენილი ქვეყნები ყველაფერს გააკეთებენ მიზნის მისაღწევად, მაგრამ თითქმის ყველა ფავორიტმა ჩიკაგოშივე გადაჭრა ეს პრობლემა, რაც საქმეს შედარებით გაგვიადვილებს. თუმცა თითოეული ლიცენზიის მოსაპოვებლად, ყველა ვარიანტში უშეღავათო ბრძოლების გადატანა მოგვიწევს. იმედია, რასაც ჩიკაგოში ვერ მივაღწიეთ, იმას რომში ავინაზღაურებთ.

**- გაისად ცვლილებები თუ იქნება შემადგენლობაში?**

- ძირეულ ცვლილებებს ალბათ არ მივმართავთ. 51 და 91 წონით კატეგორიებში, მწვავე საკადრო დეფიციტი გვაქვს და არ მგონია, სალიცენზიო ტურნირებამდე დარჩენილ რამდენიმე თვეში აღმოიფხვრას ეს პრობლემა. 60 კილოგრამში, ვაპირებთ, რომ შანსი მივცეთ ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ კონსტანტინე კუპატაძეს. დანარჩენ წონებში კი არ მგონია, რომ რამე შეიცვალოს, მაგრამ მაინც შევხედავთ მდგომარეობას და ვინც კონკრეტულ მომენტში ყველაზე უკეთეს ფორმაში იქნება და კონკურენტებს აჯობებს, მას დავეყრდნობით.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი



ყავლაშვილი და კალაშნიკოვა ერთმანეთს მინსკში შეხვდებიან

# ქართველი ქართველს სად არ შეხვდება

მინსკში 50-ათასიანი საპრიზო ფონდის ქალ ჩოგბურთელთა ტურნირი მიმდინარეობს, სადაც ძირითად ბადეში ერთბაშად სამი ქართველი ითამაშებს. საკვალიფიკაციო ბადეში **თინათინ ყა-ვლაშვილი** და **სოფიო შაფათავა** მონაწილეობდნენ, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვას** „უაილდ ქარდი" მისცეს. პირველი წრის გავლის შემდეგ, მე-6 ნომრად განთესილმა სოფიო შაფათავამ რუსი **ვასილისა დავიდოვა** დაამარცხა - 6:3, 6:4, შემდეგ ფინალურ წრეში კი მეოთხე ნომრად განთესილი უკრაინელი **ვერონიკა კაპშაიც** (410) მიაყოლა - 6:3, 7:6 (3). თინათინ ყავლაშვილმა რუსი **ტატიანა კოტელნიკოვას** მოუგო - 7:5, 4:6, 7:5. ფინალურ წრეში თინათინი ბელარუს **ვიქტორია ემილიანოვასთან** დამარცხდა - 3:6, 4:6. წაგების მიუხედავად ყავლაშვილს გაუმართლა - ის „იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით ძირითად ბადეში მოხვდა და ბედის ირონიით, თანამემამულე ოქსანა კალაშნიკოვას შეხვდება. შაფათავას კი ძალიან სერიოზული მეტოქე ჰყავს **სორანა კირსტეას** სახით. რუმინელი მხოლოდ 17 წლისაა, თუმცა უკვე მსოფლიოს 108-ე ჩოგანია.

**ანა ტატიშვილმა** დაასრულა ამერიკის ქალაქ პიტსბურგში ITF-ის ეგიდით საკმაოდ სოლიდურ (75 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა. მეორე საკვალიფიკაციო წრეში 17 წლის ქართველმა არგენტინელ **კლარისა ფერნანდესთან** (542) წააგო - 2:6, 7:6 (8), 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

# მალე სეზონი დაიხურება

მშვილდოსნობაში საქართველოს თასის გათამაშება დასასრულს მიაუხლოვდა -17-19 ნოემბერს ეროვნულ სტადიონზე დასკვნითი, მესამე ეტაპი გაიმართება, რომელიც იმავდროულად, ფინალიცაა. სწორედ ამის შემდეგ გამოვლინდებიან თასის ლაურეატები.

შეგახსენებთ, რომ თასის გათამაშება გაზაფხულზე დაიწყო და რეგიონებიც მოიცვა. სამწუხაროდ, მშვილდოსნობაში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონის - **ქეთევან ლოსაბერიძის** მშობლიურმა ქუთაისმა თავისი წილი ეტაპის ჩატარება ვერ უზრუნველჰყო, მაგრამ ამით შუახევმა იხეირა - ქუთაისის ნაცვლად უმასპინძლა და ფედერაციის მიერ ჩაფიქრებული დეცენტრალიზაციის პრინციპიც მეტ-ნაკლებად განხორციელდა. უბრალოდ, ცუდია, რომ ქუთაისი ეგრეც ვერ ელირსა ამ რანგის ტურნირს, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ასეთი შეჯიბრება მაღალმთიანმა შუახევმა მიიღო. იმედია, ეს იქაური ახალგაზრდებისთვის კარგი სტიმული იქნება.

თასის გამარჯვებული საერთო რეიტინგით გამოვლინდება, რომელიც ცალკეული ეტაპის შედეგთა შეჯამებით შედგება. როგორც გითხარით, თბილისური ეტაპი დასკვნითია და გამარჯვებულებიც ეროვნულზე გამოვლინდებიან. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველას შეუძლია, თუმცა ვინც თასის წინა ეტაპები გამოტოვა, ცხადია, გამარჯვების შანსი აღარ შერჩა.

ბუნებრივია, ჩვენს ინტერესს უფრო ქალთა შეჯიბრება იწვევს, სადაც ფავორიტებად პეკინის ოლიმპიადის მომავალი მონაწილენი - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა** რჩებიან. ძნელი წარმოსადგენია, მათ დავაში ვინმე ჩაერიოს. ცხადია, შედეგების თვალსაზრისით, საინტერესოა ვაჟთა ტურნირიც, თუმცა მათი მაჩვენებლები ჯერ მაინც სოლიდურად ჩამორჩება საერთაშორისოს. ვიმედოვნებთ, ახლო მომავალში ისინიც გაისწორებენ სამიზნეს.

ამ ტურნირის კიდევ ერთი დანიშნულება ახალგაზრდა თაობის გამოცდაა. მით უფრო, შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველას შეუძლია და, სავარაუდოდ, შანსს ისინიც გამოიყენებენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ 17-ში ოფიციალური ვარჯიშია, 18-ში საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება, 19-ში - ფინალები.

დაბოლოს, ესაა სეზონის ბოლო შეჯიბრება, თავად სეზონი კი მშვილდოსნებს ნამდვილად ჩაეთვლებათ აქტივში. გარდა იმისა, რომ ლაიპციგში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ორი ლიცენზია მოიპოვეს, პირად პირველობაში ნარიმანიძე მეხუთეზე გავიდა, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. III ტური. მიმოხილვა. სტატისტიკა

# გათანაბრდა

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი წინამორბედებთან შედარებით საინტერესოდ დაიწყო. ამის დასტურად განვლილი სამი ტურის მთავარი მოვლენები გამოგვადგება. პირველი ტურის მიმოხილვაში ყველაზე მნიშვნელოვან ამბად „აზოტში" 23 წლის ამერიკელის **ბელტონ რივერსის** გამოჩენა დავასახელეთ. იგი ამ ზაფხულს „ატლანტაში" ვარჯიშობდა და მიიჩნევს, რომ ადრე თუ გვიან, NBA-ში აუცილებლად ითამაშებს. ასეთი კაცის საქართველოში გამოჩენა მისასალმებელია.

...მაგრამ ვერ მივესალმებით მეორე ტურის მთავარ მოვლენას - „აზოტის" დარბაზში მატჩის მსვლელობისას სინათლის გამორთვას. ხოლო მესამე ტურის ამბავი, მსაჯებზე გაწევა, დასაგმობია.

ასეთი ამბების ფონზე ჩრდილში მოექცა ერთი-ორად მნიშვნელოვანი მოვლენა - გუნდებში კალათბურთელთა თანაბრად გადანაწილება. მესამე ტურში ერთი შეხედვით ლიდერები აუტსაიდერებს (სატურნირო თვალსაზრისით) ხვდებოდნენ, მაგრამ „მაკაბიმ" „აზოტს" რუსთავში თანაბარი ბრძოლა გაუმართა, „დინამომ" „ვითას" კინალამ მოუგო (ოვერტაიმში ვაკო ბეჟანიშვილის მიერ ბოლოსწინა წამზე ჩაგდებული სამქულიანით წააგო), ხოლო მესამე შეხვედრაში თსუ-მ ვიცე-ჩემპიონ „ავიამშენს" სძლია. ეს ნამდვილად სენსაცია გახლდათ, რადგან „ავიას" სტუდენტებზე ორჯერ უკეთესი შემადგენლობა ჰყავს.

როგორც ხედავთ, მიმდინარე სეზონში ყველა გუნდს თითქმის თანაბარი შესაძლებლობა (მატერიალურს არ ვგულისხმობთ) აქვს და ჩემპიონატში დაძაბულობის მატებას ლოგიკურად კლასის ამაღლება უნდა მოჰყვეს.

ამ მიმართულებით რამდენიმე კალათბურთელმა უკვე გადადგა თითო ნაბიჯი, სხვადასხვა მატჩში გამოირჩნენ **გიორგი შერმადინი, მიხეილ ბერიშვილი, ლაშა გამყრელიძე, მიხეილ ჩიტაშვილი** (ბელტონ რივერსზე ხომ საუბარიც ზედმეტია)... მესამე **მიხეილმა, ფანჩულიძემ** სულაც საკუთარ თავზე აიღო ლიდერობა და თსუ-ს „ავია" დაამარცხებინა. ტრადიციას არ დავარღვევთ და დღეს შემოგთავაზებთ მე-3 ტურის საუკეთესოს, მიხეილ ფანჩულიძის ინტერვიუს.

- „ავიამშენთან" საინტერესო დაპირისპირება გამოგვივიდა. მართალია, მეტოქეც არ იყო მოწოდების სიმაღლეზე, ჩვეული თამაში ვერ უჩვენა, მაგრამ ჩემი აზრით, ჯერჯერობით ეს გახლდათ თსუ-ს საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში. საწყისი სამი პერიოდი კარგად ჩავატარეთ, მაგრამ მეოთხეში ირაკლი კეიდიამ მეხუთე ფოლი მიიღო, ჩვენც დაღლილობა დაგვეტყო და 18-ქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა შემოგვეცალა. „ავიამშენმა" ანგარიში კი გაგვითანაბრა, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად, ალბათ, არც მეტოქეს ეყო ძალა.

**- 81:81-ზე მნიშვნელოვანი ორქულიანი ჩააგდე...**

- ბოლოს მეც დავიღალე, რის გამოც ერთი-ორი არასწორი გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ ვატყობდი, რომ თამაშის მოსაგებად თამამი მოქმედება იყო საჭირო და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იერიშის დაგვირგვინება საკუთარ თავზე ავიღე. საბედნიეროდ ორქულიანი ჩავაგდე და სეზონის პირველი გამარჯვებაც გავიფორმეთ.

**- როგორც ჩანს, ფორმაში ხარ.**

- შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენამდე კიდევ ბევრი მიკლია. სხვადასხვა ასპექტი მაქვს დასახვეწი და არაერთი შეცდომაა გამოსასწორებელი. თუმცა ეს დროის ამბავია...

**- მაშ, ტურის MVP-ის ჯილდო როგორ მიიღე?**

- ეს აღიარება, პირველ რიგში, ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. „ავიამშენთან" ყველამ ბევრი იშრომა და არაერთი კარგი პასიც მივიღე.

**- ამ სეზონში რას გეგმავთ?**

- კარგი იქნება, თუ ფინალში გავალთ.

**- ამისთვის ერთი-ორი გამოცდილი კალათბურთელი მაინც დაგჭირდებათ...**

- გაძლიერება არავის აწყენს. თუმცა ამ სეზონში უკვე დავამტკიცეთ, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვგყავს. დუდუ დადიანის მემორიალზე „მაკაბი" დავამარცხეთ, ახლა - „ავიამშენი". 4 წელია საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვთამაშობ და ასეთი თანაბარი ძალის გუნდები არ მინახავს. ვფიქრობ, მე-17 პირველობა კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

ვაჟა სიმონიშვილი



უტევს მიხეილ ფანჩულიძე (ბურთით)




| | |
|---|---|
| აზოტი-მაკაბი | 101:92 |
| დინამო-ვითა | 62:65 |
| თსუ-ავიამშენი | 87:83 |

**ქულა**

| მოთამაშე | თ | ქ |
|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 3 | 26.6 |
| 2. ბელტონ რივერსი (აზოტი) | 3 | 25.6 |
| 3. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 3 | 21.3 |
| 4. იოვან სტეფანოვი (აზოტი) | 3 | 19.3 |
| 5. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) | 3 | 18.6 |
| 6. შიო ხეცურიანი (თსუ) | 3 | 17.6 |
| 7. მიხეილ ბერიშვილი (ვითა) | 3 | 17.3 |
| 8. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 3 | 17.3 |
| 9. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 3 | 17.0 |
| 10. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 3 | 16.6 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | თ | მ |
|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 3 | 16.3 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 3 | 14.3 |
| 3. იოვან სტეფანოვი (აზოტი) | 3 | 10.0 |
| 4. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 3 | 8.6 |
| 5. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 3 | 8.6 |
| 6. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 3 | 8.3 |
| 7. ანატოლი ბოისა (აზოტი) | 3 | 7.6 |
| 8. პლასიდე როდუმბა (ავიამშენი) | 3 | 7.0 |
| 9. ზვიად ბაბიაშვილი (აზოტი) | 3 | 6.6 |
| 10. სოსო შერმადინი (მაკაბი) | 3 | 6.6 |

**პასი**

| მოთამაშე | თ | პ |
|---|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 3 | 6.6 |
| 2. ბელტონ რივერსი (აზოტი) | 3 | 5.6 |
| 3. გიორგი გამყრელიძე (აზოტი) | 3 | 5.0 |
| 4. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 3 | 4.0 |
| 5. შიო ხეცურიანი (თსუ) | 3 | 3.0 |
| 6. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 3 | 3.0 |
| 7. გიორგი ნიკოლაძე(ავიამშენი) | 3 | 2.0 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | თ | ჩ |
|---|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 3 | 4.0 |
| 2. მიხეილ ბერიშვილი (ვითა) | 3 | 3.0 |
| 3. გიორგი გამყრელიძე (აზოტი) | 3 | 2.6 |
| 4. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 3 | 2.6 |
| 5. ნიკოლოზ ნოზაძე (ვითა) | 3 | 2.6 |
| 6. გ. ბულისაშვილაშვილი (დინამო) | 3 | 2.0 |
| 7. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 3 | 2.0 |
| 8. გიორგი მარკოიშვილი (ვითა) | 3 | 2.0 |
| 9. იოვან სტეფანოვი (აზოტი) | 3 | 1.6 |
| 10. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 3 | 1.6 |

**დაფარება**

| მოთამაშე | თ | დ |
|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 3 | 3.6 |
| 2. ანვარ ფერგიუსონი (აზოტი) | 2 | 3.0 |
| 3. პლასიდე როდუმბა (ავიამშენი) | 3 | 1.6 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 3 | 1.3 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | თ | შ |
|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 3 | 6.6 |
| 2. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 3 | 6.0 |
| 3. გულივერ ახალკაცი (დინამო) | 3 | 5.3 |
| 4. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) | 3 | 4.3 |
| 5. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 3 | 4.0 |
| 6. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 3 | 3.6 |
| 7. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 3 | 3.3 |
| 8. ირაკლი ჯღერენაია (თსუ) | 3 | 3.0 |
| 9. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 3 | 3.0 |

**სხვადასხვა**

**გუნდური სტატისტიკა**

**ყველაზე, ყველაზე...**

| | |
|---|---|
| მეტი მოხსნა | 48, აზოტი |
| მეტი მოხსნა დაცვაში | 33, აზოტი |
| მეტი მოხსნა შეტევაში | 18, ავიამშენი |
| ნაკლები მოხსნა | 34, თსუ |
| მეტი პასი | 17, მაკაბი |
| ნაკლები პასი | 10, ვითა |
| მეტი ფოლი | 29, ავიამშენი |
| ნაკლები ფოლი | 13, დინამო |
| მეტი შეცდომა | 24, დინამო |
| ნაკლები შეცდომა | 12, თსუ. |

**საინტერესო ფაქტები**

**1.** გიორგი შერმადინმა შეტევაში 7 მოხსნით სუპერლიგის მიმდინარე სეზონის რეკორდი დაამყარა.

**2.** კიდევ ერთი რეკორდი მიხეილ ჩიტაშვილმა დააფიქსირა – 7 ჩაჭრა.

**3.** "ვითასთან" მატჩში "დინამოს" ძირითად დროში სამიანები უფრო კარგი პროცენტული მაჩვენებლით ჰქონდა შესრულებული (36/9, 25.0 პროცენტი), ვიდრე საჯარიმოები (14/3, 21.4).

**4.** რევაზ ათანელიშვილმა მეორედ სამ შეხვედრაში დაუშვა 7 შეცდომა.

**5.** გიორგი შერმადინი ზედიზედ მესამე შეხვედრაში იღებს 5 პერსონალურ შენიშვნას.

**6.** თსუ-მა და "თბილავიამშენმა" 70 (38/32) ჯამური შესრულებული საჯარიმოთი სუპერლიგის ამ სეზონის რეკორდი დაამყარეს.

**7.** ირაკლი ხოშტარიამ 42 წუთის მერე, პირველი შეცდომა დაუშვა. ეს ყველაზე ხანგრძლივი უშეცდომო სერია იყო.

**8.** ტურში სამი ორმაგი დუბლი დაფიქსირდა. პირველ ტურშიც იდენტური შედეგი იყო, მეორეში კი მხოლოდ ორი დაბლ-დაბლი აღინიშნა.

**9.** გიორგი გამყრელიძემ სუპერლიგაში ერთ მეოთხედში დაგროვილი ქულებით პირადი რეკორდი დაამყარა – 14 (მაკაბისთან, IV).

**10.** მთელ სტატისტიკურ ოქმში ყველა ნულის ამოშლა ვერცერთმა მოთამაშემ ვერ მოახერხა – ყველაზე ახლოს ამასთან კოტე ტულუში (საშუალო ზუსტი სროლა დააკლდა) და რიჩარდ მათიაშვილი (დაფარება) იყვნენ.

სტატისტიკა აღებულია www.gbf.ge-დან

ევროთასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი

6 ნოემბერი, ამსტერდამი

ამსტერდამი-აზოტი 101:63

25:13, 19:18, 27:25, 30:7

| აზოტი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 34 | 14 | 3 | 3 | 4 | 0 | 4 | 5 |
| ბაბიაშვილი | 24 | 5 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| სტეფანოვი | 34 | 11 | 8 | 0 | 1 | 0 | 2 | 1 |
| ბოისა | 17 | 2 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| დიდია | 22 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ლეჟავა | 21 | 8 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ცეკვავა | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გოგობერიშვილი | 7 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| რივერსი | 32 | 14 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 |
| ჭოჭუა | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |




აზოტი-ამსტერდამი. რუსთაველებმა მეორე მატჩი დიდი ანგარიშით წააგეს

# მომავალ შეხვედრამდე ევროთასზე

63:101 - ასეთი შედეგი მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, რადგანაც ჰოლანდიურმა „ამსტერდამმა" „აზოტს" თბილისშიც აჯობა და დიდი სხვაობით საქართველოშივე რომ არ დავმარცხდით სპორტის სასახლეში მისულ ქომაგსა და 30 ქულის ჩამგდებ **ბელტონ რივერსს** უნდა ვუმადლოდეთ.

თუკი პირველ მატჩში ამსტერდამელებმა რუსთაველებზე 20-ით მეტი ბურთი მოხსნეს, გუშინ ჰოლანდიაში ეს სხვაობა ერთით გაზარდეს და მოხსნებში 50:29 გვაჯობეს. მხოლოდ ამ სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველები მეტოქის ფართან ისევე უცხოდ იყვნენ, როგორც ამსტერდამის ქუჩებში. მაგრამ რა **ბაბიაშვილისა** და **სტეფანოვის** ბრალია, რომ მათი თანაამპლუელი მოწინააღმდეგეები ერთი თავით მაღლები იყვნენ? ჰოდა, როცა **ვაიტი, რობერტსი, პაასენი** და **კრაბენდამი** რუსთაველთა ფარქვეშ იღებდნენ ბურთს, ჩვენიანებს ერთადერთ გამოსავლად ჯარიმის აღება რჩებოდათ. ამიტომაც დაფიქსირდა ნატყორცნ ჯარიმებში საოცარი სხვაობა: მეტოქემ 34 ისროლა, სტუმრებმა - 12.

„აზოტის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** თბილისშივე აღნიშნა, რომ ამერიკიდან ჩამოყვანილმა ცენტრმა **ფერგიუსონმა** ვერ გაამართლა, რის გამოც გუნდი ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა. მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით - რუსთაველები ევროთასისთვის მოუმზადებლები (არა სათამაშო თვალსაზრისით) შეხვდნენ. ამ თემაზე ხვალზეგ ვრცლად ვისაუბრებთ, ახლა კი დავსვამთ კითხვას: რა უნდა ექნა მაღალი მეტოქის წინააღმდეგ დავით უსტიაშვილს? პასუხი მარტივია - აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გადაეტანა. ასეც მოიქცა, ერთადერთი რაშიც „ამსტერდამს" ვაჯობეთ, სამქულიანი სროლების რაოდენობა (და არა ხარისხი) იყო. რუსთაველები პირველ ტაიმში ღირსეულ ანგარიშს სწორედ შორეული ტყორცნების წყალობით ინარჩუნებდნენ. საბოლოოდ „აზოტმა" 41 სამქულიანიდან 11 გამოიყენა. ხოლო, მეორე ტაიმში მეტოქემ პერიმეტრზეც რომ გვაჯობა, ამას მასპინძელთა მიერ შესრულებული ტყორცნებიც მოწმობს - 24-დან 9 ჩააგდეს(ჩვენზე ორით მეტი).

ასე და ამგვარად, ევროთასს იმ იმედით ვემშვიდობებით, რომ გაისად კიდევ „შევხვდებით".

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი ლელო N 56, 2006.

1987 წელი, სეულის ოლიმპიური თამაშების წინმსწრები წელიწადი იყო. ბუნებრივია, მთელი ძალისხმევა, როგორც ორგანიზაციული, ისე ფინანსური, მიმართული იყო სეულისთვის რჩეულ სპორტსმენთა უკეთ მოსამზადებლად. არასდროს ისე სრულყოფილად მანამდე არ ყოფილა საბჭოთა სპორტის მთელი სისტემა მობილიზებული, როგორც 1987 წელს. ოლიმპიური სახეობები პრიორიტეტად გამოცხადებული არ ყოფილა ოფიციალურად, მაგრამ ეს ყველამ კარგად იცოდა, განსაკუთრებით ფუნქციონერებმა. მივყვეთ წინასაოლიმპიადო წლის სპორტულ კალენდარს.

**ძიუდო.** სსრ კავშირის ნაკრებში ქართველ ძიუდოისტებს მყარად ჰქონდათ ადგილი დამკვიდრებული. პრაღამ „განთავისუფლების თასის" გათამაშებას უმასპინძლა. ოქროს მედლები მოუტანეს ნაკრებს **გიორგი თენაძემ** (71) და **კობა კურტანიძემ** (95). გდრ-ში გამართულ საერთაშორისო ტურნირში კი მხოლოდ **აკაკი კიბორძალიძემ** (მძიმე) მოიპოვა საბჭოთა ნაკრებიდან ოქროს ჯილდო. ფხენიანში კიბორძალიძემ და თენაძემ მოიგეს საერთაშორისო ტურნირი. აქ მესამე ადგილზე გავიდა **ვახტანგ ჯაფარიძე** (65). საერთაშორისო ტურნირი მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში, სეულშიც ჩატარდა, სადაც კვლავ გაიბრწყინა და ოქროს მედალს დაეუფლა **აკაკი კიბორძალიძე**. საკავშირო პირველობაზე (ლენინგრადი) კურტანიძემ და კიბორძალიძემ „ოქროს მარაგი" გაიმდიდრეს, ჯაფარიძესა და **ლერი ნაკანს** (78) წილად „ვერცხლი" ხვდათ. ბრინჯაოს მედლები მიიღეს **ბადრი ბასილაშვილმა** (60), **ბათო ჯიქურმა** (71), **ანზორ თენაძემ** (86) და **ავთანდილ გუბელაძემ** (აბსოლუტური). თბილისის საერთაშორისო ტურნირში ორი უმაღლესი ჯილდო (მძიმე, აბსოლუტური) მოიპოვა კიბორძალიძემ, მეორე **გია თენაძე** (71) იყო, მესამე - **თამაზ ნამგალაური** (71). ამ ტურნირზე დიდი სპორტიდან საზეიმოდ გააცილეს ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**.

შემდეგ ევროპის პირველობაზე (პარიზი), საბჭოთა ნაკრებში კურტანიძე ისევ უძლიერესი იყო, კიბორძალიძე კი მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა, თუმცა საფრანგეთშივე ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებში ოქროს მედალს დაეუფლა. სსრ კავშირის გუნდმა მასპინძლებს 4:1 მოუგო. ფინეთის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა **ლერი ნაკანმა** (78). კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის შესახებ. ლენინგრადში ოქროს მედალი დაიმსახურეს **ვალერი პარუნაშვილმა** (აბსოლუტური) და **გურამ მოდებაძემ** (65), ვერცხლის - **ამირან ტოტიკაშვილმა** (60), ბრინჯაოსი - **გია ხოსიტაშვილმა** (65) და **ოლეგ რატიანმა** (78). ასევე საკავშირო ნაკრებში, ვროცლავში ტურნირი მოიგო **თამაზ ნამგალაურმა** (71) და **ლერი ნაკანმა** (78), მეორე პრიზიორები გახდნენ **რამაზ მარგველანი** (71) და **ავთანდილ გუბელაძე** (მძიმე). „სოვეტსკი პროფსოიუზის" პრიზი მოიგო **ენგურ გოგიჩაშვილმა** (78). 1987 წელს განსაკუთრებით იმრავლა ქალთა ტურნირებმა, რაც განპირობებული იყო ქალთა ძიუდოს მომავალი პერსპექტივით. საქართველოს ნაკრებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავა მინსკში, ბელარუსის ღია ჩემპიონატში. ჩემპიონობა მოიპოვა **ია ზლულაძემ** (56), ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ **რუსუდან კუპატაძე** (48), **ქეთევან ჩართოლანი** (56) და **მანანა ბენაშვილი** (61). სსრ კავშირის თასი სპორტსაზოგადოებებს შორის გათამაშდა ბაქოში. „დინამოს" საკავშირო ნაკრებმა დაიკავა მესამე ადგილი. ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ **ნანა ასრათაშვილი** (48), **მაია ქოჩაშვილი** (66) და **ლეილა ნებიერიძე** (მძიმე). სსრკ ქალთა პირველ ჩემპიონატში საქართველოს პირველი მედალი მოუტანა ნანა ასრათაშვილმა - „ვერცხლი". საკმაოდ ჩატარდა ტურნირები ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის. გროდნო, ჭაბუკთა საკავშირო პირველობა. გამარჯვებულები - **გიორგი ადიბეგოვი** (57), **გერასიმე ხაბულიანი** (62), **ზაზა დაბრუნდაშვილი** (მძიმე), მეორე პრიზიორი - **დავით ხახალეიშვილი** (მძიმე), მესამე პრიზიორები - **გიორგი ჩოქური** (75) და **ვლადიმერ დგებუაძე** (83).


გია თენაძე


მალხაზ ბერუაშვილი

მოსკოვი . ნორჩთა საკავშირო ტურნირი. საქართველოს სახელს იცავდა მთლიანად გორელებით დაკომპლექტებული გუნდი. თავიანთ წონებში გამარჯვებულთა შორის იყვნენ **ვადიმ მაზიაშვილი, ზაზა ფსუტური, ზაზა ხინჩიკაშვილი, რეზო ჩოჩიშვილი და ლაშა პეტრიაშვილი**; მეორე ადგილზე გაივდნენ **ილია ჩიმჩიური, რამაზ ჩოჩიშვილი, მერაბ ტატუნაშვილი, კობა სუხიტაშვილი, დავით ტაბატაძე**, მესამეზე - **მამუკა ტეტუნაშვილი, მიხეილ მინდიაშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, ალექსანდრე ვალიევი, დავით პავლიაშვილი და სოსო მაჭარაშვილი**. ეს იყო ბრწყინვალე შედეგი ერთი პატარა ქალაქის მოზარდებით დაკომპლექტებული გუნდისთვის. შესანიშნავად იასპარეზა ა. კიკნაძის ტურნირში (თბილისი) საქართველოს ნაკრებმა. გარდა გუნდური პირველი ადგილისა, მოიპოვეს სამ-სამი ოქრო-ვერცხლის და ბრინჯაოს შვიდი მედალი. პირველ ადგილოსნები - **ვ. დგებუაძე** (68), **ვ. ავალიანი** (83), **დ. ხახალეიშვილი** (მძიმე); მეორე პრიზიორები - **გ. ადიბეგოვი** (57), **გ. ხაბულიანი** (62), **მ. თვალაძე** (68); მესამე ადგილზე გავიდნენ - **მ. სარქისაშვილი** (53), **ზ. სამუკაშვილი** (57), **გ. ბერიძე** (62), **მ. თურმანიძე** (68), **ზ. ჩოქური** (75), **გ. გაჩეჩილაძე** (83), **თ. რატიანი** (მძიმე).

მოსწავლე ძიუდოისტთა მეორე დიდი საერთაშორისო ტურნირი ბუდაპეშტში ჩატარდა, სადაც საქართველოს ნაკრებმა პირველობა არავის დაუთმო. შემდგენლობა ასეთი იყო: **მერაბ სარქისაშვილი, ზურაბ სამუკაშვილი, გია კირაკოზაშვილი, ბესიკ გიორშაშვილი, მამუკა თურმანძე, ნუკრი ჯალაძე, ვეფხია ავალიშვილი, გია გაჩეჩილაძე**. ბულგარეთში სოცქვეყნების ტურნირში ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში ოქროს მედლები მოიპოვეს **ზაზა დაბრუნდაშვილმა** (95) და **დავით ხახალეიშვილმა** (მძიმე). საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები პირველობას ეუფლება სპორტსკოლების საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ პირველობაში, რომელიც გაიმართა გორში. აქ **ზურაბ სამუკაშვილი** (57) **გიორგი კირაკოზაშვილი** (62), **მამუკა თურმანიძე** (68), **ვეფხია ავალიანი** (83) და **დავით ხახალეიშვილი** საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ.

სსრკ იუნიორთა ნაკრებმა ქ. ვროცლავში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზა. ჩემპიონთა შორის **ვახტანგ ჯაფარიძე** (65). მანამდე ვ. ჯაფარიძემ საკავშირო პირველობაში (ქ. ლიპეცკი) მოიპოვა ოქროს მედალი თანაგუნდელებ დავით ფიცხელაურთან (71) და ვალერი პარუნაშვილთან (აბსოლუტური) ერთად. მეორე ადგილზე გავიდა **რობერტ ლომთაძე** (60), მესამეზე - **გურამ მოდებაძე** (65), **ალექსანდრე დონღუზაშვილი** (95), **მიხეილ ჯალაბაძე** (95), **ვალერი პარუნაშვილი** (მძიმე) და **ზაზა დაბრუნდაშვილი** (მძიმე). ბუქარესტში გამართულ ახალგაზრდების დიდ საერთაშორისო ტურნირში სსრკ ნაკრებში ოქროს მედალს დაეუფლა **ვალერი პარუნაშვილი** (მძიმე), მეორე ადგილზე გავიდა **მიხეილ ჯალაბაძე** (95), მესამეზე - **დავით ბაგაური** (86) და **დავით ფიცხელაური** (71). ასევე ახალგაზრდებს შორის გამართულ პროფკავშირების საკავშირო ტურნირში **ზაზა ჩოქური** (83) და **მამუკა ოდიშელი** (მძიმე) პირველები იყვნენ, მესამე - **ირაკლი უზნაძე** (57). ჩვენი ნაკრები კი გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** რამდენიმე საამაყო წარმატებას მიაღწია **გურამ გედეხაურმა** (100). სსრკ ნაკრებში მან მეორედ მოიპოვა ი. პოდუბნის სახელობის პრიზი, მოიგო შვეციის საერთაშორისო ტურნირი და, რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საფრანგეთში. ფინალში ქართველმა ამერიკელი დენის კოზლოვსკი დაამარცხა. აშშ-ში მსოფლიო თასის გათამაშებაში (გუნდიგუნდზე) სსრკ ნარკები მთავარ ჯილდოს დაეუფლა, რაშიაც დიდი წვლილი შეიტანეს გურამ გედეხაურმა და **ზაურ ივანაშვილმა** (100). გედეხაური **თენგიზ თედორაძესთან** (90) ერთად მანამდე ვერცხლის პრიზიორი გახდა ქ. მინსკში გამართულ სსრკ ჩემპიონატში, **ზაურ ივანაშვილს** (90) ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად . **თენგიზ და უშანგი** (100) **თედორაძეებმა, ვასილ ონიანმა** (62) საკავშირო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში (ბაქო) პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო **გიორგი კოლუაშვილმა** (90), **ზაქრო ჩიქვილაძემ** (100) და **ვასილ ქარსელაძემ** (მძიმე) - მეორე, **ნაიბი დვალაძემ** (100) და **ზაურ ცხადაძემ** (შემდეგში ცნობილი მძიმეწონოსანი მკლავჭიდელი ) - მესამე. ივანაშვილმა ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი, თედორაძემ - იუნიორთა საკავშირო პირველობა მოიგეს. იუნიორებში ვერცხლის მედალი დაიმსახურა **გიორგი კოლუაშვილმა** (90). ამ ასაკში **თენგიზ თედორაძე** სსრკ ნაკრებში კანადიდან შინ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. კოლუაშვილმა კი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში იპირველა ქ. კატოვიცეში. თედორაძე შემდეგ საკავშირო თასსაც დაეუფლა. ქ. ზაპოროჟიეში საერთაშორისო ტურნირზე თავის წონაში უძლიერესი იყო **ბეგი დარჩია** (82), ბრინჯაოს მედლები მიიღეს **ვასილ ონიანმა** (62) და **ჯემალ ბაკურიძემ** (74). 1969-1970-წლიანთა საკავშირო ტურნირი მოსკოვში სამივე ხარისხის თითო მედლით დაასრულეს საქართველოს წარგზავნილებმა **გიორგი კოლუაშვილი** (88) პირველი იყო, **აკაკი ჩაჩუა** (58) - მეორე, **თამაზ გადაბაძე** (88) - მესამე.

ჭაბუკებიდან საკავშირო სარბიელზე სხვადასხვა ტურნირებში თავი გამოიჩინეს: **ტარიელ ტყეშელაშვილმა** (34), **ხვიჩა ჭანკვეტაძემ** (45), **ვარლამ ჩუბინიძემ** (52), **ვლადიმერ ძოწენიძემ** (56), **ტარიელ შავაძემ** (46), **დავით ხეცურიანმა** (58), **ჯონი ხუბაშვილმა** (97), **ტარიელ შავაძემ** (46), **გრიგოლ არველაძემ** (58), **ზაზა ჯოლოხავამ** (63), **თამაზ ყაზარაშვილმა** (58), **გიორგი კოლუაშვილმა** (88), **ნაიბ დვალიძემ** (97), **ავთანდილ ხეცურიანმა** (56).

ერევანში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს სახელით მონაწილეობის უფლება მიენიჭა მარტყოფელ მოზარდებს. ნდობა გუნდმა გაამართლა. პირველ ადგილზე გავიდნენ **ტარიელ მელელაშვილი** (35), **გელა გორდაშვილი** (41), **გელა ჯეირანაშვილი** (44), **გელა ჩიტრეკაშვილი** (68), **გია მაისურაძე** (81); მეორე ადგილოსნები გახდნენ: **გელა ბეჟანიშვილი** (32), **თემურ ფრენუაშვილი** (35), **ზვიად ოსიაშვილი** (38), **ზვიად ბუჭაშვილი** (50), **ზაზა ლაფერაშვილი** (58), **ბესიკ გუგუნაშვილი** (44), მესამე იყო **ზვიად ლუჭაშვილი** (44).

**თავისუფალი ჭიდაობა.** თბილისის 26-ე საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. 52 კგ. წონით კატეგორიაში მეორედ მოიგო ტურნირი **ზურაბ ტატუაშვილმა**, რომელმაც ფინალში მსოფლიოს ჩემპიონი, კორეელი კიმ ენგ სიკი დაამარცხა. ტურნირის ლაურიატი მესამედ გახდა **ლერი ხაბელოვი** (100). ხაბელოვმა იმ წელიწადს მოიგო სსრკ თასი, ქ. გომელში და სსრკ პირველობა (ქ. ვორონეჟი), გახდა ევროპის (ბულგარეთი) ჩემპიონი და მეორედ მსოფლიო (საფრანგეთი) ჩემპიონი. დავით გობეჯიშვილი (მძიმე) „დინამოს" საკავშირო ნაკრებში დაეუფლა სსრკ თასს (ქ. გომელი), **ეგია მუსოიანთან** (52) ერთად. მონღოლეთის დედექალაქში **დავით გობეჯიშვილი**, სსრკ ნაკრებში მსოფლიოს თასის გუნდურ გათამაშებაშიც პირველი იყო და პირადშიც. დაეუფლა სსრკ ჩემპიონატის ვერცხლის მედალს **ზურაბ ტატუაშვილთან** (52) ერთად, ამ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა **ზაზა ტყეშელაშვილი** (100). იუგოსლავიაში საერთაშორისო ტურნირი მოიგო **მალხაზ მერმანიშვილმა** (მძიმე).

მსოფლიოს ჩემპიონისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ტრაგიკულად დაღუპულ ვლადიმერ რუბაშვილის ხსოვნის საკავშირო ტურნირს გორმა უმასპინძლა. პირველ ადგილზე გავიდნენ: **ანზორ გაბოიანი** (48), **ნუგზარ ნასყიდაშვილი** (57), **გიორგი ხინჩიკაშვილი** (62), **ხვიჩა საბაშვილი** (74), **ფრიდონ ტაბატაძე** (90), **თამაზ კურკუმული** (100) და **გიორგი ჯანელიძე** (მძიმე). ყრუ-მუნჯ სპორტსმენთა საერთაშრისო ტურნირი (მოსკოვი), ისევე, როგორც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მოიგო **რამაზ ფოლადაშვილმა** (82).

საქართველოს ნაკრებმა მეორე გუნდური ადგილი დაიკავა ახალგაზრდებს შორის სსრკ პირველობაში (ქ. ორჯონიკიძე). პირადში ოქროს მედალი ხვდა წილად გორელ **ნუგზარ ნასყიდაშვილს** (52), ვერცხლის - სოხუმელ **პაატა ხურციძეს** (74), თბილისელებს **მერაბ ვალიევს** (100) და **მალხაზ მაისაშვილს** (მძიმე). იუნიორთა საკავშირო პირველობა (ქ. კრასნოიარსკი) მოიგეს **ვახტანგ სულთანიშვილმა** (9)) და **თამაზ ინდუაშვილმა** (100), მეორე ადგილზე გავიდნენ **ზაზა ტყეშელაშვილი** (100) და **გოჩა გაბოძე** (68), მესამეზე - **კობა კუპატაძე** (100), **დავით ხურცია** (82) და **ლევან ებანოიძე** (მძიმე). როგორც ხედავთ, პრესტიჟულ 100 კგ. წონით კატეგორიაში საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ქართველი ფალავნები დადგნენ.

კარგად იასპარეზეს ჭაბუკებმაც. ქ. კალინინგრადში 1970-1972-წლიანთა საკავშირო პირველობაზე სამტრედიელი **დავით ბელთაძე** (48) უძლიერესთა შორის იყო, **გიორგი ივანიშვილი** (70) და **აკაკი გაბედავა** (81) მეორე ადგილზე გავიდნენ, **გოჩა მაკოევი** (56), **გიორგი ხინჩიკაშვილი** (65) და **მერაბ ვალიევი** (99) - მესამეზე ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ბულგარეთში „მეგობრობის" ეგიდით გაიმართა, ოქროს მედალით დაბრუნდნენ შინ **გიორგი ხინჩიკაშვილი** (63), **გიორგი ივანაშვილი** (68) და **აკაკი გაბედავა** (81). პოლონეთის ქალაქ ლოძში XV ტრადიციულ საერთაშრისო ტურნირზე სსრ კავშირიდან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მიავლინეს. შედეგი: გუნდური მესამე ადგილი და 6 მონაწილიდან 5 მედალოსანი პირად ჩათვლაში. პირველ ადგილზე გავიდა **ზაზა ტყეშელაშვილი** (100), მეორეზე - **ზურაბ ტატუაშვილი** (52), მესამეზე - **გოჩა გაბოძე** (68), **თამაზ ინდუაშვილი** (100) და **კობა ლოჩოშვილი** (მძიმე).

საკავშირო ნაკრებში თანატოლთა ევროპის პირველობა (ქ. კატოვიცე) სამმა ქართველმა ჭაბუკმა მოიგო. ესენია: გორელი **გიორგი ხინჩიკაშვილი** (63), ყვარელელი **გიორგი ივანაშვილი** (68) და სამტრედიელი **აკაკი გაბედავა** (81).

სპარტაკელების მოსწავლეთა საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით თბილისში გამართულ ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა **კახაბერ ჯაბიძე** (80), მეორე იყო **გივი სისაური** (45) და **გიორგი პატაშური** (74), მესამე - **ზაზა ზოზიროვი** (48), **კახაბერ ლევიძე** (56) და **მინდია ბაჯელიძე** (მძიმე).

**სამბო.** დავიწყოთ საკავშირო ჩემპიონატით. ქართულ ჭიდაობაში დაოსტატებულმა **ჯემალ მჭედლიშვილმა** (82) და **მალხაზ ბერუაშვილმა** (აბსოლუტური) ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრეს ტაშკენტში გამართულ ამ ტურნირში. საბჭოთა კავშირის აბსოლუტური პირველობა კი გორში ჩატარდა. ჩემპიონობა მოიპოვა **მალხაზ ბერუაშვილმა**, რომელმაც ფინალში 12:0 სძლია ოდესელ ვიქტორ სერდიუკოვს. შემდეგ იყო ევროპის ჩემპიონატი სოფიაში, სადაც **ჯემალ მჭედლიშვილმა** ჩემპიონობა სსრკ ნაკრებში მოიპოვა. პროფკავშირების საკავშირო პირველობაში (ქ. ბარნაული) მესამე ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი **გელა ტყემალაძე** (90).

სამბოს ფუძემდებლის ა. ხარლამპიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი (ქ. მოსკოვი). 82 კგ წონით კატეგორიაში მეორე პრიზიორი გახდა მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარის ფალავანმა **მამუკა წინამძღვრიშვილი**.

ახლა კი ჭაბუკთა ასპარეზობების შესახებ. 1969-1972-წლიანთა საკავშირო ტურნირს (ქ. კლაიპედა) ერთბაშად შვიდი გამარჯვებული და სამი პრიზიორი ჰყავდა საქართველოდან. ოქროს მედალოსნები გახდნენ **ალეკო ჭიაურელი** (45), **მერაბ ტეტუნაშვილი** (48), **ნიკო აღდგომელაშვილი** (56), **მორის სუკიასიანი** (60), **ფრიდონ ყვავილაშვილი** (75), **ბადრი ბახსოლიანი** (87), **რომან უძილაური** (97), ვეცხლი ხვდათ წილად **არჩილ ბიძინაშვილს** (65), **ალეკო თანდიაშვილს** (70), ბრინჯაო - **ზვიად მამუკელაშვილს** (52). სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით სამბისტთა პირველობაც თბილისში ჩატარდა. ჩემპიონები გახდნენ: **ბადრი ჯანიაშვილი** (38), **ზვიად მამუკელაშვილი** (53), **ფრიდონ ყვავილაშვილი** (71), ვერცხლის მედალოსნები - **მამუკა კურდღელაშვილი** (44), **მორის სუკიასიანი** (59), **დავით ბედიანაშვილი** (74), ბრინჯაო წილად ხვდათ **მურთაზ თურქიას** (50), **ალექსანდრე თანდიაშვილს** (68). ლენინგრადში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა **ბ. მარიდაშვილმა** (56), მესამე - **მ. მელაძემ** (45), **მ. კურდღელაშვილმა** (48), **მ. თურქიამ** (52) და **მ. სუკიასიანმა** (60).

**ქართული ჭიდაობა.** საქართველოს 1987 წლის ფალავნის ტიტულს მეოთხედ დაეუფლა **მალხაზ ბერუაშვილი**.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

BTA Silk Road Bank · ქვარციტი QUARTZITE · LOYALCAPITAL group

**რაგბი** 10 ნოემბერი, საქართველო-პორტუგალია

# გორგოძეც გამოგვაკლდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის გათამაშების მორიგი მატჩისთვის მზადება დაიწყო. პორტუგალიელების წინააღმდეგ საასპარეზოდ ბორჯღალოსნები საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით შეიკრიბნენ. სხვადასხვა მიზეზის გამო ცნობილი იყო, რომ ვერ ითამაშებდნენ **დავით ზირაქაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ხინჩაგაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი**. ამათ რიცხვს ახლახან შეემატა კიდევ ერთი, „მონპელიეს" მეორეხაზელი **მამუკა გორგოძეც**, რომელიც ნაკრებს ავადმყოფობის გამო დააკლდება. მის ნაცვლად მწვრთნელებმა, „კლერმონის" ახალგაზრდული გუნდის წევრი **დიმიტრი ბასილაია** მოიწვიეს.

ბორჯღალოსნები სასტუმრო „ვარაზში" დაბანაკდნენ და მატჩისთვის სამზადისს „შევარდენის" საწვრთნელ სანაკრებო ბაზაზე გაივლიან.

საკმაოდ შეთხელებულია პორტუგალიელთა გუნდიც. მწვრთნელ **ტომაშ მორაეშის** განკარგულებაში მყოფი 22 მორაგბიდან მსოფლიო თასის ოცდაათკაციანი განაცხადიდან მხოლოდ 18 იყო. ოთხი მორაგბე - **ადერიტო ესტევესი, გუსტავო დუარტე, არნო ფერეირა** და **ფრანცისკო მირა**, რომელთა ამპლუაც სამწუხაროდ ვერ დავადგინეთ, ახალბედები არიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**



მამუკა გორგოძე

**პორტუგალია**

პირველი ხაზი: კრისტიან შპაჩუკი, ჟოაო კორეია, ხოან მურე; მეორე ხაზი: გონსალო უვა, დავიდ პენალვა, ტიაგო ჟირაუ; მესამე ხაზი: ვასკო უვა, ჟოაო უვა, ხუან სევერინო, გონსალო ფორი

9: ჟოზე პინტუ, 10: დუარტე პინტუ, 12-13: დიოგო გამა, დუარტე ფიგეირედო, გონსალო მალიერუ, 11-14: დავიდ მატეუში, სალვადორ პალია, 15: პედრო ლეალი

გუსტავო დუარტე, ადერიტო ესტევესი, არნო ფერეირა, ფრანსისკო მირა

რეიტინგი

# მადლობა კლოდ სორელს

ოთხი წელია, რაც ფრანგი გურუ **კლოდ სორელი** საქართველოს ნაკრების თავკაცი აღარაა, თუმცა ამ დღეებში მან „ბორჯღალოსნებს" ერთი კარგი საქმე გაუკეთა - რეიტინგში დააწინაურა. სორელი ახლა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, მისმა შეგირდებმა კი ერთა თასის მატჩში ბუქარესტში რუმინეთის ნაკრები 22:12 დაამარცხეს. IRB-ის ახალი რეიტინგის მიხედვით რუმინეთის ნაკრებმა ერთბაშად ორი საფეხური დაკარგა და მას კანადისა და საქართველოს გუნდებმა გადაასწრეს. რუსებმაც ორი საფეხურით წინ წაიწიეს და მე-17 ადგილზე ალზევდნენ. საქართველოს ნაკრებს 66,42 ქულა აქვს და მეთხუთმეტე ადგილზეა. ეს ერთა თასზე მონაწილე ნაკრებებს შორის საუკეთესო პოზიციაა. 10 ნოემბერს შინ პორტუგალიის ძლევა მე-15 ადგილს შეგვინარჩუნებს. მოწინავე ათეულში ცვლილებები საერთოდ არ ყოფილა: მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთი აფრიკა კვლავ პირველია.

**IRB-ის ახალი რეიტინგ-ლისტი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ს. აფრიკა | 90,81 | 13. ტონგა | 71,51 |
| 2. ახ. ზელანდია | 89,59 | 14 (+1) კანადა | 67,25 |
| 3. არგენტინა | 87,42 | **15 (+1) საქართველო** | **66,42** |
| 4. ინგლისი | 85,55 | 16 (-2) რუმინეთი | 65,92 |
| 5. ავსტრალია | 84,20 | 17 (+2) რუსეთი | 65,88 |
| 6. საფრანგეთი | 80,32 | 18 (-1) იაპონია | 65,35 |
| 7. ირლანდია | 78,50 | 19 (-1) აშშ | 64,68 |
| 8. შოტლანდია | 76,73 | 20. ურუგვაი | 63,18 |
| 9. ფიჯი | 75,88 | 21. ესპანეთი | 62,30 |
| 10. უელსი | 74,17 | 22. პორტუგალია | 60,97 |
| 11. იტალია | 73,48 | 33. ჩეხეთი | 51,92 |
| 12. სამოა | 71,61 | | |

**ხელბურთი** ეროვნული ნაკრები

# რჩება თუ არა მჟავანაძე?

## მწვრთნელის საკითხი 19 ნოემბერს გადაწყდება



მამუკა მჟავანაძე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები "ჩელენჯ ტროფის" ფინალში გავიდა, მთავარი მწვრთნელის საკითხი კვლავ გაურკვეველია. ტურნირის დაწყებამდე ნაკრები ჩააბარეს **მამუკა მჟავანაძეს**, ოღონდ ოფიციალური კონტრაქტის გარეშე. ხელბურთის ფედერაცის ხელმძღვანელობამ მაშინ განაცხადა, რომ მჟავანაძე და მისი შტაბი ნაკრებს დამოძღვრავდნენ მინიმუმ, "ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპის დამთავრებამდე, ხოლო დანარჩენი შედეგებზე იქნებოდა დამოკიდებული.

მართალია, შედეგი დამაკმაყოფილებელია – ნაკრებმა სამივე მატჩი მოიგო და ფინალში გავიდა, მაგრამ დარჩება თუ არა მჟავანაძე გუნდში, ეს ჯერაც არაა გადაწყვეტილი. მეტიც - ჩვენი ინფორმაციით, "ჩელენჯ ტროფის" ფინალს გუნდი ახალი მთავარი მწვრთნელით შეეგებება. თუმცა ამას ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **თამაზ თევზაძე** არ ადასტურებს. მისი თქმით, ნაკრების კონსულტანტმა **იმედო ფხაკაძემ**, 19 ნოემბერს უნდა წარადგინოს გუნდის 2008 წლის სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, ამის შემდეგ ჩატარდება პრეზიდიუმის სხდომა და მწვრთნელთა საკითხიც იქ გადაწყდება.

სიტუაციას ბოლომდე ვერც თავად მამუკა მჟავანაძემ მოჰფინა ნათელი. გუშინ, მანაც დაახლოებით იგივე გვითხრა – მეც გავიგე, რომ ჩემი ნაკრებში დარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა, მაგრამ ჯერ არაფერი გარკვეულა და ყველაფერი პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდებაო.

**კობა ხატისაშვილი**

**ჭადრაკი**

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

**ბოლო ტური**

| ქალები: სომხეთი-საქართველო 2:2 | |
|---|---|
| ელინა დანიელიანი (2458)-მაია ჩიბურდანიძე (2500) | 0,5:0,5 |
| ლელა ჯავახიშვილი (2474)-ლილიტ მკრტჩიანი (2402) | 0,5:0,5 |
| ნელი აგინიანი (2261)-ნინო ხურციძე (2450) | 1:0 |
| ნანა ძაგნიძე (2416)-სირანუშ ანდრიასიანი (2234) | 1:0 |

ქალები: 1. რუსეთი - 15; 2. პოლონეთი - 13; 3. სომხეთი - 13; 4. უკრაინა - 12; 5. საქართველო - 12; 6. სლოვენია - 12; 7. უნგრეთი - 11; 8. რუმინეთი - 11; 9. ხორვატია - 10; 10. აზერბაიჯანი - 10.

| ვაჟები: საქართველო-იტალია 3:1 | |
|---|---|
| ბაადურ ჯობავა (2644)-მიქელე გოდენა (2535) | 1:0 |
| ფაბიანო კარუანა (2594)-თამაზ გელაშვილი (2623) | 0,5:0,5 |
| ლევან ფანცულაია (2617)-საბინო ბრუნელო (2489) | 1:0 |
| კარლო დამორე (2477)-დავით არუთინიანი (2574) | 0,5:0,5 |

ვაჟები: 1. რუსეთი - 17; 2. სომხეთი - 14; 3. აზერბაიჯანი - 13; 4. პოლონეთი - 12; 5. უკრაინა - 12; 6. ისრაელი - 12; 7. ბულგარეთი - 11; 8. სლოვენია - 11; 9. საფრანგეთი - 11; 10. უნგრეთი - 11... 13. საქართველო - 10.

# რუსების ტრიუმფი, საქართველო მეხუთეა

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი რუს მოჭადრაკეთა ტრიუმფით დასრულდა - როგორც ვაჟთა ისე ქალთა შორის ჩემპიონები ისინი გახდნენ. ასეთი შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ ბოლო დროს რუსებს კონკურენტები მოუმრავლდნენ და ხშირადართმევდნენ ტიტულებს... სამაგიეროდ ბოლო ორი ოლიმპიადაც კმარა, სადაც ფავორიტებმა პირველობა დათმეს...

ქართველების ინტერესი ქალთა ტურნირისკენ იყო და როგორც გუშინ მოგახსენეთ, მეორე ადგილის დაკავებაც შეგვეძლო, თუკი ჩვენთვის სასურველად განვითარდებოდა მოვლენები, მესამე ადგილის დაჭერა კი ნებისმიერ შემთხვევაში შეგვეძლო, რა თქმა უნდა, თუ მოვიგებდით.

მეტოქედ ბოლო ტურში სომხეთის ნაკრები გვყავდა და ქართველებს ყველა შემთხვევაში უნდა მოეგოთ - ბევრად ძლიერები არიან მეზობლებზე და იმიტომ. მაგრამ კვლავ გაურკვეველ ტაქტიკას, ანუ გუნდურ გადაწყვეტილებას შევეჩეხეთ: პირველ ორ დაფაზე **მაია ჩიბურდანიძემ** და **ლელა ჯავახიშვილმა** სწრაფად გააფორმეს ყაიმი და მთელი სიმძიმე მესამე-მეოთხე დაფებზე დაეკიდა, სადაც **ნინო ხურციძე** და **ნანა ძაგნიძე** თამაშობდნენ. მეოთხეზე მოთამაშე ძაგნიძეს თავიდან არცთუ სასიამოვნო პოზიცია ჰქონდა, მაგრამ დებიუტებში მისი არცთუ სასარგებლო მომზადება კარგად მოგვეხსენება და ეს ტრაგედიად არ ალგვიქვამს, - ძაგნიძემ შუა თამაშში ინიციატივა აიღო, ვითარება გამოასწორა და გამარჯვებაც მოიპოვა.

სამწუხაროდ, ასეთი რამ ვერ შეძლო ნინო ხურციძემ, რომელმაც **ნელი აგინიანთან** წააგო. ნელის რეიტინგი 189 პუნქტით ჩამორჩება ქართველს და სომხურ კლუბ „მიკაში", სადაც ხურციძე თამაშობს, მისი დუბლიორია... ამჯერად სომეხმა მოჭადრაკემ შეძლო გამარჯვება და ქართველებს მესამე ადგილი დააკარგვინა. სანაცვლოდ, სომხები თავად გახდნენ ბრინჯაოს პრიზიორები.

რაც შეეხება ვაჟებს, ქართველებმა ბოლო ტურში იტალიელებს კი აჯობეს - 3:1, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მეცამეტე ადგილზე გავიდნენ, რაც აშკარად ცუდი შედეგია, მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგით ქართული გუნდი მეთერთმეტე იყო.

ბოლო ტურში **ბაადურ ჯობავამ მიქელე გოდენა** დაამარცხა; **თამაზ გელაშვილმა ფაბიანო კარუანასთან** ქულა გაიყო; **ლევან ფანცულაიამ** დაამარცხა **საბინო ბრუნელო**, ხოლო **დავით არუთინიანმა კარლო დამორესთან** გაიყო ქულა.

**ზვიად შათირიშვილი**

**სროლა**

# საქართველოს თასი ნიგერიის ნაკრებით

18-19 ნოემბერს თბილისში, **ნინო სალუქვაძის** ტირში პნევმატური პისტოლეტით სროლაში საქართველოს თასის ღია გათამაშება გაიმართება, რომელშიც აზერბაიჯანისა და... ნიგერიის გუნდებიც გამოვლენ. აზერბაიჯანელებისა გასაგებია - ჩვენი მეზობლები ნინო სალუქვაძესთან მეგობრობენ კიდეც და შარშანაც დიდი სიამოვნებით გვეწვივნენ, მაგრამ აფრიკელებისა კი ნამდვილად გაგვკვირვებია. კაცმა რომ თქვას, ნიგერიელებს ძლიერი ნაკრებიც არა ჰყავთ. ძლიერი კი არა, გუნდი საერთოდ თუ ჰყავდათ, პირადად მე არც ვიცოდი, რადგან ტურნირების ოქმებში მათი წარმომადგენლები არასოდეს შემიმჩნევია. იქნებ გამოდიან კიდეც, მაგრამ არასოდეს მიუღწევიათ იოტისოდენა წარმატებისთვისაც კი. არ ვიცი, რამდენად წაადგებათ ჩვენს ტურნირში ასპარეზობა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ფედერაციას ისინი დაკავშირებიან, მონაწილეობაც მათ უთხოვიათ და სათანადო დოკუმენტებიც დროულად წარმოუდგენიათ. სტუმარი ღვთისაა და მონაწილეობას არავინ უშლის. თუმცა თბილისში ჩამოსვლამდე ზუსტად მაინც ვერავინ იტყვის, ნამდვილად გვეწვევიან თუ არა აფრიკელები.

ჯერ ასევე გაურკვეველია, ჩამოვა თუ არა აზერბაიჯანელთა გუნდის ლიდერი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ირადა აშუმოვა**. იგი უარზე არაა და ჩამოსვლის პირობასაც იძლევა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ოპერაცია გაუკეთება და საქმე ისაა, გამოჯანმრთელებას თუ მოასწრებს.

ბუნებრივია, ტურნირში მასპინძელთაგან ყველა სერიოზული მსროლელი გამოვა, რადგან ჩვენები შეჯიბრებებით განებივრებულნი არ არიან, ეს შეჯიბრება კი საგაისო სეზონისთვის მოსამზადებელი ეტაპია. თუმცა დეკემბერში იმავე ტირში და იმავე დისციპლინაში - პნევმატურში კიდევ ერთი ტურნირი იგეგმება - თბილისის თასის გათამაშება, რომელშიც, სავარაუდოდ, ქუთაისის გუნდიც გამოვა.

და რაც შეეხება საგაისო სეზონს, თავად სალუქვაძემ კალენდარი კი გაწერა და ზემდგომებსაც წარუდგინა, მაგრამ ჯერ გადაჭრილი პასუხი არაა; იმედია, უახლოეს მომავალში ესეც მოგვარდება, თავად სალუქვაძე კი სეზონის დაწყებას ისევ მიუნხენის ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირით აპირებს. ესაა მოსამზადებელი შეჯიბრება თებერვალში გასამართი ევროპის პირველობისთვის და ამიტომ ბავარიაში მუდამ ძლიერი შემადგენლობა იკრიბება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ტრეისის პირველი მარცხი




მაკგრეიდი კვირის მოთამაშე გახდა

ტეხასში წლეულს სამივე გუნდს საჩემპიონო ამბიცია აქვს და სამივეს, არცთუ უსაფუძვლო. მოქმედი ჩემპიონი "სპურსი" ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის, "დალას მავერიქსი" ბოლო რამდენიმე წელინადია, რაც ელიტას გაუშინაურდა, ხოლო "ჰიუსტონ როკეტსის" ფავორიტობა კი, ბოლოდროინდელმა სატრანსფერო პოლიტიკამ განაპირობა.

გუშინ, **ტრეისი მაკგრეიდის** "ჰიუსტონი" "დალასს" შეხვდა.

"მავერიქსის" თავკაცმა **ეივერი ჯონსონმა** რეგულარულის დაწყებამდეც აღნიშნა - მთავარია სწორ როტაციას მივაგნო და მერე კი ყველაფერი სასურველ კალაპოტში ჩადგებაო.

ჯონსონი ექსპერიმენტებს პირველი მატჩიდან მიმართავს და სასტარტოში უცვლელად მხოლოდ **დირკ ნოვიცკისა** და უხეირო ცენტრს, **დესაგანა დიოპს** თუ აყენებს. სხვებს თანაბარი შანსი ეძლევათ და თუ კარგი ხარ, "პატარა გენერალი" შანსს ყოველთვის მოგცემს.

**ჯეისონ ტერი** სათადარიგოთა შორის მხოლოდ თავის სასკოლო წლებში თუ იმყოფებოდა, ისე კი "ატლანტაშიცა" და "მავერიქსშიც" ძირითადის უცვლელი წევრი იყო.

ჯონსონმა კი მის ნაცვლად სასტარტოში ჯერ **ჯერი სტექჰაუზი** დააყენა, მერე კი პატარა ხუთეულით თამაში ამჯობინა და მსუბუქი ფორვარდი **ჯოშ ჰოვარდი** მსროლელად (ანუ ტერის პოზიციაზე) დააყენა.

ტერი ამჯერადაც სათადარიგოებში იყო, მაგრამ "დალასს" ყველაზე მეტი ქულა სწორედ ამ უკანახაზელმა მოუტანა და რამდენიმე საჭირო მომენტში მაკგრეიდის ბურთიც დააკარგვინა.

ჯეისონმა თავი ჯერ მესამე მეოთხედის იმ მონაკვეთში გამოიჩინა, როდესაც ეივერიმ ზედმეტი პერსონალურების გამო, მოედანს ნოვიცკი და ჯოშ ჰოვარდი მოაცილა. ტერიმ ზედიზედ შვიდი ქულა გააკეთა და ტრეისის გარბენიც გააკეთებინა, ხოლო მესამე მეოთხედის მიწურულსა და უკანასკნელი 12-წუთეულის კვეთაზე, პერსონალური 10:0 გაქცევა მოაწყო და მისი გუნდი მინუს ხუთიდან, ამდენივე ქულით წინ გაიჭრა. მატჩის შემდეგ ტერიმ გაიხუმრა - თუ მთავარი მწვრთნელი შემდგომშიც სათადარიგოთა შორის დამტოვებს, რეგულარულის მიწურულს საუკეთესო მეექვსე მოთამაშის პრიზის მოგების რეალური შანსი მომეცემაო.

"ჰიუსტონში" კი ტრეისისა და იაო მინის გარდა, თავი ბევრით არავის გამოუჩენია. საერთოდ გასაკვირია, ასე მცირე დოზით რატომ იყენებენ "როკეტსში" **შეინ ბეტიეს** პოტენციალს. ამ კაცს სამიანიც კარგი აქვს, ბლოკიდან ამოსვლისას საშუალო დისტანციიდანაც სტაბილურ სროლას ფლობს და დაცვაში ხომ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი დამსახურებაა, რომ დირკმა შეხვედრა მისთვის უჩვეულო მწირი მონაგარითა და სროლის ცუდი პროცენტული მაჩვენებლით ჩაამთავრა. იმედია, მომავალში **რიკ ადელმანი** მასაც და არგენტინელ **ლუის სკოლასაც** (24 წუთში მხოლოდ 2 ქულა და ერთადერთი პერსონალური შენიშვნა) მეტ თავისუფლებას მისცემს.

**ზურაბ თალაკვაძე**

| დალასი-ჰიუსტონი | 107:98 |
|---|---|

24:29, 26:22, 27:24, 30:23

**დალასი:** ტერი (31 ქ. 5 პ. 4 მ), ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 6 მ. 4 პ), ნოვიცკი (19 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), სტექჰაუზი (16 ქ. 5 პ), დიოპი (10 ქ. 13 მ. 4 დ).
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (35 ქ. 8 პ. 2 ჩ), მინი (21 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), ჰედი (9 ქ).

### კვირის მოთამაშეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ახალ სეზონში პირველად დაასახელა კვირის საუკეთესო მოთამაშეები.

ტრადიციულად, ლაურეატები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ კონფერენციებში გამოვლინდნენ.

აღმოსავლეთში ყველას აჯობა "ინდიანა პეისერსის" თავდამსხმელმა **დენი გრეინჯერმა**, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მისმა გუნდმა წინა შვიდ დღეში სამიდან სამი მატჩი მოიგო.

გრეინჯერი საშუალოდ 22.7 ქულასა და 8.7 მოხსნას აგროვებდა. მან კარიერაში პირველად შეძლო ზედიზედ სამ შეხვედრაში მინიმუმ 20 ქულის მოხვეჭა.

დასავლეთის ულაპარაკო ლიდერი "ჰიუსტონ როკეტსის" მცველი **ტრეისი მაკგრეიდი** გახდა, რომელსაც გრეინჯერზე გაცილებით შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა - 32.3 ქულა, 4.7 პასი და 4.3 მოხსნა. ამასთან, მაკგრეიდის თამაშიდან ტყორცნების გამოყენების პროცენტულმა მაჩვენებელმა 50 პროცენტს გადააჭარბა.

ფინიქს სანზი

# ამარე მეორე მატჩს გამოტოვებს?

რეგულარულის სტარტზე პრობლემები შეექმნა "ფინიქს სანზს". გასულ უიქ ენდზე, ამ გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა ძირითადი ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი**. "კლივლენდთან" მატჩის წინ, მოთელვის დროს, ამარემ მარჯვენა მუხლში ტკივილი იგრძნო და ის **ბორის დიაოთი** შეცვალეს, სტაუდმაიერი კი, მოედანზე აღარ გამოჩენილა.

როგორც ცნობილია, "ფინიქსის" ლიდერმა 2 ოქტომბერს, მტკივან მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც წინასასეზონო მზადების დიდი ნაწილი გაუცდა. ექიმები ირწმუნებოდნენ, რომ ამარემ მუხლი საბოლოოდ მოირჩინა, მაგრამ ტრავმამ კვლავ იჩინა თავი. "სანზის" მთავარი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** აზრით, სტაუდმაიერმა "ლეიკერსთან" მატჩში მუხლი ზედმეტად დატვირთა და ეს ტრავმაც ამის მიზეზი გახლავთ.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, როდის დაუბრუნდება სტაუდმაიერი "ფინიქსს". თუ ბოლო ინფორმაციებს დავუჯერებთ, მას სავარაუდოდ დღეს "შარლოტ ბობკეტსის" წინააღმდეგაც არ მოუწევს თამაში.

*"ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ვიგრძნობ თავს თამაშის წინ. მოედანზე გასვლას არავინ მაძალებს"*, - ამბობს სტაუდმაიერი.

სხვათა შორის, ამარემ სწორედ მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო სრულად გამოტოვა 2005-06 წლების სეზონი, სამაგიეროდ, შარშან "ფინიქსის" ერთადერთი მოთამაშე გახდა, ვინც რეგულარულის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა.

## სხვადასხვა

მთის თხილამურები

### ლევის ნაცვლად რაიტელალმი

გუშინ ვიტყობინებოდით იმის შესახებ, რომ თოვლის არასაკმარისი რაოდენობის გამო, ფინეთის კურორტ ლევიში არ გაიმართება მსოფლიო თასის მეორე ეტაპი. 10-11 ნოემბერს, იქ სლალომში უნდა გამოვლენილიყო გამარჯვებულები.

სათხილამურო სპორტის ფედერაციამ გუშინ გამოაცხადა, რომ მომავალ უიქ ენდზე ქალი და მამაკაცი სლალომისტები ავსტრიის კურორტ რაიტელალმში გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

ჰოკეი

### რეინჯერსმა სასამართლო წააგო

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" წააგო სასამართლო პროცესი ჰოკეის ეროვნულ ლიგასთან. NHL-ში დადგენილი წესის მიხედვით, კლუბების ოფიციალური ვებ-გვერდების მისამართების ბოლოს, მითითებული უნდა იყოს თავად ეროვნული ლიგის მისამართი - nhl.com. ამ წესს ყველა კლუბი ემორჩილება გარდა ერთისა, რის გამოც ლიგის ხელმძღვანელობამ "რეინჯერსს" სასამართლოში უჩივლა და პროცესი მოიგო კიდეც.

მოსამართლის დადგენილებით, თუ "რეინჯერსი" ძველ მისამართს (newyorkrangers.com) ახლით (rangers.nhl.com) არ შეცვლის, მაშინ მას NHL-სთვის ყოველდღიურად მოუწევს 100 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა.

### ფორსბერგი ევროტურზე ვერ ითამაშებს

ლეგენდარული შვედი ფორვარდის, **პიტერ ფორსბერგის** დიდ ჰოკეიში დაბრუნების ვადები გადაიდო. ცნობილი იყო, რომ ფორსბერგს ევროტურის პირველ ეტაპზე - კარიალას თასზე შვედეთის ნაკრების რიგებში უნდა ეთამაშა.

ცენტრალური თავდამსხმელი ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდა, როცა მარჯვენა ფეხში ტკივილი იგრძნო და ექიმებთან შეთანხმებით, "ტრე კრუნურის" რიგები დატოვა.

კარიალას თასი ჰელსინკიში 8-11 ნოემბერს გაიმართება.

ჩოგბურთი

### ბრაიანებმა სეზონი დაასრულეს

ერთ კვირაში, ჩინეთის ქალაქ შანხაიში წლის შემაჯამებელი ტურნირი დაიწყება, სადაც მთავარი პრიზი არამარტო ერთეულთა, არამედ წყვილთა თანრიგშიც გათამაშდება.

წყვილების ჩემპიონატი ფავორიტი დუეტის გარეშე დარჩა. ჩინეთში არ ჩავლენ ამერიკელი ტყუპი ძმები - **ბობ და მაიკ ბრაიანები**. ამის მიზეზი გახდა მაიკი, რომელმაც პარიზის მასტერსზე იდაყვის ტრავმა მიიღო.

შანხაიში ამერიკულ წყვილს ისრაელის წარმომადგენლები - **იონათან ერლიხი** და **ენდი რამი** შეცვლიან. შეგახსენებთ, რომ ბრაიანებს წლის დასკვნითი ტურნირი ორჯერ - 2003 და 2004 წლებში აქვთ მოგებული.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

| ნიუ ჯერსი-პიტსბურგი | 0:5 |
|---|---|

0:2, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 კროსბი-8 (სიკორა-5, გონჩარი-10), 0:2 ჰოლი-2 (ორპიკი-2, ტელბოტი-3), 0:3 სიკორა-7 (მალკინი-14), 0:4 კრისტენსენი-2 (ტელბოტი-4, ლარაკი-2), 0:5 კროსბი-9 (ორპიკი-3).

| რეინჯერსი-ფილადელფია | 2:0 |
|---|---|

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 იაგრი-3 (ჟირარდი-1, გომესი-3), 2:0 შენეჰანი-4 (იაგრი-10, ტიუტინი-2).

| კაროლინა-ვაშინგტონი | 5:0 |
|---|---|

3:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სტილმანი-6 (ბრინდამორი-15, რეი უიტნი-7), 2:0 სტილმანი-7 ( (რეი უიტნი-8, კულენი-12), 3:0 სტილმანი-8 (ე. კოული-8, ე. სტაალი-8), 4:0 ე. სტაალი-10 (კულენი-13, ჯასტინ უილიამსი-13), 5:0 ე. სტაალი-11 (სტილმანი-11, გლისონი-2).

| მონრეალი-ბაფალო | 2:0 |
|---|---|

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პლეკანეცი-4 (კასტსიცინი-2, მარკოვი-8), 2:0 სმოლინსკი-2 (მარკოვი-9).

| ფლორიდა-ტამპა ბეი | 4:3 |
|---|---|

2:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სენტ ლუისი-3 (ლეკავალიე-10, ბ. რიჩარდსი-9), 1:1 ო. იოკინენი-9 (ჰორტონი-7, სალეი-3), 2:1 პელტონენი-3 (კ. მერფი-9, ო. იოკინენი-8), 2:2 ლუკოვიჩი-1 (ჯ. უორდი-3), 3:2 მონტადორი-1 (ვან რინი-1, კრეპსი-2), 3:3 ულეტი-4 (ლეკავალიე-11, პროსპალი-5), 4:3 ბუტი-2 (სალეი-4, ო. იოკინენი-9).

| მინესოტა-ედმონტონი | 5:2 |
|---|---|

3:0, 2:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პერიში-5 (ნუმელინი-1, მ. კოივუ-8), 2:0 ბუშარი-4 (კოივუ-9, ბელანჟე-6), 3:0 ფოსტერი-1 (ბუშარი-9, შეპარდი-3), 4:0 პერიში-6 (ფოსტერი-3, ნუმელინი-2), 4:1 პენერი-3 (ჰემსკი-7, სტოლი-3), 5:1 ვეილო-2 (კოივუ-10, კ. იონსონი-4), 5:2 ჰორკოფი-5 (ნილსონი-2, პენერი-4).

| კოლორადო-კალგარი | 4:1 |
|---|---|

1:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 იგინლა-10 (ტანგეი-14, ჰუსელიუსი-6), 1:1 ბრუნეტი-3 (რ. სმიტი-6, საკიკი-11), 2:1 ვოლსკი-6 (ჰეიდუკი-3, ზაუერი-2), 3:1 შჩასტნი-6 (ვოლსკი-6, ჰეიდუკი-4), 4:1 შჩასტნი-7 (ჰეიდუკი-5, ვოლსკი-7).

| ანაჰაიმი-დალასი | 0:5 |
|---|---|

0:1, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 რიბეირო-6 (ლეჰტინენი-7, ზუბოვი-6), 0:2 ი. იოკინენი-3 (ნისკანენი-3, ტურკო-1), 0:3 მოროუ-5 (ლეჰტინენი-8, რიბეირო-9), 0:4 ი. ლეჰტინენი-4 (რიბეირო-10, ზუბოვი-7), 0:5 კონერი-1 (ი. იოკინენი-3) ზუბოვი-8).

### ტურის მოვლენები

- "პინგვინზის" მეკარემ **დენი საბურინმა** 20 დარტყმა მოიგერია და სეზონში პირველი შათაუტი შეასრულა.

■ ■ ■

- "რეინჯერსის" გოლკიპერმა **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** 30 დარტყმა მოიგერია. შვედ მეკარეს ოთხი შათაუტით ლიგაში მეორე ადგილი უკავია.
- სეზონის სტარტზე რვიდან 6 წაგების შემდეგ, "რეინჯერსმა" ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო.
- ნიუორკულ კლუბს ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები - 25 გოლი აქვს გატანილი. სამაგიეროდ, "რეინჯერსი" "კოლამბუსთან" ერთად, ლიგის ლიდერია გაშვებული შაიბების რაოდენობით.

■ ■ ■

- **კორი სტილმანმა** 11 წუთში შეასრულა ჰეთ-თრიკი. ფორვარდმა კარიერაში მეოთხედ შეძლო ერთ მატჩში სამი გოლის გატანა.
- "კაროლინას" მეკარემ **კემ უორდმა** 35 დარტყმა მოიგერია და სეზონში მესამე შათაუტი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ სამივე "მშრალი" მატჩი მან "ვაშინგტონის" წინააღმდეგ ჩაატარა.
- "ვაშინგტონმა" ბოლო 11 მატჩში მეცხრედ წააგო.

■ ■ ■

- გუშინდელი ტურის რიგით მეოთხე შათაუტი (კარიერაში მე-14) **კრისტობალ იუემ** შეასრულა. "მონრეალის" მეკარე 29 დარტყმას გადაელობა.
- "კანადიენსმა" ბოლო რვა მატჩიდან მეექვსედ მოიგო.

■ ■ ■

- "ტამპა ბეის" ამ სეზონში სტუმრად მატჩი არ მოუგია. "ლაითნინგს" გასვლაზე 7-დან 7 წაგება აქვს, რაც საკლუბო ანტი-რეკორდის გამეორება გახლავთ.
- ფლორიდელმა **ოლი იოკინენმა** "პანტერზის" რიგებში მე-500 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- "ედმონტონი" ყველაზე უარესი გუნდია რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების მიხედვით. "მენავთობეებმა" 60-დან მხოლოდ 4 შანსი გამოიყენეს.

■ ■ ■

- "კოლორადომ" ზედიზედ მეშვიდედ მოუგო "კალგარის".
- "ეველანშის" ფორვარდმა **ჯო საკიკმა** ზედიზედ მერვე მატჩში შეძლო მინიმუმ ერთი ქულის მოპოვება.
- კოლორადოელმა **რაიან სმიტმა** კარიერაში მე-300 შედეგიანი პასი მიითვალა.

■ ■ ■

- ტურში მეხუთე შათაუტი "დალასის" მეკარემ **მარტი ტურკომ** დააფიქსირა, რომელმაც კარიერაში 31-ე "მშრალი" მატჩი ჩაატარა. გარდა ამისა, ტურკომ ერთი საგოლე პასიც ჩაიწერა აქტივში.



სტილმანმა კიოლციგს სამჯერ გაუტანა

### კვირის სამი ვარსკვლავი

წინა სამი კვირისგან განსხვავებით, როცა პირველ ვარსკვლავად მეკარე სახელდებოდა, ამჯერად საუკეთესო მოთამაშე ფორვარდი, "ატლანტას" რუსი ლეგიონერი **ილია კოვალჩუკი** გახდა.

ამ თავდამსხმელმა გასულ კვირას ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა და ექვსი გოლით საუკეთესო სნაიპერად მოგვევლინა.

მეორე ვასკვლავის სტატუსი "ნიუ იორკ რეინჯერსის" მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტს** ერგო, რომელმაც გასულ კვირას ერთი შათაუტი შეასრულა და საშუალოდ მატჩში 0.65 გოლს უშვებდა.

მესამე ვარსკვლავია "მინესოტას" ფორვარდი **მარიან გაბორიკი**. მას მხოლოდ ორ მატჩში მოუწია თამაში, მაგრამ მაინც მოასწრო 5 ქულის (3 გოლი+2 პასი) დაგროვება.

### აღმოსავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 13 | 12 | 1 | 0 | 24 |
| 2. კაროლინა* | 15 | 9 | 3 | 3 | 21 |
| 3. ფილადელფია* | 13 | 8 | 5 | 0 | 16 |
| 4. მონრეალი | 14 | 8 | 3 | 3 | 19 |
| 5. ბოსტონი | 13 | 7 | 5 | 1 | 15 |
| 6. რეინჯერსი | 14 | 7 | 6 | 1 | 15 |
| 7. პიტსბურგი | 14 | 7 | 6 | 1 | 15 |
| 8. ტორონტო | 15 | 6 | 6 | 3 | 15 |
| 9. აილენდერსი | 11 | 7 | 4 | 0 | 14 |
| 10. ფლორიდა | 15 | 7 | 8 | 0 | 14 |
| 11. ნიუ ჯერსი | 14 | 5 | 7 | 2 | 12 |
| 12. ბაფალო | 13 | 5 | 7 | 1 | 11 |
| 13. ტამპა ბეი | 14 | 5 | 8 | 1 | 11 |
| 14. ვაშინგტონი | 14 | 5 | 9 | 0 | 10 |
| 15. ატლანტა | 14 | 5 | 9 | 0 | 10 |

### დასავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 14 | 11 | 2 | 1 | 23 |
| 2. მინესოტა* | 15 | 9 | 4 | 2 | 20 |
| 3. სან ხოსე* | 14 | 7 | 6 | 1 | 15 |
| 4. კოლამბუსი | 13 | 8 | 3 | 2 | 18 |
| 5. კოლორადო | 13 | 8 | 5 | 0 | 16 |
| 6. კალგარი | 14 | 6 | 5 | 3 | 15 |
| 7. სტ. ლუისი | 13 | 7 | 6 | 0 | 14 |
| 8. ნეშვილი | 14 | 7 | 7 | 0 | 14 |
| 9. ჩიკაგო | 14 | 7 | 7 | 0 | 14 |
| 10. ლოს ანჯელესი | 15 | 7 | 8 | 0 | 14 |
| 11. ანაჰაიმი | 15 | 6 | 7 | 2 | 14 |
| 12. დალასი | 13 | 5 | 6 | 2 | 12 |
| 13. ვანკუვერი | 14 | 6 | 8 | 0 | 12 |
| 14. ფინიქსი | 12 | 5 | 7 | 0 | 10 |
| 15. ედმონტონი | 15 | 5 | 10 | 0 | 10 |

*შენიშვნა: * - დივიზიონის ლიდერი*

### ბომბარდირები (გოლი+პასი)

| | |
|---|---|
| ზეტერბერგი (დეტ) | 24 (12+12) |
| იგინლა (კალ) | 22 (10+12) |
| კროსბი (პიტ) | 22 (9+13) |
| სუნდინი (ტორ) | 21 (8+13) |
| ბრინდამორი (კარ) | 21 (6+15) |

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. ტესტები

# შუმახერი ფერარის გამოსცდის



მიხაელ შუმახერი

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი** მომავალ კვირაში ბარსელონას "კატალუნია მონტმელოზე" ფინელი **კიმი რაიკონენის** სეჩემპიონო "ფერარის" ტესტირებას ჩაუტარებს. ოღონდ, ეს არ ნიშნავს, რომ ფორმულა ერთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი პილოტი სპორტს უბრუნდება.

"ფერარის" პრესმდივნის თქმით, შუმახერი ბარსელონას ტრასაზე საჩემპიონო ბოლიდს ნაწილობრივ სიამოვნების, ნაწილობრივ კი ტექნიკური მიზეზებით გამოიყვანს. კერძოდ, ის მიღებულ შთაბეჭდილებებს გუნდის ინჟინრებს გაუზიარებს, რომლებიც გამოცდილი პილოტისგან მიღებულ რჩევებს ავტომობილის სრულყოფისთვის გამოიყენებენ.

შუმახერი ახლა 38 წლისაა, სპორტიდან ის შარშანდელი სეზონის ბოლოს წავიდა. კარიერის განმავლობაში მას ფორმულა 1-ის 91 დიდი პრიზი აქვს მოგებული, 50-ით მეტი, ვიდრე ამ მაჩვენებლის მიხედვით მეორეზე მყოფ ფრანგ **ალენ პროსტს**, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ოთხჯერ აქვს მოპოვებული.

სპორტიდან წასვლის შემდეგ, შუმახერი "ფერარის" ტექნიკური მრჩეველი გახდა, თუმცა გასულ სეზონში სულ რამდენიმე ეტაპს დაესწრო. შეგახსენებთ, რომ სპორტიდან წასვლამდე ორი სეზონი, შუმახერი ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ვერ ახერხებდა. ამ ორ სეზონში კი ჩემპიონი ესპანელი **ფერნანდო ალონსო** (რენო) გახდა, ვინც ბოლო სეზონი "მაკლარენში" გაატარა, თუმცა ახლა ახალი გუნდის ძებნა უწევს.

შეგახსენებთ, რომ მომავალი სეზონიდან, ფორმულა 1-ში იკრძალება ტრექშნ კონტროლი და პილოტის სხვა დამხმარე სისტემები. შუმახერს კი ასეთი ბოლიდების პილოტირების მდიდარი გამოცდილება აქვს. ამიტომ, მის რჩევებს კონსტრუქტორებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

შუმახერს ნათქვამი აქვს, რომ ფორმულა ერთის ბოლიდის მართვის არანაირი სურვილი აღარ აქვს. არადა, "ფერარის" შეფ **ჟან ტოდტს** მისთვის ტესტირებაში მონაწილეობა არაერთხელ შეუთავაზებია. თავისი განწყობის მიუხედავად, ძველი ბოლიდით ივნისში მან ფიორანოს ტრეკზე რამდენიმე წრე გაიარა, როცა იტალიური კომპანია დაარსებიდან 60 წლის იუბილეს აღნიშნავდა. ერთი თვის წინათ, ფიორანოშივე, ის რაიკონენის ბოლიდის საჭეს მიუჯდა, როცა ტრასას "ფიატის" ერთ-ერთი შეფი ეწვია. ახლახან კი, მოტო გრანპრის სეზონის დასრულების შემდეგ, ვალენსიაში ამ სერიის ჩემპიონის, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერის** "დუკატისაც" გაუსინჯა გემო. როგორც ამბობენ, შუმის არც ორ ბორბალზე აკლდა სისწრაფე. თავად კი, "გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას განაცხადა, პროფესიონალებთან შედარებით, ათი წამით ნელი ვარო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## მძლეოსნობა

მარათონები

# მარათონების სერია პრიზებს ზრდის

ყველაზე პრესტიჟული ხუთი მარათონის მსოფლიო სერიის ხელმძღვანელობა საპრიზო ფონდის მნიშვნელოვნად გაზრდას აპირებს. ახლანდელი საპრიზო ფონდი მხოლოდ მილიონი დოლარია, რომელიც შუაზე იყოფა და თანაბრად ნაწილდება ქალ და ვაჟ მარათონელთა ჩემპიონებს შორის.

ლონდონის მარათონის დირექტორი **დევიდ ბედფორდი** ამბობს, რომ ახლახან+, ნიუ იორკის მარათონით დასრულებული პირველი სამარათონო სერია წარმატებული გამოდგა. ეს კი იმის საბაბს იძლევა, რომ მორბენლებს გარჯა უფრო მეტად დაუფასდეთ.

შეგახსენებთ, რომ სერიის პირველმა ჩემპიონებმა, ეთიოპიელმა **გეტე ვამიმ** და კენიელმა **მარტინ ლელმა** ნახევარ-ნახევარი მილიონი დოლარი დაიმსახურეს. მსოფლიოს უდიდესი მარათონების სერიაში შედის ბერლინის, ბოსტონის, ჩიკაგოს, ლონდონისა და ნიუ იორკის მარათონები.

წინასწარი მონაცემებით, მომდევნო სერიის დაწყებამდე, მისი ორგანიზატორები ახალ სპონსორებს მოიზიდავენ, რომელთა მიერ გაღებული სახსრებითაც, თითოეული ჩემპიონი მინიმუმ მილიონ დოლარს მიიღებს. ასევე დაჯილდოვდებიან მეორე და მესამე ადგილებზე გასული მარათონელებიც.

*"დადი მარათონების სერიის სტრუქტურა შესანარჩუნებელია. მან გაამართლა. რაც შეეხება საპრიზო ფონდს, ის აუცილებლად გაიზრდება - ყოველი ჩემპიონი მილიონდოლარიანი ჩეკით დაჯილდოვდება. ამასთან, ფულად ჯილდოს მიიღებენ საპრიზო სამეულში გასული მორბენლებიც და ეს სამართლიანი იქნება"*, - ამბობს ბედფორდი.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ დიდი მარათონების ქალთა სერიის ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ **გეტე ვამი** მაინც გულდაწყვეტილი დარჩა. მან მეორე ადგილი დაიკავა და სპორტში მშობიარობის შემდეგ დაბრუნებულ ბრიტანელ **პოლა რედკლიფთან** დამარცხდა. ვამიმ თავისი მარცხი იმ გარემოებით ახსნა, რომ ნიუ იორკამდე ხუთი კვირით ადრე ბერლინის მარათონზე იასპარეზა (და იქ გაიმარჯვებას შეალია დიდი ენერგია).

### ავტოსპორტი

## ვილნევი ნასკარში პილოტის სტატუსით რჩება

ფორმულა 1-ის კიდევ ერთმა ყოფილმა ჩემპიონმა, კანადელმა **ჟაკ ვილნევმა** უარჰყო ჭორი იმის შესახებ, თითქოს ის თავის მენეჯერთან და მეგობართან, **კრეიგ პოლოკთან** ერთად, ნასკარის სერიის ერთ-ერთი გუნდის შეძენას აპირებს.

*"ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ იმაზე, თითქოს გუნდ Bill Davis Racing-ის ყიდვა მსურს. იმისთვის, რომ საბოლოოდ ბოლო მოვუღო ამ სპეკულაციებს, ვაცხადებ: ნასკარის გუნდის შეძენაში დაინტერესებული არ ვარ. აქ მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ რბოლებში მივიღო მონაწილეობა. მხოლოდ ამაზე მაქვს კონცენტრაცია გადატანილი"*, - აღნიშნა 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონმა.

ვილნევმა ისიც დაამატა, რომ უახლოესი რამდენიმე წელიწადი სწორედ ნასკარის სერიაში აპირებს დარჩენას.

### მძლეოსნობა

## ფედერაციამ ნომინანტები დაასახელა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) იმ ექვსი ათლეტის გვარი გამოაცხადა, რომლებიც 2007 წლის სეზონის ლაურეატობაზე აცხადებენ პრეტენზიას.

მამაკაცთა შორის საუკეთესო მძლეოსნის ტიტულზე შემდეგი სამი სპორტსმენია წარდგენილი: 100 და 200 მეტრზე მსოფლიო ჩემპიონი, ამერიკელი **ტაისონ გეი**, 5000 და 10000 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენი, ეთიოპიელი **ჰაილე გებრსელასიე** და 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, ჩინელი **ლიუ სიანი**. ეს ტრიო IAAF-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აირჩიეს.

ქალთა სამეული ასე გამოიყურება: **მესერეტ დეფარი** (ეთიოპია, რბენა), **კაროლინა კლუფტი** (შვედეთი, შვიდჭიდი) და **ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატია, სიმაღლეზე ხტომა).

გამარჯვებულები 25 ნოემბერს, მონაკოში გამოვლინდება.

### კალათბურთი

## ჯეფერსონი 65 მილიონს მიიღებს

როგორც უკვე გაუწყებდით, "მინესოტა ტიმბერვულვზმა" ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა ფორვარდ **ელ ჯეფერსონთან**, თუმცა ამ ხელშეკრულების პირობები პრესისთვის უცნობი დარჩა.

ახლა კი, კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ 22 წლის კალათბურთელი 5 წლით დარჩება "მგლების" რიგებში და ამის სანაცვლოდ 65 მილიონ დოლარს მიიღებს.

## საკრამენტოს დებიუტანტი დაემატება

უახლოეს ტურებში, "საკრამენტო კინგზის" რიგებში დებიუტი ექნება 2007 წლის დრაფტის მე-10 ნომერს, ცენტრალურ თავდამსხმელ **სპენსერ ჰაუსს**.

ამ კალათბურთელმა სამი კვირის წინათ, მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო, NBA-ში მისი დებიუტი გადაიდო.

*"ყოველდღიურად თავს უკეთესად ვგრძნობ. მუხლი თითქმის აღარ მაწუხებს და ბედნიერი ვარ, რომ სულ მალე მოედანზე გასვლის საშუალება მომეცემა"*, - აცხადებს კალათბურთელი.

## TV სპორტი

**7 ნოემბერი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სპორტინგი-რომა (LIVE).
02:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
03:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბარსელონა-რეინჯერსი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ბეშიქთაში.
15:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპიაკოსი-რეალი.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. შახტარი-მილანი.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სპორტინგი-რომა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
11:23 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:26 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ბეშიქთაში.
14:14 ფეხბურთი. Barca TV.
14:52 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. შალკე-ჩელსი.
16:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:06 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაციო-ვერდერი.
18:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:11 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:17 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
22:41 ჩემი სპორტი.
23:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სპორტინგი-რომა (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფენერბაჰჩე-ეინდჰოვენი.
03:23 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:49 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
05:32 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპიაკოსი-რეალი.
07:20 ფეხბურთი. Barca TV.
07:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სან ხოსე-დალასი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 მძლეოსნობა. ნიუ იორკის მარათონი.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. მადრიდი. ესპანეთი.
14:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. II დღე. ბელფასტი.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-საფრანგეთი. ბრაზილია (LIVE).
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სენეგალი-იტალია. ბრაზილია (LIVE).
18:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. III დღე. ბელფასტი.
18:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. IV დღე. ბელფასტი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
02:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. IV დღე. ბელფასტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-საფრანგეთი. ბრაზილია.
18:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-საემიროები. ბრაზილია (LIVE).
19:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
20:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ურუგვაი. ბრაზილია (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
23:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. III დღე. ბელფასტი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| სკანთორპი-სტოკი | 2:3 |
| ბრისტოლი-ჩარლტონი | 0:1 |
| ბარნლი-ჰალი | 0:1 |
| კარდიფი-კრ. პალასი | 1:1 |
| კოლჩესტერი-პლიმუტი | 1:1 |
| ნორვიჩი-უოტფორდი | 1:3 |
| პრესტონი-ლესტერი | 1:1 |
| შეფილდი-იფსვიჩი | 3:1 |
| საუთჰემპტონი-ვულვზი | 0:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-ქოვენთრი | 1:2 |

| I ლიგა | |
|---|---|
| ბორნმუთი-ლიდსი | 1:3 |
| ბრაიტონი-უოლსოლი | 1:1 |
| ჩელტენჰემი-იეოვილი | 1:1 |
| ჯილინგემი-დონკასტერი | 1:1 |
| ჰადერსფილდი-ჰარტლპული | 2:0 |
| ლუტონი-კარლაილი | 0:0 |
| მილუოლი-სუონსი | 2:2 |
| ნორთჰემპტონი-როვერსი | 0:1 |
| ნოტინგემი-საუთენდი | 4:1 |
| პორტ ვეილი-ქრიუ | 0:1 |
| სუინდონი-ლეიტონი | 1:1 |
| ტრანმერი-ოლდჰემი | 0:1 |

| II ლიგა | |
|---|---|
| დარლინგტონი-შრიუსბერი | 2:0 |
| ბარნეტი-ნოტსი | 1:1 |
| ბრედფორდი-ჩესტერი | 2:1 |
| ჰერეფორდი-მენსფილდი | 2:1 |
| ლინკოლნი-ჩესტერფილდი | 2:4 |
| მილტონი-გრიმსბი | 2:0 |
| მაკლსფილდი-ბრენტფორდი | 1:0 |
| მორეკამბი-აკრინგტონი | 0:1 |
| პიტერბრო-დაგენჰემი | 3:1 |
| როჩდეილი-სტოკპორტი | 1:2 |
| როტერჰემი-ბერი | 2:1 |

**საფრანგეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-ლიბურნი | 2:3 |
| ამიენი-ბასტია | 1:1 |
| ანჟერსი-გენიონი | 2:0 |
| შატორუ-რეიმსი | 0:1 |
| მონპელიე-ბრესტი | 2:1 |
| ტრუა-დიჟონი | 3:0 |
| სედანი-ჰავრი | 2:1 |

**შოტლანდია**

| III დივიზიონი | |
|---|---|
| მონროუზი-სტრანრარი | 2:4 |

| შოტლანდიის თასი | |
|---|---|
| დამბარტონი-ფორფარი | 3:0 |

| სლოვაკეთის თასი | |
|---|---|
| ჟილინა-ნიტრა | 2:2 |

| უნგრეთის თასი | |
|---|---|
| დიოშდიორი-კაზარჩიკა | 1:1 |

**კალათბურთი**

| ULEB-ის თასი | | |
|---|---|---|
| გალათასარაი-ხირონა | | 71:69 |
| ხიმკი-ნანსი | | 90:81 |
| უნიქსი-ზადარი | 78:78 ო.ტ. | 90:87 |
| პანელინიოსი-ოსტენდე | | 84:77 |
| შიაულაი-ტურკ ტელეკომი | | 90:97 |
| ანვილი-აზოვმაში | | 66:70 |
| ასესოფტი-ჰანზევასტი | | 80:73 |
| ქელეზნიკი-ოვარენსე | | 89:79 |
| ჰაპოელი (გ)-გმუნდენი | | 74:79 |
| ჰაპოელი (ი)-სტრასბური | | 74:73 |
| ჰემოფარმი-შარლერუა | | 73:71 |
| კალევი-პანიონიოსი | | 81:68 |
| ნიმბურკი-ცრ. ზვეზდა | 79:79 ო.ტ. | 87:94 |
| დინამო (მ)-კლიმამიო | | 91:66 |
| ტუროვი-ეიფელ ტაუერსი | | 80:65 |
| ვენტსპილსი-ბეშიქთაში | | 79:87 |
| ბუდუჩნოსტი-ლიუბერტსი | | 66:75 |
| არტლანდი-პო ორტეზი | | 85:74 |
| ფრიბურგი-ანტვერპ. | 81:81 ო.ტ. | 106:102 |
| კიოლნი-შალონი | | 94:84 |
| შლიონსკი-გრან კანარია | | 71:63 |
| ლუდვიგსბურგი-ვილერბანი | | 72:90 |
| ბოსნა-გილდფორდი | | 84:68 |
| ბენეტონი-კიევი | | 73:77 |
| ხუვენტუდი-ალბა | | 79:67 |

**ჩოგბურთი**

| WTA. მადრიდი | |
|---|---|
| ანენი-ჩაკვეტაძე | 6:1, 7:6 |
| შარაპოვა-ჰანტუხოვა | 6:4, 7:5 |



პორტუ-მარსელი. ლისანდრო ლოპესს გააქვს გამარჯვების გოლი მარსელის კარში



შალკე-ჩელსი. მალუდა ასამოასა და რაფინიას გარემოცვაში

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## A ჯგუფი

### ლივერპული-ბეშიქთაში 8:0

ლივერპული: რეინა, კარაგერი, არბელოა, ჰიიპია, რიისე, ფაბიო აურელიო (63. ბაბელი), მასკერანო, ჯერარდი (73. ლეივა), ბენაიუნი, ვორონინი (72. კიუელი), კრაუჩი.

ბეშიქთაში: ჰაქან არიქანი, დიატა, იბრაჰიმ უზულმეზი, იბრაჰიმ თორამანი, სერდარ ქურთულუში (62. ა. იგუაინი), მეჰმეთი (78. რიკარდინიო), ქორაი, სერდარ იოზქანი (46. ალი), ე. სისე, დელგადო, ბობო.

გოლები: 1:0 კრაუჩი (19), 2:0 ბენაიუნი (32), 3:0 ბენაიუნი (53), 4:0 ბენაიუნი (56), 5:0 ჯერარდი (59), 6:0 ბაბელი (78), 7:0 ბაბელი (81), 8:0 კრაუჩი (89)

მაყურებელი: 42 166

არბიტრი: მარკუს მერკი (გერმანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბეშიქთაში
პირველი ჯარიმა: ბეშიქთაში
პირველი კუთხური: ლივერპული
პირველი გაფრთხილება: ბეშიქთაში

| | | |
|---|---|---|
| 30 (19) | დარტყმა | 4 (1) |
| 11 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

### პორტუ-მარსელი 2:1

პორტუ: ელტონი, ბრუნო ალვეში, მ. ჩეხი (59. ედლერ პოშტიგა), ფუჩილე, სტეპანოვი, ბოსინგვა, ასუნსაო, რაულ მეირელეში (68. ბოლატი), სექთიუი (87. მარიანო გონსალესი), კვარეშმა, ლისანდრო ლოპესი.

მარსელი: მანდანდა, ტაივო, ჟივე, ბონარი, ხულიენ როდრიგესი, მ'ბამი (84. შეირუ), ვალბუენა, კანა, აიევი (77. არაში), ნასრი, ნიანგი (63. ჯ. სისე).

გოლები: 1:0 სექთიუი (27), 1:1 ნიანგი (47), 2:1 ლისანდრო ლოპესი (78)

მაყურებელი: 41 000

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: პორტუ
პირველი ჯარიმა: მარსელი
პირველი კუთხური: მარსელი
პირველი გაფრთხილება: პორტუ

| | | |
|---|---|---|
| 14 (5) | დარტყმა | 8 (4) |
| 12 | ჯარიმა | 15 |
| 10 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 0 |
| 44% | ბურთის ფლობა | 56% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 2. მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 3. ლივერპული | 4 | 1 | 1 | 2 | 10-4 | 4 |
| 4. ბეშიქთაში | 4 | 1 | 0 | 3 | 2-12 | 3 |

## B ჯგუფი

### ვალენსია-რუსენბორგი 0:2

ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, კანეირა, ივან ელგერა, მორეტი (63. ანგულო), ალბელდა, ხოაკინი (63. ჟიგიჩი), ფერნანდესი, დავიდ სილვა, ვილია, მორიენტესი (46. ვისენტე).

რუსენბორგი: ჰირშფელდი, კვარმე, სტოორი, რიზეტი, სკილბრედი (80. სტორფლორი), ტეტეი, საპარა (84. ია), ივერსენი, ტრაორე, ი. კონე, დორსინი.

გოლები: 0:1 ივერსენი (31), 0:2 ივერსენი (58)

მაყურებელი: 39 150

არბიტრი: ალონ იეფეტი (ისრაელი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რუსენბორგი
პირველი ჯარიმა: ვალენსია
პირველი კუთხური: ვალენსია
პირველი გაფრთხილება: ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| 14 (4) | დარტყმა | 14 (7) |
| 13 | ჯარიმა | 13 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 0 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

### შალკე-ჩელსი 0:0

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, იოზილი (60. ლოვენკრადსი), ჯოუნსი, ბაირამოვიჩი, ასამოა, რაკიტიჩი, ლარსენი.

ჩელსი: პ. ჩეხი (46. კუდიჩინი), ბელეტი (64. ობი მიკელი), რიკარდო კარვალიო, ალექსი, ბრიჯი, მაკელელე, ესიენი, ლემპარდი, ჯ. კოული, მალუდა (78. რაიტ-ფილიპსი), დროგბა.

მაყურებელი: 53 951

არბიტრი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ჩელსი
პირველი ჯარიმა: შალკე
პირველი კუთხური: ჩელსი
პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 15 (7) | დარტყმა | 8 (3) |
| 18 | ჯარიმა | 12 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 2. რუსენბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 3. შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 4. ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |

## C ჯგუფი

### ლაციო-ვერდერი 2:1

ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი, სტენდარდო, კრიბარი, ძაური (18. დე სილვესტრი), მეგნი (74. მანფრედინი), მუდინგაი, კ. ლედესმა, მუტარელი, როკი, მაკინვა (87. სკალონი).

ვერდერი: ვიზე, ფრიტცი (76. ჰარნიკი), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი (32. იენსენი), ანდრეასენი, ბოროვსკი, დიეგო, როზენბერგი, უგო ალმეიდა.

გოლები: 1:0 როკი (57), 2:0 როკი (68), 2:1 დიეგო (88-პენ)

*56-ე წუთზე როკიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაძევება: კრიბარი (86. ლაციო), დიეგო (90. ვერდერი)

მაყურებელი: 30 000

არბიტრი: ივან ბებეკი (ხორვატია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ლაციო
პირველი ჯარიმა: ვერდერი
პირველი კუთხური: ლაციო
პირველი გაფრთხილება: ლაციო

| | | |
|---|---|---|
| 13 (8) | დარტყმა | 14 (6) |
| 16 | ჯარიმა | 12 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 5 | გაფრთხილება | 3 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |

### ოლიმპიაკოსი-რეალი 0:0

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი, ჟულიო სეზარი (74. მენდრინოსი), ჟევლაკოვი, რაულ ბრავო (53. არკუბი), პაცაცოლლუ, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, გალეტი, ლუა ლუა, კოვაჩევიჩი (80. კონსტანტინუ).

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო, მ. დიარა, სნეიდერი, გახო, რაული (82. ბალბოა), რობინიო (82. სავიოლა), ვან ნისტელროოი.

მაყურებელი: 33 500

არბიტრი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რეალი
პირველი ჯარიმა: ოლიმპიაკოსი
პირველი კუთხური: რეალი
პირველი გაფრთხილება: რეალი

| | | |
|---|---|---|
| 8 (1) | დარტყმა | 12 (6) |
| 22 | ჯარიმა | 15 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 41% | ბურთის ფლობა | 59% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 2. ლაციო | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 3. ვერდერი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |

## D ჯგუფი

### სელტიკი-ბენფიკა 1:0

სელტიკი: ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, კენედი, იაროშიკი (66. დონატი), მაკგიდი, ჰარტლი, ბრაუნი (89. სნო), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (66. კილენი), მაკდონალდი.

ბენფიკა: კუიმი, ლეო, ლუიზაო, კაცურანისი, ლუიშ ფელიპე, ედკარლოსი, რუი კოშტა (77. ბერჟესიო), პერეირა (61. დი მარია), ბინია, კრისტიან როდრიგესი, კარდოსო (77. ნუნუ გომეში).

გოლი: 1:0 მაკგიდი (45)

გაძევება: ბინია (85. ბენფიკა)

მაყურებელი: 52 000

არბიტრი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბენფიკა
პირველი ჯარიმა: ბენფიკა
პირველი კუთხური: ბენფიკა
პირველი გაფრთხილება: ბენფიკა

| | | |
|---|---|---|
| 15 (7) | დარტყმა | 15 (5) |
| 10 | ჯარიმა | 14 |
| 7 | კუთხური | 7 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

### შახტარი-მილანი 0:3

შახტარი: პიატოვი, იეზერსკი, ჰიუბშმანი, სრნა, ჩიგრინსკი, რაცი (73. უილიამი), ფერნანდინიო, ჟადსონი, ილსინიო, ბრანდაო (84. გლადკი), ლუკარელი (77. კასტილიო).

მილანი: დიდა, ბონერა, ნესტა, კალაძე, სერჟინიო (85. ბროკი), ამბროზინი, გატუზო, პირლო, კაკა, ზეედორფი (79. მალდინი), ჯილარდინო (63. ინძაგი).

გოლები: 0:1 ინძაგი (66), 0:2 კაკა (72), 0:3 ინძაგი (90)

მაყურებელი: 25 000

არბიტრი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მილანი
პირველი ჯარიმა: მილანი
პირველი კუთხური: მილანი
პირველი გაფრთხილება: მილანი

| | | |
|---|---|---|
| 16 (6) | დარტყმა | 9 (7) |
| 13 | ჯარიმა | 17 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 2. შახტარი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 3. სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-4 | 6 |
| 4. ბენფიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 2-4 | 3 |



შახტარი-მილანი. კაკას დარტყმა და 0:2



ოლიმპიაკოსი-რეალი. რობინიომ და რეალმა ბერძნებს ვერაფერი დააკლეს

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10[3],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა